პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
27 მაისი სამშაბათი 2014
№100 (14 321) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

18:30

## არ დავაგდოთ ტემპი!

19-წლამდელთა მორიგი ბრძოლა:
საქართველო-კვიპროსი

# ბარბაროსი



მამუკა გორგოძე დავით ზირაქაშვილთან ერთად ბარბაროსების მაისურით ინგლისის ნაკრებს შეერკინება

12

● ამათ უნდათ 16 გუნდი?!
კოტე ინასარიძის რუბრიკა

## გეტრები არის, დანარჩენი იქნება

16



## იგორი რომ არ მივიდა, დრაგიჩი მიდის

9

ევროთურნირების წინ

# დინამოს დებრეცენმა უმტყუნა



თურაიმე სასწაული არ მოხდა, ჩემპიონთა ლიგის მომავალ გათამაშებას თბილისის „დინამო" მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან, განუთესავ გუნდებთან ერთად დაიწყებს. გუშინდელ „ლელოში" ვწერდით, რომ საქართველოს ჩემპიონის განთესილ თუ განუთესავთა შორის მოხვედრა, უნგრეთის პირველობის საბოლოო შედეგზე იყო დამოკიდებული. ახლა კი უნდა დავძინოთ, რომ მადიართა ჩემპიონი, ქვეყანა თუ არ დაიქცა, „დებრეცენი" გახდება, რაც „დინამოს" განუთესავთა შორის მოხვედრას ნიშნავს. თბილისელებს, სადღეისოდ მეორეადგილოსანი „დიორი ეტოს" გაჩემპიონება აძლევთ ხელს, მაგრამ... ეს უკვე პრაქტიკულად წარმოუდგენელი ამბავია...

## ჩემპიონთა ლიგა

უეფას კოეფიციენტთა ცხრილში თბილისის „დინამოს" 6.975 ქულა აქვს და ამიტომაც იწყებს ჩემპიონთა ლიგას მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან, ისევე, როგორც კიდევ 31 გუნდი. ევროპის 6 აუტსაიდერი ქვეყნის ჩემპიონი კლუბი - ესტონეთის „ლევადია", ჩრდილოეთ ირლანდიის „კლიფტონვილი", ანდორის „სანტა კოლომა", სომხეთის „ბანანცი", უელსის „ნიუ სეინთსი" და სან მარინოს ჯერაც გაურკვეველი ჩემპიონი - პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე მოიყრიან თავს. ერთმანეთში დაწყვილების შემდეგ ეს კლუბები სამ გამარჯვებულს გამოავლენენ, ეს ტრიო კი დაემატება მეორე საკვალიფიკაციოსთვის გამზადებულ 31 გუნდს დაემატება.

34 გუნდი განთესილებად და განუთესავებად დაიყოფა, რითიც მივიღებთ 17 წყვილს. პირველ ეტაპზე გამარჯვებულ სამ გუნდს, ცხადია, მეორე ეტაპის სხვა გუნდებთან შედარებით დაბალი რეიტინგი ექნება და განუთესავთა შორის მოხვდება. ამათ შორის იქნება ის 14 ჩემპიონიც, რომელსაც უეფას კოეფიციენტთა ცხრილში ასევე დაბალი ქულა ექნება. სწორედ ამ ცხრილის მიხედვით, თბილისის „დინამო" 6.975 ქულით მეორე ეტაპის 31 გუნდს შორის მე-17 ადგილზეა. „დებრეცენს" კი 10.325 ქულა აქვს და, შესაბამისად, „დინამოსაც" ერთი ადგილით ჩაჩოჩება მოუწევს. მე-18 ადგილზე მყოფი გუნდი (ამ შემთხვევაში - „დინამო") კი განუთესავთა შორის მოხვდება.

ისე კი, საინტერესოა, რომ „დინამო" განუთესავ-განთესილთა შორის შარშანაც ასეთ ზღურბლზე იდგა, თუმცა მაშინ გაუმართლა და ბულგარეთში „ლუდოგორეცის" გაჩემპიონებამ საქართველოს პირველი გუნდი განთესილებში მოახვედრა. სადღეისოდ, უნგრეთის „დიორი ეტოს", უეფას დათვლით, 4.8 ქულა აქვს და, ცხადია, გაჩემპიონების შემთხვევაში, საკვალიფიკაცი ეტაპზე „დინამოზე" უკან იქნება, მაგრამ, როგორც ვთქვით, „დიორის" პირველობა უკვე ფანტასტიკის სფეროდანაა...

მოკლედ, შევეგუოთ, რომ თბილისის „დინამო" ჩემპიონთა ლიგას მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან, განუთესავთა შორის დაიწყებს, ხოლო მის პოტენციურ მეტოქეებს შორის ეს გუნდები იქნებიან: რუმინეთის „სტიაუა", შოტლანდიის „სელტიკი", ბელარუსის ბატე, ჩეხეთის „სპარტა", ხორვატიის „დინამო", ბულგარეთის „ლუდოგორეცი", ისრაელის „მაქაბი" (თელ-ავივი), მოლდოვის „შერიფი", სლოვენიის „მარიბორი", პოლონეთის „ლეგია", სერბეთის „ცრვენა ზვეზდა", სლოვაკეთის „სლოვანი", ყაზახეთის „აქტობე", ლატვიის „ვენტსპილსი", აზერბაიჯანის „ყარაბაღი", ფინეთის ჰიკ და (უდიდესი ალბათობით) უნგრეთის „დებრეცენი".

იმედია, „დინამო" წარმატებით დაძლევს ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის ბარიერს. ჩვენებთან ერთად, მესამე საკვალიფიკაციოზე გადასულ გუნდებს კი კვიპროსის ჯერაც გაურკვეველი ჩემპიონი, დანიის „ოლბორგი" და ავსტრიის „ზალცბურგი" დაემატებიან. სულ ბოლოს კი პლეი ოფი იქნება, სადაც საქმეში უკვე ბობოლებიც ჩაერთვებიან.

## ევროპა ლიგა

ახლა ევროპა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე გასული ჩვენი გუნდების საკითხიც დავაზუსტოთ. აქ საქართველოს სახელს ქვეყნის ჩემპიონატის მეორეადგილოსანი „ზესტაფონი", მესამე პრიზიორი ბოლნისის „სიონი" და თასის ფინალისტი საჩხერის „ჩიხურა" დაიცავენ.

„ზესტაფონი", რომელსაც უეფას კოეფიციენტთა ცხრილში 5.975 ქულა აქვს, ასპარეზობას მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყებს, ხოლო „ჩიხურა" და „სიონი" - პირველიდან. „ჩიხურა" განთესილი იქნება, „სიონი" - განუთესავი, თუმცა ერთი ქვეყნის გუნდები ამ ეტაპზე ერთმანეთს არ შეხვდებიან. ქვემოქართლელები, მაგალითად, შესაძლოა შეხვდნენ ნორვეგიულ „რუსენბორგს", შვედურ „გიოტებორგს", შოტლანდიურ „აბერდინს", პოლონურ „იაგელონიას", ბულგარულ - „ლიტექსს" (ლოვეჩი) და „ბოტევს" (პლოვდივი)...

ევროპა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე განთესილ 39 გუნდს შორის ესენი შედარებით სახელოვანი კლუბები არიან, დანარჩენების დონეზე კი არაფერს ვამბობთ. ცნობისთვის, „სიონს" უეფას კოეფიციენტთა ცხრილში 1.975 ქულა აქვს.

„ჩიხურა" (კოეფიციენტი - 2.475) კი, რომელმაც შარშან, ლიხტენშტაინის „ვადუცის" ძლევით, ევროპა ლიგაზე ერთი ეტაპი გაიარა, იმავეს, ალბათ, წლეულსაც გაიმეორებს. მის პოტენციურ მეტოქეთა შორის ვხედავთ მალტის „ჰიბერნიანსა" და „სლიემას", ალბანურ „ლაჩის", ლატვიურ „ელგავასა" და „დაუგავას", ყაზახეთის „ასტანასა" და „ქაირათს", სომხურ „მიკას", ირლანდიურ „დანდალკს", ლიტვის „ბანგას"...

## ...და ვადებზეც

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები 1-2 და 8-9 ივლისს გამართება, მეორე ეტაპის 15-16 და 22-23 ივლისს, მესამე ეტაპზე გუნდები 29-30 ივლისსა და 5-6 აგვისტოს ითამაშებენ, პლეი-ოფის შეხვედრები კი 19-20 და 26-27 აგვისტოს შედგება. იმედია, აგვისტოს შეხვედრებში და შემოდგომაზე, „დინამოსაც" სხვა ჩემპიონებთან ერთად ვნახავთ.

რაც შეეხება ევროპა ლიგას, აქ პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები 3 და 10 ივლისს გაიმართება, მეორე ეტაპის - 17 და 24 ივლისს, მესამე ეტაპზე გუნდები 31 ივლისსა და 7 აგვისტოს გაარკვევენ ურთიერთობას, ხოლო პლეი-ოფი 21 და 28 აგვისტოს შედგება.

ჩემპიონთა ლიგისა და ევროპა ლიგის პირველი და მეორე საკვალიფიკაციო ეტაპების წილისყრა 23 ივნისს, ნიონში გაიმართება.

**კობა ინასარიძე**

U19. ელიტრაუნდი

# საშიში არაფერია

**ვასილ მაისურაძის** გაწვრთნილმა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდის პირველ ტურში ჯგუფის მასპინძელ შვეიცარიას 2:0 სძლია და პირველ ადგილზე გასვლის კარგი შანსი გაიჩინა. გამარჯვებით კი გავიხარეთ, მაგრამ წინ კიდევ ორი მატჩია - დღეს ჩვენები კვიპროსს შეხვდებიან, რომელიც პირველ ტურში ისრაელთან 0:4 დამარცხდა.

ახლა მთავარია, მაისურაძის ბიჭებმა ფორმა შეინარჩუნონ. თუმცა არის პრობლემებიც - საქმე ისაა, რომ შვეიცარიასთან დაშავდა ნახევარმცველი **გიორგი აბურჯანია** და 71-ე წუთზე შესაცვლელი გახდა. პლუს ამას, ფეხი სტკიოდა ნაკრების კაპიტანსა და მცველს **ნიკა ჭანტურიას**, რომელმაც მატჩის მსვლელობისას ორჯერ მოითხოვა ექიმების დახმარება.

საბედნიეროდ, საგანგაშო არაფერია. აი, რა გვითხრა ფეხბურთის ფედერაციის მედიაოფიცერმა **ეკა ელოშვილმა:** *„ისინი უკეთ არიან. აბურჯანიას მიკროტრავმა ჰქონდა, კუნთი დაეჭიმა და იმ მომენტში მაისურაძემ აღარ გარისკა. ორშაბათს მოთამაშეებს აღდგენითი პროცესი ჰქონდათ. ვინც ორი ტაიმი ითამაშა, ისინი დიდად არ დაიტვირთნენ - მხოლოდ „გაწელვებით". დანარჩენებმა კი ჩვეულებრივად ივარჯიშეს".*

**მერაბ მამულაშვილი**



მარჯვნივ გიორგი აბურჯანია

კონტაქტები

# კურიტიბა ბათუმის დინამოს პარტნიორი ხდება?

ბრაზილიის სერია A-ს (უმაღლესი ლიგა) კლუბ „კორიტიბას" ვიცე-პრეზიდენტი და მთავარი სელექციონერი **ერიველტონ პაშეკუ (პაშეკინიო)** ბათუმში იმყოფებიან. ისინი საქართველოში ბათუმის „დინამოს" ხელმძღვანელთა მიწვევით ჩამოვიდნენ.

თანამშრომლობის იდეა ბრაზილიაში მცხოვრებ ქართველ სპეციალისტ **გოჩა ალადაშვილს** ეკუთვნის, რომლის თქმითაც, „კურიტიბას" წარმომადგენლები კონკრეტულ პროგრამას წარმოადგენენ:

*„ეს პროექტი გულისხმობს იმას, რომ ბრაზილიელები ბათუმის „დინამოს" ფეხბურთელებით მოამარაგებენ. ჩვენს მწვრთნელებს ექნებათ საშუალება, მათი გამოცდილება გაიზიარონ, ფეხბურთელებს კი - გაიარონ სტაჟირება. შესაძლებელია, საფეხბურთო სკოლაც გახსნან. მათ ამის გამოცდილება უკვე აქვთ. წლების წინათ, ასეთი პროექტი ამერიკაში, კერძოდ - დალასში განახორციელეს. თანამშრომლობის ყველა დეტალი 28 მაისს, პრეზენტაციაზე გახდება ცნობილი".*

„ლელო" უკვე წერდა, რომ ალადაშვილი ბათუმელებს საინტერესო პროექტს სთავაზობდა, რომელიც წლების წინათ რუსთავის „მეტალურგსა" და მინსკის „დინამოში" წამოიწყო. ჩვენი ინფორმაციით, ახლა ბათუმის „დინამოში" რამდენიმე ბრაზილიელის ჩამოყვანა იგეგმება.



ბრაზილიელი სტუმრები ბათუმში

ფოტო: sportall.ge

ბოლოს კი ორიოდ სიტყვით „კურიტიბაზე". კლუბი 1909 წელს გერმანელებმა დააარსეს. დღესდღეობით, „კურიტიბა" პარანას შტატის ყველაზე ტიტულოვანი კლუბია. მისი აღზრდილები არიან ბრაზილიის ნაკრების სხვადასხვა თაობის ფეხბურთელები - თავდამსხმელი **დირსეუ**, ნახევარმცველი **ალექსი...** „პორტუს" და პორტუგალიის ნაკრების თავდამსხმელი **ლიდსონი**, „შალკესა" და „გალათასარაის" ყოფილი შემტევი ნახევარმცველი **ლინკოლნი** და ასე შემდეგ.

**მერაბ მამულაშვილი**

დანიშვნა

# დილა 24 წლის მწვრთნელს ჩააბარეს

ზუსტად ორი თვის წინათ, გორის „დილას" მწვრთნელად **გია გიგატაძე** დაინიშნა. დანიშვნიდან მეორე დღეს გორელთა ახალმა მწვრთნელმა თქვა - მიმდინარე სეზონში „დილას" საქართველოს თასზე თამაშით შეუძლია თავის გამოჩენაო. ამას გარდა, გიგატაძემ მიზნად უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაც დაისახა.

„დილას" რომ უმაღლესში ადგილის შენარჩუნება არ გაუჭირდებოდა, ეს იმთავითვე ცხადი იყო, აი, თასზე კი გორელები ნახევარფინალში „დინამომ" დაამუხრუჭა. მიუხედავად ამისა, გიგატაძემ „დილაში" სეზონი მაინც ჩაამთავრა, დღეიდან კი უმუშევარია...

დღესვე, „დილა" მის მემკვიდრეს წარადგენს - ეს იქნება 24 წლის **უჩა სოსიაშვილი**, ვინც აქამდე თბილისის „დინამო 2-ის" მწვრთნელი იყო. მისი ხელმძღვანელობით, „დინამოს" მეორე გუნდმა პირველ ლიგაში მესამე ადგილი დაიკავა, თუმცა ისიც ვთქვათ, რომ „დინამო 2-ს" უმაღლესში გადასვლის უფლება არც ჰქონდა.

სოსიაშვილმა სამწვრთნელო კარიერა ქუთაისის საფეხბურთო სკოლა „ავაზაში" დაიწყო, მერე პირველლიგელ „სამტრედიაში" უხმეს, სამტრედიიდან კი თბილისში მაშინ დაუძახეს, როცა **მალხაზ ჟვანია** „დინამოს" თავკაცად დაინიშნა.

ახლახან დასრულებულ სეზონში სოსიაშვილმა „სამტრედიას" მხოლოდ ზამთრის პაუზამდე უხელმძღვანელა, თუმცა მისი წვლილიცაა, რომ ეს გუნდი პირველი ლიგის B ჯგუფის გამარჯვებული გახდა და ახლა უმაღლესში გადასასვლელ პლეი-ოფში თამაშის ნებართვას ელის.

**კობა ინასარიძე**



უჩა სოსიაშვილი

ფინალები და მაყურებელი




ასეთ გარემოში ჩატარდა საქართველოს თასის ბოლო ფინალი
გურამ დოლენჯაშვილის ფოტო.

# მხოლოდ დონე თუ შეფუთვაც?

## მაყურებელთა კლების აშკარა ტენდენცია საქართველოს თასის ფინალებზე

საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის 24-ე ფინალში ერთმანეთს თბილისის „დინამო" და საჩხერის „ჩიხურა" დაუპირისპირდნენ. სამწუხაროდ, საკმაოდ საინტერესო და დრამატულ შეხვედრას 4000 მაყურებელზე მეტი არ დაესწრო.

ეს დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო. უფრო ნაკლები ქომაგი მხოლოდ შარშან მოვიდა, მაგრამ ბოლო წლებში კლების ტენდენცია აშკარაა...

ყველაზე მეტი, 35 ათასი მაყურებელი ორჯერ დაფიქსირდა: 1990 წელს, პირველი ფინალის დროს, როცა ლანჩხუთის „გურიამ" სოხუმის „ცხუმი" 1:0 დამატებით დროში, **ბესიკ ფრიდონაშვილის** მიერ 95-ე წუთზე გატანილი გოლით დაამარცხა; და 1996 წელს, როცა თბილისის „დინამომ", ასევე დამატებით დროში, **გელა ინალიშვილის** გოლით ბათუმის „დინამო" დაამწუხრა (1:0) და თასს დაეუფლა. ორივე ფინალს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულმა სტადიონმა უმასპინძლა.

საერთოდ, ეროვნულ ჩემპიონატში მაყურებლის კლების ტენდენციაც არახალია. ასე გრძელდება 24 წელიწადია, თუმცა თასის ფინალზე მაინც ხერხდებოდა შედარებით ბევრი მაყურებლის მიზიდვა. XX საუკუნეში ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 1999 წლის 26 მაისს დაფიქსირდა, როცა ქუთაისის „ტორპედომ" წყალტუბოს „სამგურალი" პენალტების სერიაში 4:2 დაამარცხა. ამ დღეს „ბორის პაიჭაძეზე" სულ 9 ათასი მაყურებელი შეიკრიბა.

სერიოზული კლება სწორედ ამის შემდეგ შეინიშნებოდა, მაგრამ ერთი ხანობა, ტენდენცია შეჩერდა - ბოლო წლების სარეკორდო დასწრება იყო 2007 და 2008 წლებში, როცა თასის ფინალში ზედიზედ ორჯერ გავიდნენ თბილისის „ამერი" და „ზესტაფონი", რომელთაც ტრიბუნებზე 25 ათასი მაყურებლის მოგროვება შეძლეს. ასევე სოლიდური რაოდენობის მაყურებელი მოგროვდა 2001 და 2005 წლების ფინალებზე.

პროფესიული ფეხბურთის ლიგა 2001 წელს არ არსებობდა, ის 2004 წელს დაფუძნდა და მაგრამ სწორედ მისი ხელმძღვანელების მიდგომის შედეგი იყო, ხალხი ფეხბურთით შედარებით მეტად რომ ინტერესდებოდა. წინასამატჩო შოუ-პროგრამებით ხალხი სანახაობის სურვილს მცირედით მაინც იკმაყოფილებდა. ანუ, პროფლიგა ფინალს, როგორც იტყვიან, კარგად ფუთავდა.

ამ ორგანიზაციას ფუნქციები 2010 წელს შეუწყდა და ამის შემდეგ თასის ფინალები გაცილებით ნაკლებად „პიარდებოდა". ცხადია, ხალხს ქართული ფეხბურთი თუ არ აინტერესებს, ვერანაირი შოუთი და „პიარით" სტადიონზე ვერ შეიტყუებ. ფეხბურთის დონის მხრივ, დღევანდელზე უკეთესი მდგომარეობა არც მაშინ იყო, თუმცა პროფლიგა ხალხის მიზიდვას მაინც ახერხებდა.

სწორედ ამ ორგანიზაციის დაშლის შემდეგ გახდა აშკარა მაყურებელთა კლების ტენდენცია. თუ 2012 წელს „მიხეილ მესხზე" („დილა"-„ზესტაფონი" 4:1) 7 ათასი მაყურებელი შეიკრიბა, ანუ იმდენი, რამდენიც თბილისის „დინამოსა" და საჩხერის „ჩიხურას" ბოლო ორ ფინალს (ერთად აღებულს) დაესწრო.

ამიტომაც გაჩნდა იდეა, რომ ეროვნულ ჩემპიონატს, თასსა და სუპერთასს ცალკე ორგანიზატორი სჭირდება და უპრიანი იქნებოდა, პროფლიგის აღდგენა. პარალელურად კი აუცილებელია სახელმწიფო პროგრამის დროული ამუშავებაც - მაყურებელს ხომ კარგი ფეხბურთი იზიდავს...

**მერაბ მამულაშვილი**

ფინალები და მაყურებელი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1990 | გურია-ცხუმი | 1:0 | 35 000 |
| 1991/92 | იბერია-ცხუმი | 3:1 | 18 000 |
| 1992/93 | დინამო (თბ)-დინამო (ბთ) | 4:2 | 25 000 |
| 1993/94 | დინამო (თბ)-მეტალურგი | 1:0 | 20 000 |
| 1994/95 | დინამო (თბ)-დინამო (ბთ) | 1:0 | 15 000 |
| 1995/96 | დინამო (თბ)-დინამო (ბთ) | 1:0 დდ | 35 000 |
| 1996/97 | დინამო (თბ)-დინამო (ბთ) | 1:0 | 10 000 |
| 1997/98 | დინამო (ბთ)-დინამო (თბ) | 2:1 დდ | 20 000 |
| 1998/99 | ტორპედო-სამგურალი | 0:0 პენ 4:2 | 9 000 |
| 1999/00 | ლოკომოტივი-ტორპედო | 0:0 პენ 4:2 | 10 000 |
| 2000/01 | ტორპედო-ლოკომოტივი | 0:0 პენ 4:3 | 20 000 |
| 2001/02 | ლოკომოტივი-ტორპედო | 2:0 | 8 000 |
| 2002/03 | დინამო (თბ)-სიონი | 3:1 | 6 000 |
| 2003/04 | დინამო (თბ)-ტორპედო | 2:1 | 15 000 |
| 2004/05 | ლოკომოტივი-ზესტაფონი | 2:0 | 20 000 |
| 2005/06 | ამერი-ზესტაფონი | 2:2 პენ 4:3 | 10 000 |
| 2006/07 | ამერი-ზესტაფონი | 1:0 | 25 000 |
| 2007/08 | ზესტაფონი-ამერი | 2:1 | 25 000 |
| 2008/09 | დინამო (თბ)-ოლიმპი | 1:1 პენ 2:0 | 12 000 |
| 2009/10 | ვიტ ჯორჯია-დინამო (თბ) | 1:0 | 12 000 |
| 2010/11 | გაგრა-ტორპედო | 1:0 დდ | 12 000 |
| 2011/12 | დილა-ზესტაფონი | 4:1 | 7 000 |
| 2012/13 | დინამო (თბ)-ჩიხურა | 3:1 | 3 000 |
| 2013/14 | დინამო (თბ)-ჩიხურა | 2:1 | 4 000 |

ბუცები ლურსმანზე

# სანამ ერთმანეთს სარმებს დავუდებთ...

## კარიერის დასრულების შემდეგ რატი ალექსიძეს უფეხბურთოდ ძალიან უჭირს

**რატი ალექსიძემ** კარიერა დაასრულა. ფეხბურთელი, რომლის საკლუბო ცხოვრება თბილისის „დინამოში" დაიწყო, 1999-02 წლებში ინგლისურ გრანდ „ჩელსიში" ირიცხებოდა. ითამაშა „როსტოვში", თბილისის „ლოკომოტივსა" და უნგრულ „დიორი ეტოში". უკანა კუნთის გაწყვეტის გამო, 2012 წელს უნგრეთიდან წამოვიდა და როცა მომჯობინდა, სურდა, კარიერა გორის „დილაში" გაეგრძელებინა, მაგრამ ფორმის აღდგენა ვერ მოახერხა და, როგორც იტყვიან, ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდა. 1998-2009 წლებში ალექსიძემ ეროვნულ ნაკრებში 28 მატჩი ჩაატარა და 2 გოლი გაიტანა.

ამჟამად, ის უმუშევარია, რასაც ძალიან განიცდის: *„რამდენი წელია, ფეხბურთში ვარ და რაც უნდა გავაკეთო, ამ საქმეს მაინც არ ჩამოვშორდები. იმდენი ნაცნობი მყავს, ისეთი კავშირები მაქვს, მგონია, რომ კარგი საქმის წამოწყება შეიძლება და ეს კავშირები უნდა გამოვიყენო. ჯერ არავინ დამკავშირებია, მაგრამ ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემს ცოდნასა და გამოცდილებას ფეხბურთს მოვახმარ".*

ალექსიძე ამბობს, რომ უფეხბურთოდ გაუჭირდა: *„კარიერა დავასრულე და ბევრი რამ დამაკლდა. წარმოიდგინეთ, დილით რომ არ დაიბანო და კბილები არ გაიხეხო, ზუსტად ასე ვარ. ვიღვიძებ და ინსტინქტურად ვარჯიშზე ვფიქრობ. ეზოში ბავშვები რომ თამაშობენ, ეს ჩემთვის ზეიმია. ხანდახან ვვარჯიშობ, შვილები ფეხბურთზე დამყავს, მაგრამ ფეხბურთიდან წასვლა ძალიან ძნელი ყოფილა, ძლიერი დეპრესია მაქვს. სხვა თუ არაფერი, სტაბილური შემოსავლის გარეშე ცხოვრება ძნელია".*

ალექსიძე ქართულ ფეხბურთში არსებულ მდგომარეობაზეც გველაპარაკა: *„უნგრეთში 5 წელი ვითამაშე და ყოველ სეზონში უკეთესობას ვგრძნობდი. ჩვენ კი რაღაც დაგვემართა. გული მიკვდება, რა დღეშიც ვართ. სანამ ბავშვიდან დაწყებული, მოხუცის ჩათვლით, ყველა ამ მდგომარეობის გამოსწორებაზე არ იზრუნებს და ერთმანეთს სარმებს დავუდებთ, ქართულ ფეხბურთს არაფერი ეშველება. ერთმანეთში სულ მტრებსა და ჩასაფრებულებს ვხედავთ. ვინაა მტყუან-მართალი, ეს საფეხბურთო სამყაროში ყველამ იცის, მაგრამ უმრავლესობას ხომ მის გარეთ დარჩენილი გულშემატკივრები შეადგენენ? ისინი კი ხედავენ, რომ ამ სამყაროში გაუთავებელი კონფლიქტები, უსიამოვნებები და სკანდალებია. ასე გაგრძელება არ შეიძლება. ეს სამყარო უნდა გაერთიანდეს და ვისაც მეტად ესმის საქმე, იმას დავუდგეთ გვერდში, ასეთი კაცი კი აუცილებლად გამოჩნდება. ზღაპრულ და არარეალურ დაპირებას მირჩევნია, ნაღდი თქვას და შეასრულოს. არავის ვერჩი, ყველასთან ვახლობლობ, მაგრამ ჩემთვის მთავარია, რომ 4 შვილიდან 3 - ფეხბურთელი მყავს, ჩემი დისშვილი და ბიძაშვილიც თამაშობენ და მინდა, მათ მაინც ჰქონდეთ ნამდვილი საფეხბურთო გარემო. არავის ვემტერები, მაგრამ ყველამ თავის გულში ჩაიხედოს, რას აკეთებს. ჯერჯერობით, მხოლოდ ის მაიმედებს, რომ რამდენიმე კლუბი კარგ საქმეს აკეთებს - „დინამო", „საბურთალო", „ზესტაფონი", „ლოკომოტივი"... მაგრამ ევროპაში ჩვენმა კლუბებმა და ნაკრებებმა რაიმე ღირებულს რომ მიაღწიონ, საამისოდ, სამი და ოთხი ძლიერი სკოლა არ კმარა, გაცილებით მეტია საჭირო".*



რატი ალექსიძე

**მერაბ მამულაშვილი**

ქართველები უცხოურ მედიაში



ჯაბა კანკავა

# ჯაბა კანკავა ჩემპიონთა ლიგაში მუხლები არ აგვიკანკალდება

**უკრაინის ჩემპიონატი „დნიპრომ" მეორე ადგილზე ჩაამთავრა და ისტორიაში პირველად მოიპოვა ჩემპიონთა ლიგის საგზური. ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს ნაკრების კაპიტან ჯაბა კანკავას, რომელიც, თანაგუნდელი ქართველებისგან განსხვავებით, გუნდის ერთ-ერთი ლიდერია.**

**ჯაბამ სეზონის 19 მატჩი თავიდან ბოლომდე ითამაშა, 6-ჯერ კი შეცვალეს, ან შეცვლაზე შევიდა. კანკავამ „დნიპროს" სულ 4 მატჩი გამოტოვა. დღეისთვის, კანკავა უკრაინის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო საყრდენი ნახევარმცველია. კიდევ უფრო მეტი აღიარება მან მას მერე მოიპოვა, რაც კრიტიკულ სიტუაციაში პირველი დაეხმარა კიევის დინამოელ ოლეგ გუსევს და, ბევრის აზრით, სიკვდილისგან იხსნა...**

**ჩვენებურთან ინტერვიუ გაზეთმა „კომანდამ" ჩაწერა.**

**- ბოლო ტურის მატჩამდე ინტერვიუ არაფრით მოგვეცით. თქვენ სულ ასე იქცევით მნიშვნელოვანი მატჩების წინ?**

- ინტერვიუებს ხშირად არ ვარიგებ. ვამჯობინებ, ჩემი საქმე მოედანზე გავაკეთო ისე, რომ კითხვები არ დარჩეს. ბოლო ტურის წინ მართლაც დანარჩენი მსოფლიოსგან მოწყვეტა და მხოლოდ ფეხბურთზე ფიქრი გვესაჭიროებოდა. ძალიან სასიამოვნოა, როცა არდადეგებზე ვალმოხდილი გადიხარ.

**- რა გითხრათ ბოლო ტურის შემდეგ ხუანდე რამოსმა?**

- დიდი არაფერი - ყველას მოგვილოცა წარმატება და სალამოს ყველა რესტორანში მიგვიწვია, სადაც მთელმა კოლექტივმა აღვნიშნეთ ჩემპიონთა ლიგაზე გასვლა. რამოსმა თქვა, რომ ასეთ რთულ სეზონში მე-2 ადგილზე გასვლა კარგია, მაგრამ უკვე წინ გადადგმულ ნაბიჯებზე, პროგრესზე უნდა ვიფიქროთ.

**- ყველა კმაყოფილი დარჩით მიღწეულით?**

- დიახ, პრეტენზია არავის გამოუხატავს - ჩვენ მართლაც კარგ შედეგს მივაღწიეთ.

**- რისი წყალობით დაიწყო „დნიპრომ" საგაზაფხულო ეტაპი ასე კარგად? თქვენ ხომ „შახტარი" მისსავე მოედანზე დაამარცხეთ...**

- ბიჭები ვგრძნობდით სიმსუბუქეს ფეხებში, კარგად გვიჭრიდა საფეხბურთო გონება, ყველაფერი გამოგვდიოდა. ადრეც გვიჯობნია თამაშით „შახტარისთვის", მაგრამ ვერ ვიგებდით. ახლა ყველაფერი საჩვენოდ მოეწყო.

**- მაგრამ რატომ მოხდა შეფერხება ჩემპიონატის ყველაზე გადამწყვეტ დროს?**

- ასეთი რამ ყველას ემართება. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა პირველი ადგილის დაკავებაც, მაგრამ არ გამოგვივიდა.

**- თქვენი აზრით, რამ უზრუნველყო გუნდის პროგრესი - კარგმა სელექციამ თუ მწვრთნელის მუშაობამ?**

- ორივემ. ვფიქრობ, უკვე ძალიან კარგად ვუგებთ ერთმანეთს. ყველა კარგად ვხვდებით, რა სურს მწვრთნელს. მოკლედ, ყველანი ერთ ტალღაზე ვართ მომართულნი.

**- როგორი მწვრთნელია ხუანდე რამოსი?**

- ის მომთხოვნია. სხვანაირად არ გამოვა, დისციპლინის გარეშე ვერაფერს მიაღწევ. არადა, რამოსი წყნარი ადამიანია.

**- ვის დაასახელებდით „დნიპროს" საუკეთესო ფეხბურთელად სეზონში?**

- ბევრს დავასახელებდი, მაგრამ როტანი, ზოზულია, კონოპლიანკა და მატეუსი გამორჩეულნი არიან. ამათგან რომელიმეს არ გამოვარჩევ.

**- წინა ჩემპიონატებში გოლებიც გაგქონდათ...**

- კარში ახლაც ვურტყამდი, მაგრამ ვერ გავიტანე, მაგრამ მე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანები მქონდა, ვიდრე გოლის გატანაა. ვცდილობდი, რომ აკურატული ვყოფილიყავი, თუმცა 8 გაფრთხილება მაინც დავაგროვე, მაგრამ გაძევებას გადავურჩი.

**- მომავალში ოქროსთვისაც იბრძოლებთ?**

- დიახ, გამოცდილება დავაგროვეთ, ხასიათი ჩამოგვიყალიბდა. და რაც მთავარია, მივხვდით, რომ ჩემპიონობაც შეგვიძლია.

**- ჩემპიონთა ლიგისთვის მზად ხართ?**

- რა თქმა უნდა, „დნიპრო" ევროთასებზე ადრეც გამოდიოდა და მეტოქეებიც არ გვყოლია იოლი. მუხლები არ აგვკანკალებია და ეს არც ლიგაზე მოხდება. არავისი გვეშინია. აი, მხოლოდ დავისვენოთ, ენერგია შევიმატოთ და ვნახოთ...

**- ზაფხული უფრო ხანგრძლივი გამოგდით...**

- თუმცა ჯერ პლაჟზე არ მივდივარ, ეროვნული ნაკრების შეკრებაა. ჩვენ გველის ამხანაგური მატჩი საუდის არაბეთთან. „დნიპროში" კი 23 ივნისს ვიკრიბებით.

მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალიის ნაკრები

# პრანდელიმ კონტრაქტი გაახანგრძლივა



ჩეზარე პრანდელი „სკუადრა აძურაში“ კიდევ მინიმუმ ორი წელი იმუშავებს

იტალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ჩეზარე პრანდელიმ** ფედერკალჩოსთან ხელშეკრულება გაახანგრძლივა, რომლის ძალითაც „სკუადრა აძურას“ დამრიგებელი 2016 წლამდე იქნება. ამ საკითხზე შეთანხმება დაახლოებით ერთი თვის წინ მიაღწიეს, ხელი კი გუშინ მოეწერა. განურჩევლად იმისა, თუ რას მიაღწევს იტალიის ნაკრები მუნდიალზე, გუნდს ევროპის 2016 წლის ჩემპიონატისთვის სენიორ ჩეზარე მოამზადებს.

შეგახსენებთ, რომ ჩეზარე პრანდელი იტალიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელად 2010 წლიდან მუშაობს - ევრო 2012-ზე მისმა გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა, 2013 წელს გამართულ კონფედერაციათა თასზე კი ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.

**ლაშა ნიკლაური**

# დე როსიმ ბალოტელი და კასანო შეაქო

იტალიის ნაკრების შეკრებაზე მყოფმა **დანიელე დე როსიმ მარიო ბალოტელის** შესახებ ისაუბრა და განაცხადა, რომ 23 წლის ფორვარდთან შესანიშნავი ურთიერთობა აქვს და ზოგადად, ის ძალიან დადებით პიროვნებად დაასახელა. დაახლოებით იგივე თქვა **ანტონიო კასანოზეც**:

*„სიმართლე გითხრათ, ვერ ვხვდები, რატომ ითვლება მარიო ბალოტელი უხასიათო და რთულ პიროვნებად. კარგად ვიცნობ მას და არასდროს მსგავსი არაფერი შემინიშნავს. მარიო გახსნილი, მხიარული ადამიანია, რომელიც სანაკრებო შეკრებაზე ყოველთვის კარგ განწყობას ქმნის. იგივე შემიძლია ვთქვა ანტონიო კასანოზე, რომელიც ასევე დადებითი ადამიანის განსახიერებაა. ბალოტელი და კასანო რომ არ იყვნენ, „კოვერჩიანოზე“ ყოფნა გაცილებით მოსაწყენი იქნებოდა“.*

**ლაშა ნიკლაური**




მარიო ბალოტელი, ანტონიო კასანო და დანიელე დე როსი

მილანი

# დონი მილანში?

იტალიურ სპორტულ პრესაში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა, თუ ვინ იქნება მომდევნო სეზონში „მილანის“ მთავარი მწვრთნელი. ჯერჯერობით, **კლარენს ზეედორფი** თავის ადგილზეა, მაგრამ ლომბარდიული გრანდის მესვეურები რომ უკეთეს მწვრთნელს ეძებენ, თქმა არ სჭირდება. ერთი ხანობა, **ლუჩანო სპალეტის** კანდიდატურა პრაქტიკულად გადაწყვეტილად მიიჩნეოდა, შემდეგ **უნაი ემერი** წამოიწია წინა პლანზე, ბოლო დღეებში კი **რობერტო დონადონის** ვარიანტი გამოიკვეთა, „კორიერე დელო სპორტის“ მტკიცებით, „როსონერის“ მესვეურები აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებენ დონთან და დიდია შანსი, შეთანხმება შედგეს. შეგახსენებთ, რომ რობერტო დონადონი ძველი „მილანისტაა“ და საფეხბურთო კარიერა სწორედ ამ გუნდში აქვს გატარებული.



რობერტო დონადონიმ შესაძლოა კლარენს ზეედორფი შეცვალოს

რაც შეეხება დონადონის სამწვრთნელო მოღვაწეობას, მან „ლივორნოში“ მუშაობით გაითქვა სახელი, შემდეგ კი პირდაპირ იტალიის ეროვნული ნაკრები ჩაიბარა. დონი მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს ჩაუდგა სათავეში და ევრო 2008-ზე მეოთხედფინალიდან გავარდნა არ აპატიეს. არადა, „სკუადრა აძურა“ საფეხბურთო ლატარეაში იმ ესპანეთის ნაკრებთან დამარცხდა, რომელმაც შემდეგ ყველაფერი მოიგო როგორც ბებერ კონტინენტზე, ისე მსოფლიოში.

რობერტო დონადონი „პარმას“ მწვრთნელია და ნაყოფიერად მუშაობს - 50 წლის სპეციალისტმა ემილიური გუნდი ევროპალიგაზე გაიყვანა და ამ წარმატების მთავარი შემოქმედი გახლდათ. იტალიურ პრესაში გავრცელებული ცნობების თანახმად, „პარმას“ მესვეურებმა უკვე დაიწყეს ახალი მწვრთნელის ძიება და რამდენიმე კანდიდატს განიხილავენ, მათ შორის **ჯანფრანკო ძოლას, ერნან კრესპოს, მატიას ალმეიდას** და **ფილიპო ინძაგის.**

**ლაშა ნიკლაური**

ამბები

## რუდი გარსია: უნდა გავძლიერდეთ

„რომას“ მთავარი მწვრთნელი **რუდი გარსია** იტალიელ პორტულ ჟურნალისტებს ესაუბრა და განაცხადა, რომ ზაფხულში მისი გუნდი აუცილებლად უნდა გაძლიერდეს. შეგახსენებთ, რომ „ჯალოროსიმ“ სერია A-ში მეორე ადგილი დაიკავა და მომდევნო სეზონში ჩემპიონთა ლიგაზე იასპარეზებს:

*„გასული სეზონი ძალიან საინტერესო გამოდგა და ბევრი ინფორმაცია დაგვიტოვა განსჯისთვის. ერთი ცხადზე უცხადესია, ზაფხულში აუცილებლად უნდა გავძლიერდეთ და რამდენიმე უმაღლესი კლასის ფეხბურთელი დავიმატოთ. სასურველია, რომ ამ მოთამაშეებს ჩემპიონთა ლიგაზე ასპარეზობის გამოცდილება ჰქონდეთ. ამასთან, აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ ყველა წამყვანი ფეხბურთელი, რომლებმაც გასული სეზონის წარმატებაში წვლილი შეიტანეს“.*

## კანდრევა ხელფასის მომატებას ითხოვს

**ანტონიო კანდრევა** „ლაციოს“ ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელია და გასაკვირი არაა, რომ მისი გადაბირება არაერთ კლუბს სურს. ბოლო ინფორმაციით, იტალიის ნაკრების 27 წლის შემტევის თავისთან წაყვანა „იუვენტუსს“ და ფრანგულ პსჟ-ს უნდათ. უფრო მონდომებული ტურინული გრანდი ყოფილა, რომლის მესვეურებიც უკვე შეეხმიანენ რომაელ კოლეგებს. თუმცა, „კორიერე დელო სპორტის“ ცნობით, „ბიანკოჩელესტეს“ პრეზიდენტი **კლაუდიო ლოტიტო** კანდრევასთან განშორებას არ აპირებს და მისთვის ახალ ხელშეკრულებას ამზადებს. ამ თემაზე კომენტარი თავად ფეხბურთელმა გააკეთა:

*„უახლოეს დღეებში აუცილებლად შევხვდები ლოტიტოს და გავიგებ, რა ხელშეკრულება მზადდება ჩემთვის. არ დავმალავ, რომ გაუმჯობესებული კონტრაქტის გაფორმება მსურს და პრეზიდენტთან სწორედ ამ თემაზე მექნება საუბარი. „ლაციოს“ დატოვება ჩემი მიზანი არაა, რომში თავს კარგად ვგრძნობ და სხვა გუნდში გადასვლა ნამდვილად არ გადამიწყვეტია“.*

## ვიოლა დაცვის გაძლიერებას აპირებს

„ფიორენტინას“ მესვეურები ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში გუნდის გაძლიერებას გეგმავენ და რამდენიმე ფეხბურთელის გადაბირებას აქედანვე ცდილობენ. იტალიელ სპორტულ ჟურნალისტთა ცნობით, პირველ ეტაპზე ტოსკანელები დაცვის გაძლიერებას შეეცდებიან, მიზანში კი სამი ფეხბურთელი ჰყავთ ამოღებული: **დივიდე ასტორი** და **ლუკა როსეტინი** „კალიარიდან“, ხოლო **დივიდე სანტონი** „ნიუკასლიდან“.

კლუბის პრეზიდენტმა **ანდრეა დელა ვალემ** დაადასტურა, რომ სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობას აპირებს, მიზანი კი გუნდის ყველა რგოლში გაძლიერებაა. ითქვა ისიც, რომ დიდი მოთხოვნაა „ვიოლას“ 27 წლის მცველ **ფაკუნდო რონკალიაზე**, რომელმაც გასული სეზონი მაღალ დონეზე ჩაატარა.

**ლაშა ნიკლაური**

## პელე: ოღონდ ესპანეთი არა!

რაც უფრო ახლოვდება მსოფლიოს ჩემპიონატი, პელე მით უფრო ხშირად ჩნდება სცენაზე და სხვადასხვა განცხადებებს აკეთებს. 70 წლის პელემ ამჯერად ბრაზილიის ნაკრების სამწვრთნელო შტაბს მისცა რჩევები: *„ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ მუნდიალზე ესპანეთის ნაკრებს არ გადავეყაროთ. თამამად ვიტყვი, რომ ერთადერთ გუნდად, რომელსაც ჩვენი დამარცხება შეუძლია, სწორედ ესპანეთი მიმაჩნია,“* - განაცხადა პელემ ესპანური AS-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

**გოტფრიდ ლენცი**

კალიარი

# კუნძული ამერიკელების მოლოდინში

## ჩელინოს ერთი ფრაზა არ აპატიეს

„გაძეტა დელო სპორტში“ გავრცელებული ცნობის თანახმად, დიდი შანსია, რომ ამ ზაფხულს „კალიარი“ ამერიკელმა ინვესტორებმა იყიდონ. კლუბის პრეზიდენტი **მასიმო ჩელინო** ადასტურებს, რომ ამერიკელებთან მოლაპარაკება უკვე დაწყებულია და შეთანხმების ალბათობაც მაღალია. ამასთან, ჩელინო სინანულით აღნიშნავს, რომ „კალიარის“ გულშემატკივრები კლუბში ამერიკელების მოსვლას გულშემატკივრობენ:

*„მოლაპარაკება მიმდინარეობს და დიდია იმის შანსი, რომ შეთანხმება შედგეს. დასამალი არაფერია, ამერიკელები საკონტროლო პაკეტის სანაცვლოდ 85 მილიონ ევროს იხდიან, თუმცა თანხაზე ჯერ კიდევ გვაქვს სალაპარაკო. ყველაზე მეტად იმაზე მწყდება გული, რომ გულშემატკივრები ამერიკელ ინვესტორებს მოუთმენლად ელიან და ერთი მადლობა არ დასცდენიათ იმის გამო, რომ ამდენი წელია, კლუბს ვინახავ. იმედია, შეთანხმება შედგება და ამერიკელები კლუბს დიდ წარმატებას მოუტანენ. რაც შეეხება ქომაგთა განწყობას, როგორც ჩანს, ეს ჩემმა უწყინარმა ფრაზამ განაპირობა ფიატთან და ფერარისთან დაკავშირებით“.*

საქმე ისაა, რომ ზამთარში მასიმო ჩელინომ ინგლისური კლუბის, „ლიდს იუნაიტედის“ აქციათა საკონტროლო პაკეტი შეიძინა და ასეთი განცხადება გააკეთა: *„კალიარის“ შემდეგ, „ლიდსის“ ყიდვა, ეს იგივეა, რომ „ფიატიდან“ „ფერარიზე“ გადაჯდე.*

ამ ფრაზამ კუნძულ სარდინიაზე დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია - კლუბის პრეზიდენტი გუნდის კაპიტანმა **დანიელე კონტიმ** გააკრიტიკა და ირონიით განაცხადა, სულ რომ ხელფასის გაათმაგებას შეპირდნენ, „კალიარიდან“ სადლაც ინგლისის პერიფერიაში არაფრით არ გადაბარგდებოდა. მოკლედ, იმ დღიდან ჩელინოს არა მარტო გულშემატკივრები, ფეხბურთლებიც კი განუდგნენ, ეს ყველაფერი კი, სავარაუდოდ, კლუბში ამერიკელი ინვესტორების მისვლით დასრულდება.

**ლაშა ნიკლაური**



მასიმო ჩელინო „კალიარის“ ყიდის

მოსაზრება

# ბასლერი: რონალდო ეგოისტი პოზიორია!

გერმანიის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა, ყველასათვის კარგად ნაცნობმა **მარიო ბასლერმა კრიშტიანო რონალდო** გააკრიტიკა. 45 წლის მარიომ პორტუგალიელ ვარსკვლავს „ეგოისტი პოზიორი“ უწოდა.

*„ალბათ ყველამ ნახეთ, როგორ იზეიმა რონალდომ „ატლეტიკოს“ კარში გატანილი ბურთი. ჩემპიონთა ლიგის ფინალში გოლის გატანა, რა თქმა უნდა, ნებისმიერ ფეხბურთელს გააბედნიერებს, მაგრამ კრიშტიანომ, უბრალოდ, კამერების წინ იპოზიორა, იმსახიობა და სინამდვილეში ის გოლი ესე ძალიანაც არ გახარებია. თანაც, გოლი პენალტით გაიტანა და მისი გოლი ოდნავადაც არ იყო გადამწყვეტი, მაგრამ ისე აღნიშნა, თითქოს „რეალმა“ ამ გოლით მოიგო. რონალდო ეგოისტი პოზიორია,“* - უთხრა ბასლერმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

ბასლერი კრიშტიანოსადმი ანტიპათიას არასდროს მალავდა, ახლა კი, ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას აი, რას ამატებს: *„სიამოვნებით ვნახავდი, რას მოიმოქმედებდა, პენალტი რომ ვერ გაეტანა. კრიშტიანო მსოფლიო დონის ვარსკვლავი და ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი რომ არის, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ძალიან ეგოისტია,“* - დასძენს ბასლერი.

მარიომ ლისაბონის ფინალის 1999 წლის ფინალთან შედარება არ ისურვა: *„1999 წელს „ბაიერნს“ გაცილებით ცუდი რამ დაემართა, ვიდრე წელს „ატლეტიკოს“,* - შეგახსენებთ, რომ 1999 წლის ფინალში „ბაიერნი“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ სწორედ ბასლერის გოლით უგებდა და მანჩესტერელებმა ბოლო წუთებზე ორი გოლი გაიტანეს...

**გოტფრიდ ლენცი**



მარიო ბასლერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნდიალი 2014. გერმანიის ნაკრები

# ლიოვს კრამერი მიჰყავს?

## იოგიმ გლადბახის საყრდენი აქო და ადიდა



კრისტოფ კრამერი

**გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იოახიმ ლიოვმა გუშინ სამხრეთ ტიროლში პრესკონფერენცია გამართა - მას მერე, რაც ბუნდესგუნდმა შეკრება დაიწყო, იოგი ჩვენი გერმანელი კოლეგების წინაშე პირველად წარსდგა. ბუნდესმწვრთნელმა შეგირდების მიმართ საქებარი სიტყვები არ დაიშურა, განსაკუთრებით კი ერთი მოთამაშე გამოარჩია.**

*„რაც დრო გადის, უფრო და უფრო ვრწმუნდები იმაში, რომ ბიჭებმა დამღლელი სეზონის შემდეგ ყოველდღიური სტრესი დაივიწყეს და ახლა მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატზე ფიქრობენ. ვხედავ, როგორ ყალიბდებიან ერთმანეთის კონკურენტები ერთმანეთის მეგობრებად და ეს ძალიან მიხარია, რადგან მუნდიალის დარ ტურნირზე გუნდური სულისკვეთება ყველაზე მთავარია,“* - უთხრა **იოახიმ ლიოვმა** ჟურნალისტებს.

### ლამი, ნოიერი, შვაინი - სანერვიულო არაფერია?

იოგის არ ანაღვლებს ის, რომ კაპიტანი **ფილიპ ლამი**, მეკარე **მანუელ ნოიერი** და ნახევარდაცვის შეფი **ბასტიან შვაინშტაიგერი** ჯერ კიდევ არ გამოჯანმრთელებულან. მიუხედავად იმისა, რომ ჯერაც უცნობია, როდის დაიწყებს ეს სამეული სრული დატვირთვით ვარჯიშს, ბუნდესმწვრთნელი ოპტიმისტურადაა განწყობილი და ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ უშუალოდ მუნდიალისსტარტს სამივე სრულ მზადყოფნაში შეხვდება. ლიოვის თქმით, გერმანიის ნაკრების მთავარმა ექიმმა **ჰანს-ვილჰელმ მიულერ-ვოლფარტმა** მას და მის შტაბს მისცა იმის გარანტია, რომ ლამი, შვაინშტაიგერი და ნოიერი მსოფლიოს ჩემპიონატამდე მწყობრში იქნებიან. შესაბამისად, იოგი ამ ტრიოს აუცილებლად შეიყვანს 23-კაციან სიაში, რომელიც მომავალ ორშაბათს უნდა გამოაქვეყნოს.

ლამი გერმანიის თასის ფინალში დაშავდა და გუშინ მსუბუქად ვარჯიში უნდა დაეწყო. შვაინშტაიგერს ჯერ კიდევ რეაბილიტაციის პერიოდი აქვს, ნოიერს კი ექიმები თავზე ადგანან და მის მხარს ფაქტობრივად 24-საათიან რეჟიმში მკურნალობენ. ერთი რამ ცხადია: მომავალ კვირას დაგეგმილ ამხანაგურ მატჩში, რომელშიც გერმანია კამერუნს ხვდება, ვერც ერთი ვერ ითამაშებს.

### ლიოვი კრამერმა გააოცა

გერმანიის ნაკრების თავკაცი შეკრების დაწყებიდან დღემდე ყველაზე მეტად იმ ფეხბურთელითაა კმაყოფილი, რომლისგანაც თავის გამოჩენას ფაქტობრივად არავინ ელოდა და რომელიც თავიდან საერთოდ არ იყო დაპატიჟებული. ალბათ მიხვდით: მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ საყრდენ ნახევარმცველ **კრისტოფ კრამერს** ვგულისხმობთ, რომელიც იოგიმ თავის სიას მოგვიანებით დაამატა.

*„პირდაპირ გეტყვით: კრისტოფი ძალიან კარგი ბიჭია. კრამერი უაღრესად მონდომებულია, დატვირთვებს კარგად უძლებს, ჩამშლელის რანგში სამაგალითო ნახევარმცველია, ორთაბრძოლების აბსოლუტურ უმეტესობას იგებს და ბურთსაც კარგად ფლობს. მისით მართლაც მოხიბლული ვარ და არ დაგიმალავთ, რომ კრამერს ბრაზილიაში წამოსვლის კარგი შანსი აქვს!“* - აღნიშნა ლიოვმა. ჩვენი გერმანელი კოლეგები უკვე თითქმის დარწმუნებულები არიან იმაში, რომ ლიოვი კრამერს ბრაზილიაში წაიყვანს.

თუ ტესტ-მატჩის დროს ფეხბურთელებისთვის ჩამორიგებულ ნომრებს მნიშვნელობა აქვს, მაშინ გამოდის, რომ ლიოვს ბრაზილიაში **ერიკ დურმი, მათიას გინტერი, კევინ ფოლანდი** და სწორედ კრისტოფ კრამერი არ მიჰყავს, თუმცა ამ უკანასკნელის შემთხვევა განსაკუთრებულია. გერმანიის 20-წლამდელთა ნაკრებთან გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში დურმს 24-ნომრიანი მაისურა ეცვა, კრამერს 25-ე ნომერი ჰქონდა, გინტერს 26 და ფოლანდს 27. მაგრამ რაკი ლიოვის 27-კაციან სიას უკვე გამოაკლდა ლარს ბენდერი, იოგიმ სიიდან არა 4, არამედ უკვე 3 მოთამაშის გვარი უნდა ამოშალოს. და რაკი ბუნდესმწვრთნელმა კრამერი ძალიან აქო და თანაც, ეს უკანასკნელი სწორედ ბენდერის პირდაპირი შემცვლელია (ისიც საყრდენი ნახევარმცველია), ისე გამოდის, რომ კრისტოფს სანერვიულო არაფერი აქვს.

### ლამი: ოღონდ მარცხენა მცველი არა!

ლამმა ჯერ კიდევ არ იცის, რომელ პოზიციაზე ათამაშებს მას ლიოვი მუნდიალზე, მაგრამ ერთ რამეს კი გამორიცხავს: კაპიტანს მარცხენა მცველობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა!

*„ხშირად მითქვამს და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ მარცხენა მცველის პოზიციაზე თამაში აღარ მინდა. ასარჩევად რომ მქონდეს საქმე, მარცხნივ ნამდვილად არ ვითამაშებდი. თუ საჭირო გახდა, ნებისმიერ პოზიციაზე დავგდები, მაგრამ ჩემი სურვილია, რომ მარცხნივ არ ვითამაშო. რაც შეეხება მარჯვენა მცველობას ან საყრდენ ნახევარმცველობას, ეს უკვე ნამდვილად სულ ერთია,“* - აცხადებს 30 წლის ლამი.

ფილიპი არ მალავს, რომ რაკი „ბაიერნში“ მატჩების უმეტესობა საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე ჩაატარა, თავს ახლა ნახევარმცველად უფრო გრძნობს, ვიდრე მარჯვენა მცველად. კაპიტანი დასძენს, რომ ლიოვთან ამ საკითხზე ჯერ არ უსაუბრია, მაგრამ იქვე ამატებს, ვიცი, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ზუსტად მეცოდინება, სად გეგმავს იოგი ჩემს გამწესებასო.

**გოტფრიდ ლენცი**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# იმობილე ბარსასაც მოუნდა!

## ლუის ენრიკეს ჩირო ძალიან მოსწონს



ჩირო იმობილეს მთხოვნელების რიგი უდგას

გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ იტალიის ნაკრებისა და „ტორინოს“ თავდამსხმელის, **ჩირო იმობილეს** დორტმუნდის „ბორუსიაში“ ტრანსფერი თითქმის გადაწყვეტილია, მაგრამ ჩვენი ესპანელი კოლეგების ინფორმაციით, 24 წლის ცენტრფორვარდით, რომელიც იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, „ბარსელონაც“ სერიოზულად დაინტერესდა. ესპანურ მედიაში გავრცელებული ცნობების თანახმად, „ბარსამ“ „დორტმუნდს“ იმობილე შეიძლება ცხვირწინ ააცალოს.

გუშინ რამდენიმე ესპანური გაზეთი წერდა, რომ „ტორინოს“ და „იუვენტუსს“ (იმობილეს სატრანსფერო უფლებების ნახევარი ტურინელებს ეკუთვნით) „ბარსელონას“ ხელმძღვანელებიც დაუკავშირდნენ. ისიც დაიწერა, რომ იმობილე „ბარსას“ ახალი მთავარი მწვრთნელის, **ლუის ენრიკეს** ფავორიტია. თავად ჩირომ რამდენჯერმე განაცხადა, რომ „დორტმუნდში“ სურს გადასვლა, მაგრამ დიდი შანსია, რომ „ბარსელონას“ სერიოზულად დაინტერესების შემდეგ აზრი შეიცვალოს. თუმცა იმობილე იმასაც ამბობდა, რომ მისთვის ყველაზე მთავარი თამაშია, „ბარსელონაში“ კი ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას ალბათ ვერ მისცემენ.

ესპანური მედია იმასაც წერს, რომ „დორტმუნდმა“ „ტორინოს“ და „იუვენტუსს“ ჯამში 20 მილიონი ევრო შესთავაზა, მაგრამ ტურინულ კლუბებს იმობილეს სანაცვლოდ 25 მილიონი სურთ. „ბარსელონას“ კოზირი შეიძლება ისიც იყოს, რომ „იუვენტუსს“ კატალონიელებისგან **ალექსის სანჩესის** გადაბირება უნდა...

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები



ბრენდან როჯერსი

### როჯერსი 2018-მდე ლივერპულში დარჩა

**ბრენდან როჯერსმა** „ლივერპულთან“ კონტრაქტი გაახანგრძლივა. ეს ინფორმაცია უკვე ოფიციალურად დადასტურდა კლუბის მიერ, მაგრამ შეთანხმების დეტალები ჯერჯერობით გასაიდუმლოებულია. არ ხმაურდება. თუმცა ინგლისურ პრესას რას გამოაპარებ? თუ იქაურ გამოცემებს ვენდობით, როჯერსი პოსტზე 2018 წლის ზაფხულამდე დარჩება. შეგახსენებთ, რომ იგი მერსისაიდელების მწვრთნელი 2012 წელს გახდა და ახლახან დასრულებული პრემიერლიგა გუნდს კინაღამ მოაგებინა, მაგრამ მეორე ადგილი და დიდი პაუზის მერე ჩემპიოთა ლიგაზე დაბრუნებაც სერიოზული წარმატებაა.

*„დიდ მადლობას ვუხდი ფანებს, რომლებიც იმ ყველაფრის გულს წარმოადგენენ, რასაც ჩვენ აქ ვაკეთებთ“* - ეს კი თავად 41 წლის სპეციალისტის სიტყვებია.

### მარკინიოსი და ბარსა გადაწყდა?

როგორც ამბობენ, „ბარსელონა“ და „პარი სენ-ჟერმენი“ უკვე შეთანხმდნენ **მარკინიოსის** ტრანსფერზე და ბრაზილიელი მცველი მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ოფიციალურად გახდება „ბარსას“ ფეხბურთელი. ტრანსფერის სავარაუდო ღირებულება 35 მილიონი ევროა, მაგრამ თუ კატალონიელები საქმეში **დანი ალვეშს** ჩართავენ, პარიზელები, ცხადია, ნაკლებ თანხაზეც იქნებიან თანახმანი. 20 წლის მარკინიოსი **ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** განაცხადს მიღმა კი დატოვა, მაგრამ მას მშვენიერი სეზონი ჰქონდა. გარდა ამისა, „ბარსა“ „რომას“ მაროკოელი უკანახაზელის, **მეჰდი ბენატიას** შეძენითაა დაინტერესებული და „გლადიატორებისთვის“ შეთავაზებას ამზადებს.

### დიეგო კოშტამ შეიძლება მუნდიალი გამოტოვოს

ექიმების დიაგნოზით, **დიეგო კოშტას** რეაბილიტაციისთვის 15 დღე დასჭირდება, რაც ნიშნავს იმას, რომ გაესპანელებულმა ბრაზილიელმა შესაძლოა, მსოფლიოს ჩემპიონატი გამოტოვოს. ცოტა ხნის წინ **ვისენტე დელ ბოსკემ** თქვა, რომ მუნდიალზე გაემგზავრებიან ის ფეხბურთელები, რომლებიც ბოლომდე მზად იქნებიან 13 ივნისს ჰოლანდიასთან გასამართავი შეხვედრისთვის. ჩადგება თუ არა მწყობრში იმ დროისთვის 25 წლის თავდამსხმელი და რა კონდიციაში იქნება, ეს საკითხავია, ხოლო დელ ბოსკემ საბოლოო სია 2 ივნისს უნდა გააცხადოს. შეგახსენებთ, რომ დიეგო კოშტამ მუხლის ტრავმის რეაბილიტაციას ერთგვარი ფორსირება მოახდინა და მინდორს ნაადრევად დაუბრუნდა, რადგან „რეალთან“ ჩემპიონთა ლიგის ფინალის გამოტოვება არ სურდა, მაგრამ უკვე მე-9 წუთზე იგი შესაცვლელი შეიქნა.



დიეგო კოშტა (მარცხნივ)

### ხორვატიას კრანჩარიც გამოაკლდა

ხორვატიის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე **ნიკო კრანჩარი** ვერ დაეხმარება. 29 წლის ნახევარმცველი, რომელიც კიევის „დინამოს“ საკუთრებაა და გასული სეზონი „ქუინზ პარკ რეინჯერსში“ იჯარის წესით გაატარა, “უემბლიზე” ჩემპიონშიპის პლეი ოფის ფინალში „დერბისთან“ შეხვედრისას დაშავდა. აქამდე ცნობილი გახლდათ, რომ მუნდიალზე ხორვატებს „ჰამბურგის“ ნახევარმცველი **ივო ივიჩევიჩი** და „დნიპროს“ მცველი **ივან სტრინიჩი** გამოაკლდებოდნენ.

*„ძალიან ვწუხვარ კრანჩარის გამო და ვიცი, ეს რა ძნელია მისთვის. თანაც მსოფლიოს ჩემპიონატი ბრაზილიაშია, ეს განსაკუთრებული მოვლენაა“* - თქვა ნაკრების თავკაცმა **ნიკო კოვაჩმა**.

### ვის დარჩება გრიზმანი?

ლონდონის „არსენალი“ და ტურინის „იუვენტუსი“ **ანტუან გრიზმანზე** ნადირობას აგრძელებენ. „რეალ სოსიედადის“ ფრანგი თავდამსხმელის გადაბირების მეტი შანსი, კულუარული ინფორმაციით, „მეთოფეებს“ აქვთ, რომლებიც 24 მილიონ ევროს იხდიან, თუმცა „ბებერი ქალბატონი“ დანებებას არ აპირებს და საკუთარ მიმზიდველ წინადადებას ამზადებს. თუმცა არც ის დავივიწყოთ, რომ 23 წლის შემტევისადმი ინტერესს „პარი სენ-ჟერმენიც“ გამოხატავს.

**გიორგი პაპაშაძე**

● ევროპა. 2013/14 წლების სეზონი

# ევროპა: ჩემპიონები, პრიზიორები, ბომბარდირები...



„ოლიმპიაკოსმა“ ჯერ კიდევ მარტში მოიგო საბერძნეთის ჩემპიონატი 41-ედ

უეფას მიერ აღიარებული 54 ქვეყნიდან თითქმის ყველგან გაილია საფეხბურთო სეზონი და ვიდრე საბოლოოდ გადავერთვებოდეთ სამუნდიალო თემებზე, კიდევ ერთხელ გადავხედოთ ევროპული ფეხბურთის ტრიუმფატორებს...

ყველა ვთქვით, მაგრამ ბუნებრივია, ასე არ არის - 54 ქვეყნიდან 11-ში (ბელარუსი, შვედეთი, ნორვეგია, ყაზახეთი, ფინეთი, ისლანდია, ლატვია, ლიტვა, ირლანდია, ესტონეთი და ფარერები) კლიმატის სხვაობის გამო, ჩემპიონატები გაზაფხული-შემოდგომის სისტემით იმართება.

და კიდევ... პოლონეთში, ჩეხეთში, სერბეთში, სლოვაკეთში, უნგრეთში და ჩერნოგორიაში სეზონი არ დასრულებულა. ამ ქვეყნებში თითო ტური დარჩა გასამართავი. კვიპროსში კი ერთი მატჩი უნდა გადათამაშდეს, რომელიც ჩემპიონის ვინაობას არკვევს.

თუმცა ძირითადად საკლუბო ფეხბურთის 2013/14 წლების სეზონი მორჩენილია. გაგაცნობთ ჩემპიონებს, პრიზიორებს, თასის, მფლობელებსა და ბომბარდირებს.

### ჩემპიონთა ლიგა

**გამარჯვებული:** რეალი (ესპანეთი)
**ფინალისტი:** ატლეტიკო (ესპანეთი)
**ბომბარდირი:** **კრიშტიანო რონალდო** (რეალი) - 17 გოლი

### ევროპალიგა

**გამარჯვებული:** სევილია (ესპანეთი)
**ფინალისტი:** ბენფიკა (პორტუგალია)
**ბომბარდირი:** **ხონათან სორიანო** (ზალცბურგი) - 8

### ესპანეთი

**ჩემპიონი:** ატლეტიკო - 90 ქულა; II ადგილი - ბარსელონა - 87; III - რეალი - 87
**თასი:** რეალი
**ბომბარდირი:** **კრიშტიანო რონალდო** (რეალი) - 31 გოლი

### ინგლისი

**ჩემპიონი:** მანჩესტერ სიტი - 86; II - ლივერპული - 84; III - ჩელსი - 82
**თასი:** არსენალი
**ლიგის თასი:** მანჩესტერ სიტი
**ბომბარდირი:** **ლუის სუარესი** (ლივერპული) - 31

### გერმანია

**ჩემპიონი:** ბაიერნი - 90; II - დორტმუნდი - 71; III - შალკე - 64
**თასი:** ბაიერნი
**ბომბარდირი:** **რობერტ ლევანდოვსკი** (დორტმუნდი) - 20

### იტალია

**ჩემპიონი:** იუვენტუსი - 102; II - რომა - 85; III - ნაპოლი - 78
**თასი:** ნაპოლი
**ბომბარდირი:** **ჩირო იმობილე** (ტორინო) - 22

### საფრანგეთი

**ჩემპიონი:** პსჟ - 89; II - მონაკო - 80; III - ლილი - 71
**თასი:** გენგამი
**ლიგის თასი:** პსჟ
**ბომბარდირი:** **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** (პსჟ) - 26

### პორტუგალია

**ჩემპიონი:** ბენფიკა - 74; II - სპორტინგი - 67; III - პორტუ - 61
**თასი:** ბენფიკა
**ლიგის თასი:** ბენფიკა
**ბომბარდირები:** **ჯექსონ მარტინესი** (პორტუ) - 20

### უკრაინა

**ჩემპიონი:** შახტარი - 65; II - დნიპრო - 59; III - მეტალისტი - 57
**თასი:** დინამო
**ბომბარდირი:** **ლუიზ ადრიანო** (შახტარი) - 20

### რუსეთი

**ჩემპიონი:** ცსკა - 64; II - ზენიტი - 63; III - ლოკომოტივი - 59
**თასი:** როსტოვი
**ბომბარდირი:** **სეიდუ დუმბია** (ცსკა) - 18

### ჰოლანდია

**ჩემპიონი:** აიაქსი - 71; II - ფეიენოორდი - 67; III - ტვენტე - 63
**თასი:** ზვოლე
**ბომბარდირი:** **ალფრედ ფინბოგასონი** (ჰეერენვეენი) - 29

### თურქეთი

**ჩემპიონი:** ფენერბაჰჩე - 74; II - გალათასარაი - 65; III - ბეშიქთაში - 62
**თასი:** გალათასარაი
**ბომბარდირი:** **აიტიფ შაეშუ** (სივასი) - 17

### ბელგია

**ჩემპიონი:** ანდერლეხტი - 51; II - სტანდარდი - 49; III - ბრიუგე - 48
**თასი:** ლოკერენი
**ბომბარდირი:** **ჰამდი ჰარბაუი** (ლოკერენი) - 22

### საბერძნეთი

**ჩემპიონი:** ოლიმპიაკოსი - 86; II - პაოკ - 69; III - ატრომიტოსი - 66
**თასი:** პანათინაიკოსი
**ბომბარდირი:** **ესტებან სოლარი** (ქსანთი) - 16

### შვეიცარია

**ჩემპიონი:** ბაზელი - 72; II - გრასჰოპერი - 65; III - იანგ ბოისი - 59
**თასი:** ციურიხი
**ბომბარდირი:** **შკელზენ გაში** (გრასჰოპერი) - 19

### კვიპროსი

I: აელ - 81; II - აპოელ - 78; III - აპოლონი - 77
**შენიშვნა:** ბოლო ტურში აელ-აპოელ 2:2-ზე ჩაიშალა. მატჩი 4 ივნისს ლარნაკაში გადათამაშდება.
**თასი:** აპოელ
**ბომბარდირი:** **გასტონ სანგოი** (აპოლონი) - 16

### დანია

**ჩემპიონი:** ოლბორგი - 62; II - კოპენჰაგენი - 56; III - მიდტიულანდი - 55
**თასი:** ოლბორგი
**ბომბარდირი:** **თომას დალგაარდი** (ვიბორგი) - 18

### ავსტრია

**ჩემპიონი:** ზალცბურგი - 80; II - რაპიდი - 62; III - გრიოდიგი - 54
**თასი:** ზალცბურგი
**ბომბარდირი:** **ხონათან სორიანო** (ზალცბურგი) - 31

### ჩეხეთი

**ჩემპიონი:** სპარტა; II - პლზენი; III - მლადა ან ლიბერეცი
(ჩემპიონატის დასრულებამდე 1 ტური რჩება)
**თასი:** სპარტა

### რუმინეთი

**ჩემპიონი:** სტიაუა - 77; II - ასტრა - 72; III - პეტროლული - 68
**თასი:** ასტრა
**ბომბარდირი:** **ლივიუ ანტალი** (ვასლუი) - 16

### ისრაელი

**ჩემპიონი:** მაკაბი თ. ა. - 84; II - ბეერ შევა - 68; III - ირონი - 64
**თასი:** ირონი
**ბომბარდირი:** **ერან ზაჰავი** (მაკაბი თ. ა.) - 29

### ხორვატია

**ჩემპიონი:** დინამო - 81; II - რიეკა - 73; III - ჰაიდუკი - 62
**თასი:** რიეკა
**ბომბარდირი:** **დუიე ჩოპი** (დინამო) - 22

### პოლონეთი

**ჩემპიონი:** ლეგია
2 ტური დარჩა
**თასი:** ზავიშა

### შოტლანდია

**ჩემპიონი:** სელტიკი - 99; II - მოზერუელი - 70; III - აბერდინი - 68
**თასი:** სტ. ჯონსტონი
**ლიგის თასი:** აბერდინი
**ბომბარდირი:** **კრის ქომონსი** (სელტიკი) - 27

### ბულგარეთი

**ჩემპიონი:** ლუდოგორეცი - 84; II - ცსკა - 72; III - ლოვეჩი - 72
**თასი:** ლუდოგორეცი
**ბომბარდირი:** **ვილმარ ჟორდანი** (ლოვეჩი), **მარტინ კამბუროვი** (ლოკომოტივი პლ) - 20-20

### სერბეთი

1 ტური დარჩა
**თასი:** ვოივოდინა

### უნგრეთი

1 ტური დარჩა
**თასი:** უიპეშტი ან დიოშდიორი

### სლოვენია

**ჩემპიონი:** მარიბორი - 77; II - კოპერი - 69; III - რუდარი - 63
**თასი:** გორიცა
**ბომბარდირი:** **მატე ეტეროვიჩი** (რუდარი) - 19

### სლოვაკეთი

**ჩემპიონი:** სლოვანი; II - ტრენჩინი; III - ტრნავა
1 ტური დარჩა
**თასი:** კოშიცე

### მოლდოვა

**ჩემპიონი:** შერიფი - 87; II - ტირასპოლი - 72; III - ვერისი - 71
**თასი:** ზიმბრუ
**ბომბარდირი:** **ენრიკე ლუვანორი** (შერიფი) - 26

### აზერბაიჯანი

**ჩემპიონი:** ყარაბაღი - 72; II - ინტერი - 67; III - გაბალა - 61
**თასი:** ნეფთჩი
**ბომბარდირი:** **რეინალდო** (ყარაბაღი) - 22

### საქართველო

**ჩემპიონი:** დინამო - 68; II - ზესტაფონი - 62; III - სიონი - 55
**თასი:** დინამო
**ბომბარდირი:** **ჩისკო მუნიოსი** (დინამო) - 19

### ბოსნია

**ჩემპიონი:** ზრინსკი - 61; II - შიროკი ბრიეგი - 59; III - სარაევო - 58
**თასი:** სარაევო
**ბომბარდირი:** **ვაგნერი** (შიროკი ბრიეგი) - 18

### ჩერნოგორია

1 ტური დარჩა
**თასი:** ლოვჩენი

### ალბანეთი

**ჩემპიონი:** შკიონდერბეუ - 61; II - კუკიოში - 57; III - ლაჯი - 54
**თასი:** ფლამურტარი
**ბომბარდირი:** **პერო პეიჩი** (შკიონდერბეუ) - 20

### მაკედონია

**ჩემპიონი:** რაბოტნიჩკი - 62; II - ტურნოვო - 60; III - მეტალურგი - 59
**თასი:** რაბოტნიჩკი
**ბომბარდირი:** **დეიან ბლაჟევსკი** (ტურნოვო) - 19

### ლუქსემბურგი

**ჩემპიონი:** დუდელანჟი - 61; II - ფოლა ეში - 59; III - დიფერდანჟი - 51
**თასი:** დიფერდანჟი
**ბომბარდირი:** **სანელ იბრაჰიმოვიჩი** (ჟენეს ეში) - 22

### მალტა

**ჩემპიონი:** ვალეტა - 51; II - ბირკირკარა - 50; III - ჰიბერნიანსი - 35
**თასი:** ვალეტა
**ბომბარდირები:** **ტარაბაი** (ჰიბერნიანსი), **სტენლი ოჰავუჩი** (სლიემა), **ჯონათანი** (ბირკირკარა) - 21-21

### ლიხტენშტეინი

ჩემპიონატი არ ტარდება
**თასი:** ვადუცი

### ჩრდ. ირლანდია

**ჩემპიონი:** კლიფტონვილი - 85; II - ლინფილდი - 79; III - კრუზეიდერსი - 66
**თასი:** გლენოვანი
**ბომბარდირი:** **ჯო გორმლი** (კლიფტონვილი) - 27

### უელსი

**ჩემპიონი:** ნიუ სეინტსი - 73; II - აირბუსი - 59; III - კარმარტენი - 48
**თასი:** ნიუ სეინტსი
**ლიგის თასი:** კარმარტენი
**ბომბარდირი:** **რის გრიფიტსი** (პორტ ტალბოტი) - 14

### სომხეთი

**ჩემპიონი:** ბანანცი - 50; II - შირაკი - 47; III - მიკა - 47
**თასი:** პიუნიკი
**ბომბარდირი:** **მიჰრან მანასიანი** (ალაშკერტი) - 17

### სან მარინო

**თასი:** ლიბერტასი

### ანდორა

**ჩემპიონი:** ფ.კ. სანტა კოლომა - 42; II - უ.ე. სანტა კოლომა - 39; III - სანტ ხულია - 38
**თასი:** სანტ ხულია

### გიბრალტარი

**ჩემპიონი:** ლინკოლნი - 36; II - მანჩესტერ იუნაიტედი - 30; III - ლინქსი - 29
**თასი:** ლინკოლნი
**ლიგის თასი:** ლინკოლნი
**ბომბარდირი:** **ჯონ-პოლ დუარტე** (ლინკოლნი) - 15

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ბრაზილია. სერია A. VII ტური

# კრუზეირო შეუჩერებელია

## ფლუს რობერტ კენედიმ მოაგებინა

**ბაია–ფლუმინენსე 0:1**

**გოლი:** 0:1 კენედი (4)

**სან პაულო–გრემიო 1:0**

**გოლი:** 1:0 ლუკას სილვა (61)

**სპორტ რესიფე–კორინთიანსი 1:4**

**გოლები:** 0:1 რომარინიო (20), 1:1 აუგუსტო (28), 1:2 ჟადსონი (38), 1:3 ჟადსონი (55-პენ), 1:4 რომარინიო (68)

**გაძევება:** დურვალი (53. სპორტ რესიფე), ნეტო ბაიანო (71. სპორტ რესიფე)

**სანტოსი–ფლამენგო 0:0**

**გაძევება:** ჟეუვანიო (76. სანტოსი)

**ატლ. პარანაენსე–კორიტიბა 2:0**

**გოლები:** 1:0 მარკოს გილერმე (56), 2:0 ლუკას კლარო (58-საკ. კარში)

**ფიგეირენსე–გოიასი 0:1**

**გოლი:** 0:1 ჯექსონი (5)

**ბოტაფოგო–ვიტორია 1:1**

**გოლები:** 1:0 ემერსონ შეიკი (43), 1:1 დინეი (69)

**ინტერნასიონ.–კრუზეირო 1:3**

**გოლები:** 1:0 ველინგტონი (39), 1:1 რიკარდო გულარტი (43), 1:2 ვილიანი (70), 1:3 მ. მორენო (88)

**შაპეკოენსე–პალმეირასი 2:0**

**გოლები:** 1:0 ტიაგო ლუიში (42), 2:0 დედე (47)

**ატლ. მინეირო–კრისიუმა 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კრუზეირო | 7 | 5 | 1 | 1 | 15-9 | 16 |
| 2. ფლუმინენსე | 7 | 5 | 0 | 2 | 13-5 | 15 |
| 3. გოიასი | 7 | 4 | 2 | 1 | 7-4 | 14 |
| 4. გრემიო | 7 | 4 | 1 | 2 | 7-5 | 13 |
| 5. პალმეირასი | 7 | 4 | 0 | 3 | 8-8 | 12 |
| 6. კორინთიანსი | 7 | 3 | 3 | 1 | 9-4 | 12 |
| 7. სან პაულო | 7 | 3 | 3 | 1 | 12-9 | 12 |
| 8. ინტერნასიონ. | 7 | 3 | 3 | 1 | 9-8 | 12 |
| 9. ატლ. მინეირო | 7 | 3 | 2 | 2 | 8-7 | 11 |
| 10. ატლ. პარანაენ. | 7 | 2 | 3 | 2 | 10-9 | 9 |
| 11. ბაია | 6 | 2 | 2 | 2 | 6-5 | 8 |
| 12. კრისიუმა | 7 | 2 | 2 | 3 | 3-9 | 8 |
| 13. სანტოსი | 7 | 1 | 5 | 1 | 6-5 | 8 |
| 14. სპორტ რესიფე | 6 | 2 | 1 | 3 | 6-10 | 7 |
| 15. ვიტორია | 7 | 1 | 3 | 3 | 8-10 | 6 |
| 16. ფლამენგო | 7 | 1 | 3 | 3 | 5-9 | 6 |
| 17. ბოტაფოგო | 7 | 1 | 2 | 4 | 10-11 | 5 |
| 18. შაპეკოენსე | 7 | 1 | 2 | 4 | 5-7 | 5 |
| 19. კორიტიბა | 7 | 0 | 4 | 3 | 5-9 | 4 |
| 20. ფიგეირენსე | 7 | 1 | 0 | 6 | 1-10 | 3 |

**ბომბარდირები:** 5 - მ. მორენო (კრუზეირო); 4 - ემერსონ შეიკი (ბოტაფოგო), რიკარდო გულარტი (კრუზეირო)

ბრაზილიის ჩემპიონატში მე-7 ტურის მატჩები გაიმართა, რომლის შემდეგაც სატურნირო ცხრილში ერთპიროვნულად გალიდერდა მოქმედი ჩემპიონი „კრუზეირო“, ვინც სტუმრად „ინტერნასიონალს“ სძლია, თანალიდერმა „გრემიომ“ კი ასევე სტუმრად „სან პაულოსთან“ წააგო, რომელთანაც 5-მატჩიანი დაუმარცხებელი (4 მოგება, 1 ფრე) სერია ჰქონდა.

ტურის ყველაზე საინტერესო მატჩი სწორედ „ინტერსა“ და „კრუზეიროს“ შორის შედგა. პირველმა ტაიმმა თანაბარ ორთაბრძოლაში ჩაიარა და გუნდებმა თითო გოლიც გაცვალეს. ჯერ **ველინგტონის** გოლით მასპინძლები დაწინაურდნენ, რამდენიმე წუთში კი ანგარიში **რიკარდო გულარტმა** გაათანაბრა. მეორე ნახევარში გოლები მხოლოდ **დიდას** კარში გავიდა - **ვილიანმა** და **მარსელო მორენომ** ვეტერან მეკარეს აჯობეს და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირეს - 1:3. აღსანიშნავია, რომ „კრუზეირომ“ „ინტერს“ სტუმრად ბოლო ექვსი მატჩიდან მეოთხედ მოუგო, არადა, პორტუ ალეგრიში გამართული წინა 26 შეხვედრიდან „მელიებმა“ მეტოქეს მხოლოდ ორჯერ სძლიეს.

მეორე ადგილზეა 2012 წლის ჩემპიონი „ფლუმინენსე“, ვინც „ბაიას“ 4-მატჩიანი წაუგებელი სერია დაასრულა. რომელმაც პირველ ტურში „კრუზეირონსთან“ მარცხით დაიწყო ასპარეზობა. შეხვედრის ერთადერთი გოლი დებიუტში, მე-4 წუთზე **კენედიმ** გაიტანა. 18 წლის რობერტ კენედი (!) ნუნიეს დი ნასიმენტოსთვის ეს კარიერაში პირველი ბურთი იყო.

დიდი ანგარიშით იმარჯვა „კორინთიანსმა“, რომლის რიგებშიც ორ-ორი გოლით თავი **რომარინიომ** და **ჟადსონმა** გამოიჩინეს. ჩემპიონატში თავისი მე-4 გოლი გაიტანა **ემერსონ შეიკმა**, მაგრამ მისი „ბოტაფოგო“ „ვიტორიასთან“ მხოლოდ ფრეს დასჯერდა. ასევე ვერ მოიგო „ფლამენგომ“, ვინც „ფოგოს“ მსგავსად, ცხრილის ქვედა ნაწილშია.

სამაგიეროდ, პირველი გამარჯვება მოიპოვა დებიუტანმა „შაპეკოენსემ“. სანტა კატარინას შტატის წარმომადგენლებმა საკუთარ მოედანზე „პალმეირასს“ სძლიეს და სერია A-ში ისტორიაში პირველი გამარჯვება მოიპოვეს. შეგახსენებთ, რომ ამ კლუბს ბრაზილიის ჩემპიონატში აქამდე სულ ორჯერ ჰქონდა ნათამაშები, მაგრამ ეს ყველაფერი 70-იანი წლების ბოლოს ხდებოდა, როდესაც უცნაური სისტემის გამო, უმაღლეს ლიგაში 80-მდე გუნდი იყო.

**ტატო ბაციკაძე**



ვილიანი (მარცხნივ) და მარსელო მორენო (შუაში) მორიგი გოლის შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა ციფრებში

# რონალდოს ტრიუმფის სეზონი



კრიშტიანო რონალდოს სარეკორდო, მე-15 გოლი

**გასრულდა** ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის, ჩემპიონთა ლიგის რიგით 59-ე გათამაშება. დღეს სტატისტიკის მოყვარულებს საინტერესო ციფრებს მივაწვდით, რომელიც ამ ტურნირს ეხება.

**10** - გარდა იმისა, რომ „რეალმა" ისტორიაში მეათე ტიტული მოიპოვა, ჯგუფური ეტაპის მეხუთე ტურში მიუნხენის „ბაიერნი" გახდა პირველი გუნდი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ 10 მატჩი მოიგო. მოსკოვის ცსკა-ს დამარცხებით (3:1), გერმანელებმა „ბარსელონას" რეკორდი დაამხეს, რომელიც კატალონიურმა კლუბმა 2002-2003 წლებში დაამყარა, როცა ზედიზედ 9 შეხვედრა მოიგო. ბოლო ტურში „მანჩესტერ სიტისთან" წაგების გამო, „ბაიერნი" ვერ გახდა ისტორიაში მხოლოდ მეექვსე კლუბი „მილანის" (1992/93), „პარი სენ-ჟერმენის" (1994/95), „სპარტაკის" (1995/96), „ბარსელონას" (2002/03) და „რეალის" (2011/12) შემდეგ, რომელიც ჯგუფური ეტაპის ყველა შეხვედრას მოიგებდა.

**17** - **კრიშტიანო რონალდომ** ჯგუფური ეტაპი „გალათასარაისთან" (6:1) შესრულებული ჰეთთრიქით დაიწყო. მეორე და მესამე ტურში, „კოპენჰაგენის" და „იუვენტუსის" კარში პორტუგალიელმა ორ-ორი გოლი გაიტანა, საპასუხო მატჩებში კი თავი თითოჯერ გამოიჩინა. საბოლოოდ, ჯგუფურ ეტაპზე რონალდომ 9 გოლი გაიტანა და ახალი რეკორდი დაამყარა. ამის შემდეგ, 1/8 ფინალში „შალკესთან", „რეალის" მე-7 ნომერმა ორივე შეხვედრაში დუბლი შეასრულა, მომდევნო ეტაპზე კი „ბორუსიასთან" პირველ შეხვედრაში კიდევ ერთი გოლი გაიტანა. პირველად მოედანი უგოლოდ კრიშტიანომ თავისთვის მე-9 შეხვედრაში, „ბაიერნთან" პირველი ნახევარფინალური მატჩის შემდეგ დატოვა, სამაგიეროდ, საპასუხო მატჩში მან ორი გოლი გაიტანა და ჩემპიონთა ლიგის რეკორდიც მოხსნა, რომელიც აქამდე **ლიონელ მესის** საკუთრება იყო. ლისაბონში, ფინალურ შეხვედრაში პენალტით გატანილი ბურთი კი მისთვის მე-17 გამოდგა.

**1** - მეორე ტურში, 24-საათიანი ინტერვალით, ჩემპიონთა ლიგის ორი შეხვედრა ერთ სტადიონზე გაიმართა, რაც ტურნირის ისტორიაში პირველად მოხდა. სანკტ-პეტერბურგის სტადიონმა „პეტროვსკიმ" ჯერ „ზენიტის" და ვენის „აუსტრიას" შეხვედრას უმასპინძლა, მეორე დღეს კი მოსკოვის ცსკა-ს და „პლზენის" დაპირისპირებას.

**69** - „მანჩესტერ იუნაიტედის" და „რეალ სოსიედადის" შეხვედრის 69-ე წამზე, ბასკების მცველმა **ინიგო მარტინესმა** საკუთარი კარი დალაშქრა და ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში ყველაზე სწრაფი ავტოგოლი გაიტანა. აქამდე რეკორდი რუმინული „უნირეას" ფეხბურთელს, **რიკარდო გომეშ ვილანას** ეკუთვნოდა, ვინც 2009 წლის 20 სექტემბერს, „აიბროქსზე", „რეინჯერსთან" შეხვედრაში საკუთარ კარში 89-ე წამზე გაიტანა.

**128** - **რომან კინასტის** მიერ მეხუთე ტურში „პორტუს" კარში გატანილი გოლი ვენის „აუსტრიასთვის" პირველი იყო, რაც ნიშნავდა იმას, რომ იმ 128 გუნდიდან, ვისაც ჩემპიონთა ლიგაში უთამაშია, მინიმუმ ერთი გოლი ყველას გაუტანია.

**0-0** - მეოთხე ტურში, „სოსიედადთან" სტუმრად „მანჩესტერ იუნაიტედმა" 0:0 ითამაშა. ეს იყო მე-20 შემთხვევა, როდესაც „იუნაიტედის" მონაწილეობით გამართული მატჩი უგოლოდ დასრულდა. ამ შედეგით, ინგლისურმა კლუბმა „მილანის" რეკორდი გაიმეორა. ამავე ტურში, ჯგუფის მეორე შეხვედრაც, „შახტარსა" და ლევერკუზენის „ბაიერს" შორის, 0:0 დასრულდა. ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში სულ მეშვიდედ მოხდა ისე, რომ ერთი ჯგუფის გუნდებმა ტური გოლის გარეშე დაასრულეს.

**4** - **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** გახდა მეათე ფეხბურთელი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის ერთ შეხვედრაში პოკერი შეასრულა. შვედმა ფორვარდმა ოთხი გოლი მესამე ტურში, „ანდერლეხტის" კარში გაიტანა, პსჟ-მ კი გასვლაზე 5:0 მოიგო და ევროთასებზე სტუმრად ყველაზე დიდი გამარჯვება მოიპოვა. ერთადერთი ფეხბურთელი, რომელმაც ლიგის შეხვედრაში ხუთი გოლი გაიტანა ლიონელ მესი გახლავთ - არგენტინელმა 2012 წლის 7 მარტს, ლევერკუზენის „ბაიერთან" საშინაო შეხვედრაში, რომელიც „ბარსელონამ" 7:1 მოიგო, მეტოქის კარი 5-ჯერ აილო.

**16** - მეორე ტურში, „ანდერლეხტის" ნახევარმცველი **იური ტილემანსი** ისტორიაში მესამე ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი გახდა, ვისაც ჩემპიონთა ლიგაში უთამაშია. 16 წლის და 148 დღის ასაკში, ტილემანსმა „ოლიმპიაკოსთან" შეხვედრაში მინდორზე 90 წუთი გაატარა. მასზე ახალგაზრდულ ასაკში ჩემპიონთა ლიგაში მხოლოდ **სელესტინ ბაბაიაროს** (16 წლის და 87 დღის, „ანდერხელტი"-"სტიაუა" 1:1, 23/11/1994) და **ალენ ჰალილოვიჩს** (16 წლის და 128 დღის, ზარების „დინამო"-პსჟ 0:2, 24/10/2012) უთამაშიათ.

**3** - „ანდერლეხტის" და „ოლიმპიაკოსის" შეხვედრაში კიდევ ერთ მნიშვნელოვან მოვლენას ჰქონდა ადგილი: **კოსტას მიტროლლუმ** სტუმრების სამივე გოლი გაიტანა, საკუთარ გუნდს 3:0 მოაგებინა და ისტორიაში პირველი ბერძენი ფეხბურთელი გახდა, ვინც ჩემპიონთა ლიგაში ჰეთთრიქი შეასრულა.

**5** - „მილანთან" ერთად, 2003 და 2007 წლებში მოგებული ტიტულების შემდეგ, **კარლო ანჩელოტი** ისტორიაში მეხუთე მწვრთნელი გახდა, ვინც ჩემპიონთა ლიგის მოგება ორ გუნდთან ერთად შეძლო. მანამდე, მსგავსი რამ **ერნსტ ჰაპელმა** („ფეიენოორდი" - 1970, „ჰამბურგი" - 1983), **ოტმარ ჰიტცფელდმა** (დორტმუნდის „ბორუსია" - 1997, „ბაიერნი" - 2001), **ჟოზე მოურინიომ** („პორტუ" - 2004, „ინტერი" - 2010) და **იუპ ჰაინკესმა** („რეალი" - 1998, „ბაიერნი" - 2013) გააკეთეს. ასევე, ანჩელოტი „ლივერპულის" ლეგენდარული მწვრთნელის, **ბობ პეისლის** შემდეგ სულ მეორე მწვრთნელი გახდა, ვინც ეს ტურნირი სამჯერ მოიგო.

**5** - ეს იყო ისტორიაში სულ მეხუთე და ზედიზედ მეორე ფინალი, როდესაც ერთმანეთს ერთი ქვეყნის ორი კლუბი დაუპირისპირდა. შარშან, „უემბლიზე" გერმანული ფინალი შედგა, ესპანელები კი ერთმანეთს მეორედ შეხვდნენ - პირველად 2000 წელს, როდესაც პარიზში „რეალმა" და „ვალენსიამ" ითამაშეს. გარდა ამისა, ისტორიაში პირველად მოხდა, რომ ფინალში ერთი ქალაქის ორი გუნდი გავიდა.

**41** - „რეალმა" ტურნირზე 41 გოლი გაიტანა. მართალია, „ბარსელონას" მიერ 1999/2000 წლების სეზონში დამყარებულ რეკორდამდე (45 გოლი) „მერენგესს" ცოტა დააკლდა, მაგრამ იმ სეზონში ორი ჯგუფური ეტაპის არსებობის გამო, ფინალში გასული კლუბი 17 თამაშს ატარებდა, 13-მატჩიანი ფორმატის რეკორდი კი აქამდე 35 გოლი იყო, რომელიც 2011/12 წლების სეზონში „რეალმა" და „ბარსელონამ" დაამყარეს.

**50** - კრიშტიანო რონალდო გახდა პირველი ფეხბურთელი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში, 50 და მეტი მატჩის ჩატარება ორი კლუბის რიგებში მოახერხა. „რეალში" თავისი 50-ე შეხვედრა პორტუგალიელმა „ბაიერნთან", საპასუხო ნახევარფინალში გამართა, „მანჩესტერ იუნაიტედის" რიგებში კი მან 52-ჯერ ითამაშა.

**6** - „ბაიერნის" 1/2 ფინალში მარცხის შემდეგ, გაგრძელდა ის ტრადიცია, რომლის მიხედვითაც, ჩემპიონთა ლიგა ზედიზედ ორჯერ არავის მოუგია. მიუნხენური კლუბი გახდა მე-6 მოქმედი გამარჯვებული, რომელმაც ასპარეზობა ნახევარფინალურ ეტაპზე დაასრულა. ყველაზე ხშირად, მოქმედი ჩემპიონები სწორედ ამ ეტაპზე დამარცხებულან. 5-ჯერ წინა წლის გამარჯვებული 1/4 ფინალურ ეტაპზე დამარცხდა, 4-ჯერ 1/8 ფინალში, ამდენჯერვე ფინალში და მხოლოდ ერთხელ მოხდა ისე, რომ წინა წლის გამარჯვებული („ჩელსი") მომდევნო სეზონში ჯგუფში ჩარჩა.

**200** - „მანჩესტერ იუნაიტედი" გახდა პირველი კლუბი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში 200 მატჩი ჩაატარა. საიუბილეო შეხვედრა უიღბლო გამოდგა - ინგლისელებმა „ბაიერნთან" 1:3 წააგეს და გავარდნენ. ლისაბონში გამართული ფინალი „რეალისთვისაც" მე-200 მატჩი იყო ამ ტურნირზე.

**6** - „ატლეტიკოსთან" 1/4 ფინალში განცდილი მარცხის შემდეგ, დასრულდა „ბარსელონას" სარეკორდო სვლა, რომლის დროსაც კატალონიური კლუბი ზედიზედ 6 სეზონის განმავლობაში 1/2 ფინალში გადიოდა.

**142** - „ბარსელონას" და „მანჩესტერ იუნაიტედის" 1/4 ფინალში გავარდნის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ **რაულის** რეკორდი - ყველაზე მეტი მატჩი ჩემპიონთა ლიგაში, მინიმუმ ერთი სეზონი ხელუხლებელი დარჩებოდა. **რაიან გიგზი** და **ჩავი** „რეალის" ლეგენდას ერთი მატჩით ჩამორჩებიან. უელსელმა კარიერა დაასრულა, რაც ნიშნავს იმას, რომ რაულის გადასწრების ყველაზე კარგი შანსი ჩავის შერჩა. იქვეა **იკერ კასილიასიც**, რომლისთვისაც ფინალი 140-ე მატჩი იყო.

**100** - ამ სეზონში ოთხი ფეხბურთელი შევიდა ე.წ. „ასიანთა კლუბში" და ჩემპიონთა ლიგაში თავისი მე-100 მატჩი ჩაატარა. ესენი არიან: ზლატან იბრაჰიმოვიჩი (ჯგუფურ ეტაპზე), **პეტრ ჩეხი** (1/8 ფინალის საპასუხო მატჩში), კრიშტიან რონალდო და **ფრენკ ლამპარდი** (ორივე 1/4 ფინალის პირველ შეხვედრაში). საინტერესოა, რომ რონალდოს და ლამპარდს დებიუტიც ერთ დღეს, 2003 წლის 16 სექტემბერს ჰქონდათ. ახლა, 100 ან მეტი მატჩი ლიგაში 21 ფეხბურთელს აქვს გამართული. ლამპარდი მხოლოდ მე-12 ფეხბურთელია, რომელმაც ამ ნიშნულს ერთი კლუბის რიგებში მიაღწია და ის პირველი მოთამაშეა, ვინც 100-მატჩიანი ზღვარი „ჩელსის" მაისურით გადალახა.

**100-იანთა კლუბის ყველა წევრი:**

**142** - **რაული** (რეალი, შალკე)

**141** - რაიან გიგზი (მანჩესტერ იუნაიტედი)

**141** - **ჩავი** (ბარსელონა)

**140** - **იკერ კასილიასი** (რეალი)

**125** - კლარენს ზეედორფი (აიაქსი, რეალი, მილანი)

**124** - პოლ სქოულზი (მანჩესტერ იუნაიტედი)

**120** - რობერტო კარლოსი (რეალი, ფენერბაჰჩე)

**115** - კარლეს პუიოლი (ბარსელონა)

**112** - ტიერი ანრი (მონაკო, არსენალი, ბარსელონა)

**109** - პაოლო მალდინი (მილანი)

**109** - გარი ნევილი (მანჩესტერ იუნაიტედი)

**107** - დევიდ ბექჰემი (მანჩესტერ იუნაიტედი, რეალი, მილანი, პსჟ)

**106** - **ვიქტორ ვალდესი** (ბარსელონა)

**105** - **ეშლი კოული** (არსენალი, ჩელსი)

**103** - ოლივერ კანი (ბაიერნი)

**103** - ლუიშ ფიგუ (ბარსელონა, რეალი, ინტერი)

**103** - **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** (აიაქსი, იუვენტუსი, ინტერი, ბარსელონა, მილანი, პსჟ)

**103** - **პეტრ ჩეხი** (სპარტა, ჩელსი)

**103** - **კრიშტიანო რონალდო** (მანჩესტერ იუნაიტედი, რეალი)

**102** - **ფრენკ ლამპარდი** (ჩელსი)

**100** - ანდრეი შევჩენკო (დინამო კიევი, მილანი, ჩელსი)

***შენიშვნა:*** *მსხვილი შრიფტით მოქმედი ფეხბურთელები*

**ტატო ბაციკაძე**

ამბები

## ვან დერ ვაარტი: ფენერი თუ ბეშიქთაში?

თითქმის გადაწყვეტილია, რომ 31 წლის ჰოლანდიელი გამთამაშებელი **რაფაელ ვან დერ ვაარტი** „ჰამბურგს" დატოვებს. უახლესი ცნობების თანახმად, ვან დერ ვაარტს თურქული კლუბები, „ფენერბაჰჩე" და „ბეშიქთაში" ეპატიჟებიან.

## ჰერტამ ჰარაგუჩი იყიდა

ბერლინის „ჰერტამ" 23 წლის იაპონელი თავდამსხმელი, **გენკი ჰარაგუჩი** გადაიბირა. ეს უკანასკნელი გერმანულ კლუბში „ურავა რედ დაიმონდსიდან" გადაბარგდა და კონტრაქტი 2018 წლამდე გააფორმა. სატრანსფერო თანხა გასაიდუმლოებულია. აქვე იმასაც გეტყვით, რომ იაპონელებს ჰარაგუჩი მსოფლიოს ჩემპიონატზე არ მიჰყავთ...

**გოტფრიდ ლენცი**


ინიგო მარტინესმა (მარჯვენივ) ისტორიაში ყველაზე სწრაფი ავტოგოლი გაიტანა

ქართველი საბერძნეთში


გიორგი შერმადინი

# ოლიმპიაკოსი–პანათინაიკოსი რევანში შედგა

ჯერჯერობით სერიოზული ინციდენტების გარეშე მიმდინარეობს საბერძნეთის საკალათბურთო ჩემპიონატის ფინალური სერია. პირველ მატჩში, ათენში „პანათინაიკოსმა“ **გიორგი შერმადინის** „ოლიმპიაკოსს“ 59:56 მოუგო, განმეორებითი შეხვედრა კი პირეოსში გუშინ გაიმართა და ოლიმპიელებმა სრულფასოვანი რევანში აიღეს - 89:64.

შერმადინის თანაგუნდელები პირველივე მეოთხედში 29:12 დაწინაურდნენ და როგორც შემდეგ გაირკვა, ყველაფერი სწორედ მატჩის დასაწყისმა გადაწყვიტა. „პანათინაიკოსმა“ თამაშის ბოლომდე ვერ მოახერხა გამოფხიზლება.

მწვრთნელმა **გიორგიოს ბარძოკასმა** გიორგი შერმადინი 4 წუთით ათამაშა. დროის ამ მცირე მონაკვეთში 216 სმ სიმაღლის ქართველმა ცენტრმა ორი საჯარიმოდან ერთი ჩააგდო, ერთი ორქულიანი მიზანში მოარტყა და მატჩი 3 ქულითა და 1 მოხსნით დაასრულა. „ოლიმპიაკოსიდან“ ყველაზე მეტი **გიორგიოს პრინტეზისმა** ჩააგდო - 18 ქულა.

სერიის მესამე მატჩის ჩასატარებლად გუნდები ათენში დაბრუნდებიან და „პანათინაიკოსის“ არენაზე 29 მაისს გავლენ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

სამწვრთნელო ამბავი

# დრაგიჩი სლოვენიაში კოკოშკოვის გამო არ ჩადის?

სერბმა სპეციალისტმა **იგორ კოკოშკოვმა** საქართველოს ნაკრებთან მორიგი ორწლიანი კონტრაქტი მარტში გააფორმა. იგი „ჯვაროსნებს“ 2015 წლის სექტემბრამდე უთავკაცებს. როგორც თავად აღნიშნა, „სატრანსფერო პერიოდში“, პირველ რიგში, საქართველოს ნაკრებში დარჩენის საკითხს განიხილავდა, შემდეგ - სხვა შეთავაზებებს. იგორ კოკოშკოვმა ჩვენთან ინტერვიუშიც დაადასტურა, რომ სლოვენიელები ეპატიჟებოდნენ, თუმცა არ დაუკონკრეტებია, რა სტადიაში იყო მოლაპარაკება.

სლოვენიის გაზეთ „დნევნიკის“ ჟურნალისტ **ალიაჟ ვრაბეცთან** საუბრის შემდეგ ჩვენი ნაკრების თავკაცის პოსტ-იუგოსლავიურ ქვეყანაში გადასვლასთან დაკავშირებით მეტად საინტერესო ამბავი შევიტყვეთ.

*- ჩემი ინფორმაციით, იგორ კოკოშკოვი ძალიან ახლოს იყო სლოვენიის ნაკრების თავკაცობასთან, იმასაც ამბობენ, რომ ბევრი საკითხი ფედერაციასთანაც იყო შეთანხმებული,* - გვითხრა ალიაჟმა და დასძინა, - *ჩვენი ნაკრების ლიდერი გორან დრაგიჩი იგორის კანდიდატურას აქტიურად ემხრობოდა...*

შეგახსენებთ, რომ გორანი „ფინიქს სანსში“ იგორ კოკოშკოვთან მუშაობდა. კალათბურთელი ამერიკაში ახალი ჩასული რომ იყო, სწორედ ჩვენი ნაკრების თავკაცს ჰქონდა დავალებული მისი NBA-სთვის შემზადება. მათ შორის თბილი დამოკიდებულება რომ არის, ამაში 2013 წლის ევრობასკეტის მსვლელობისასაც დავრწმუნდით - სლოვენია-საქართველოს მატჩის წინ გორან დრაგიჩმა და იგორ კოკოშკოვმა დაახლოებით 10 წუთი თბილად ისაუბრეს.


გორან დრაგიჩი და იგორ კოკოშკოვი

თუ სლოვენიელთა მთავარ ვარსკვლავსა და ფედერაციას სურდათ საქართველოს ნაკრებში გამოცდილი სერბი მწვრთნელის დანიშვნა, მაშ რა მოხდა, რატომ არ შედგა საბოლოო შეთანხმება? ასეთი კითხვით მივმართეთ ჟურნალისტ ალიაჟ ვრაბეცს:

*- სლოვენიელ ფანებში დიდი პოპულარობით სარგებლობს მწვრთნელი იურე ზდოვცი, რომელიც ნაკრებს 2009 წელს ედგა სათავეში და ევროპის ჩემპიონატზე ისტორიული შედეგი უჩვენა - მეოთხე ადგილი დაიკავა. ფანების მოთხოვნის წინააღმდეგ ვერ წავიდნენ ჩვენი კალათბურთის შეფები და იგორ კოკოშკოვს იურე ზდოვცი ამჯობინეს.*

სწორედ ამის შემდეგ გაიჟღერა ინფორმაციამ, რომ გორან დრაგიჩი სლოვენიის ნაკრებში ჩასვლისგან თავს იკავებს. არადა, ამ გუნდს ზაფხულში მსოფლიოს ჩემპიონატი ელის.

*- გორანი ამბობს, გადაღლილი ვარ და შესაძლოა, ნაკრებში ვერ ვითამაშოო. სლოვენიაში კი გავრცელდა ჭორი, თითქოს, „ფინიქსის“ ვარსკვლავი იმიტომ არ ჩამოდის, რომ მას არ მოუსმინეს და იგორ კოკოშკოვი არ დანიშნეს. მოკლედ, მეტად არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოვჩნდით მსოფლიოს საკალათბურთო ჩემპიონატის წინ,* - მითხრა ალიაჟ ვრაბეცმა და მკითხა: საქართველოს ნაკრებში ზაზა ფაჩულია ჩამოდის?

პასუხი ქართველმა გულშემატკივარმა უკვე იცის. ზაზა და თორნიკე შენგელია ტრავმით გამოწვეული პაუზის შემდეგ ნაკრებში დაბრუნებისთვის უკვე ემზადებიან.

**ვაჟა სიმონიშვილი**

საქართველოს ნაკრები


ვიქტორ სანიკიძე: ჩეხებო, მოვდივართ, დაგვხვდით!

# ჩეხეთთან ნიმბურკში

ევროპასკეტი-2015-ის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ნაკრების საშინაო მატჩების ადგილი და დრო წინასწარ იყო გარკვეული. ჩვენი გუნდი მეტოქეებს თბილისის სპორტის სასახლეში უმასპინძლებს. ყველა მატჩი ჩვენი დროით 19 საათზე დაიწყება.

აქამდე გაურკვეველი იყო, საქართველოს ნაკრებს რომელი მეტოქე რომელ ქალაქში დაუხვდებოდა. სხვებს ჩეხებმა აჯობეს და დაადგინეს, რომ ქართველებს საკალათბურთო ქალაქ ნიმბურკში ჩეხეთის დროით 18 საათზე (თბილისის დროით 20:00) მიიღებენ.

რაც შეეხება კიდევ ორ მეტოქეს, უნგრეთსა და პორტუგალიას, მათ ჯერ არც ქალაქი შეურჩევიათ და არც მატჩის დაწყების დრო.

ვისაც არ ახსოვს, საქართველოს ნაკრების ოფიციალური მატჩების გამართვის თარიღებს ქვემოთ ჩამოვუწერთ.

| ევროპასკეტი-2015 | |
|---|---|
| შესარჩევი ეტაპი | |
| 10 აგვისტო, თბილისი | |
| 19:00 | საქართველო-ჩეხეთი |
| 13 აგვისტო | |
| | უნგრეთი-საქართველო |
| 17 აგვისტო | |
| | პორტუგალია-საქართველო |
| 20 აგვისტო, ნიმბურკი | |
| 20:00 | ჩეხეთი-საქართველო |
| 24 აგვისტო, თბილისი | |
| 19:00 | საქართველო-უნგრეთი |
| 27 აგვისტო, თბილისი | |
| 19:00 | საქართველო-პორტუგალია |

**ვაჟა სიმონიშვილი**









# მამაკაცის უშვილობა და პრეპარატ „ბულაქსინის“ როლი




უშვილობა წყვილისათვის და მათი ახლობლებისთვის ძალზედ დიდი ფსიქოლოგიური ტრავმაა. აქედან გამომდინარე მედიცინის ამ მიმართულებით მომუშავე სპეციალისტებმა უნდა გამოიყენოს მათ ხელთ არსებული ყველა მედიკამენტოზური საშუალება, ან პირიქით შესაბამისი ჩვენების გათვალისწინებით თავიდანვე უნდა დააყენონ ხელოვნური განაყოფიერების საკითხი.

ამის თქმის უფლებას მაძლევს ის გარემოება, რომ არსებობს მამაკაცის უშვილობის მრავალი მიზეზი - დაწყებული სათესლე ჯირკვლების განვითარების პრობლემებით და დამთავრებული მავნე ჩვევებით და დაბინძურებული გარემოს გავლენით. მოდით თანმივდევრობით განვიხილოთ ეს ყველაფერი.

უპირველეს ყოვლისა როდის შეგვიძლია ჩვენ წყვილს უწოდოთ უშვილო - 1 წლის თანაცხოვრების შემდეგ, თუ 2 ან 3 წლის თავზე? ჯანმრთელ წყვილში დაორსულების ალბათობა ყოველი ოვულაციის დროს შეადგენს 15 20%, შესაბამისად დაორსულების ალბათობა 1 წლის თავზე არის 85%. შემდგომი 1 წლის განმავლობაში დაორსულების ალბათობა არის 23%, ხოლო მესამე წლის მანძილზე 10%. შესაბამისად ხშირ შემთხვევაში მამაკაცისათვის უშვილობა კატეგორიული და საბოლოო განაჩენი არ არის, და მეუღლის ვერ დაორსულების ვადის გახანგრძლივება ხშირად დროებითია.

მამაკაცის ფაქტორმა უშვილობის დროს მკვეთრად იმატა, ამჟამად მრავალი მკვლევარის აზრით შეადგენს 50%. ამის გათვალისწინებით შეიქმნა პრეპარატები სპერმატოზოიდების ფუნქციის გასაუმჯობესებლად. პრეპარატ „ბულაქსინის“ შემთხვევაში, რომელიც ახდენს სპერმაზე და ზოგადათ ორგანიზმზე უნიკალურ კომპლექსურ გავლენას არის გაერთიანებული 6 კომპონენტი. ესენი არიან: არგინინი, ვიტამინი E, ვიტამინი B6, თუთია, დიჰიდროკვერცეტინი, ინოზიტოლი. ყოველი მათგანი აუცილებელი არის და ამ შემთხვევაში მათი მიღება არის შესაძლებელი ერთი პრეპარატის სახით.

პრეპარატ „ბულაქსინის“ მოქმედების პრინციპი არის დაფუძნებული ორგანიზმში სპერმატოზოიდების ირგვლივ გარემოს გაუმჯობესებაზე, სპერმატოზოიდისათვის მეტი ენერგიის მიწოდებაში, რაც უპირველესი არის მოძრაობისათვის და შესაბამისად განაყოფიერებისათვის.

რით არის გამოწვეული უშვილობის დროს მამაკაცის ფაქტორის ზრდის ტემპები:

1. სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელებით და მათი გართულებების (პროსტატო-ვეზიკულიტი, ეპიდიდიმიტი და ა.შ.) მატებით. ქლამიდიოზი, ურეაპლაზმოზი, ტრიქომონიაზი, ვირუსები უშუალოდ იწვევს სპერმატოზოიდების ფუნქციის დაქვეითებას.

პროსტატო-ვეზიკულიტის (პროსტატის და სათესლე ბუშტუკების ანთება) დროს სპერმატოზოიდების ირგვლივ მომატებული ბაქტერიული დაბინძურება „ოქსიდაციური“ სტრესის ხარჯზე ახდენს უარყოფით გავლენას სპერმატოზოიდებზე. ვიტამინი ე და თუთია გამოირჩევა ანტიოქსიდაციური თვისებებით. ახალგაზრდა მამაკაცებში სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების და პროსტატო-ვეზიკულიტის სწორად წარმართული მკურნალობის შემდეგ აუცილებელი არის პრეპარატ „ბულაქსინის“ მიღება, რამეთუ დროულად მოხდეს სპერმატოზოიდების ფუნქციის აღდგენა. პრაპარატ „ბულაქსინ“-ში შემავალი დიჰიდროკვერცეტინი ამცირებს ანთებითი პროცესების ინტენსივობას პროსტატაში, აქვს იმუნომასტიმულირებელი მოქმედება.

2. მავნე ჩვევები, განსაკუთრებით სიგარეტის მოწევა, განაპირობებს დიდი რაოდენობით კადმიუმის (მძიმე მეტალი) დაგროვებას სპერმაში, რაც სპერმატოზოიდებისათვის ტოქსიურია, იწვევს სპერმატოზოიდის გენეტიკური აპარატის - დნმ-ის ფრაგმენტაციას. რას ნიშნავს დნმ-ის ფრაგმენტაცია: მარტივად რომ ვთქვათ შესაძლებელია სპერმის ანალიზის პარამეტრები იყოს ნორმაში, მაგრამ დაორსულება ვერ ხდებოდეს, ან ხელოვნური განაყოფიერების რამოდენიმე უშედეგო მცდელობის მიზეზი წყვილისათვის განმარტებების გარეშე დარჩეს. მიზეზი??? გადაიდგა დიდი ნაბიჯი წინ ამ პრობლემის დროულად აღმოჩენის მიზნით და დნმ-ის ფრაგმენტაციის დონის განსაზღვრა დღეს უკვე ასევე შესაძლებელია საქართველოშიც (ჯერჯერობით მხოლოდ ერთ კლინიკაში), რაც ნამდვილად აუცილებელია. აქედან გამომდინარე, მე პირადად ყველა მწეველ ახალგაზრდას, დაოჯახებულს თუ არა ვურჩევდი შესაბამისი გამოკვლევების ჩატარებას და საჭიროების შემთვხევაში პრეპარატ „ბულაქსინის“ პროფილაქტიკურ მიღებას.

პრეპარატი „ბულაქსინი“ თავისი კომპლექსური მოქმედებით გვეხმარება მრავალი წყვილის პრობლემის გადაჭრაში, მაგრამ არსებობს უშვილობის ისეთი მიზეზები როდესაც სხვა გზები არის მოსაძებნი. ჩემს პრაქტიკაში ყოველთვის ვცდილობ კონკრეტულ წყვილში არსებული მიზეზის დადგენას და მათთვის სათანადო მიმართულების მიცემას. მარტივად ვიტყვი - კონკრეტული მიზეზი უნდა იპოვო და მერე უმკურნალო. თუ ჩემს პაციენტს დაუდგინე ვარიკოცელე და ეს შესაძლოა იყოს უშვილობის მიზეზი, მას ვუკეთებ შესაბამის ოპერაციას.

იმ შემთხვევაში როდესაც მამაკაცს აქვს ჰორმონალური დარღვევები აუცილებელია მათი კორექცია, თუ ჩვენ საქმე გვაქვს იმუნოლოგიურ უშვილობასთან ასევე არის საჭირო შესაბამისი მკურნალობა.

აზოოსპერმიის დროს ვაკეთებ სათესლე ჯირკვლის ბიოფსიას რამეთუ მოძიებული იქნას სპერმატოზოიდები, გარდა ამისა ყოველთვის ვიკვლევ სათესლე ჯირკვლის ქსოვილს, თუ რა დაზიანება არის მასში, რომ ამის გათვალისწინებით მოხდეს შემდგომ ეტაპზე დონორის სპერმის გამოყენების აცილება.

რამოდენიმე სიტყვით რომ გავაკეთოთ რეზუმე - პრეპარატი „ბულაქსინი“ მართლაც უნიკალურია თავისი კომპლექსური შემადგენლობით და მოქმედებით. მასზე ყველა დიდ იმედებს ამყარებს, მაგრამ აუცილებელია უშვილო წყვილის შემთხვევაში ყოველთვის მიზეზის დადგენა, რამეთუ მათ შეეთავაზოს კონკრეტული გამოსავალი, თუნდაც ხელოვნური განაყოფიერება დაარა მრავალი უშედეგო მკურნალობის წლები.

პრეპარატ „ბულაქსინზე“ დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით მედიცინის დოქტორს, ევროპის ადამიანის რეპროდუქტოლოგიის და ემბრიოლოგიის საზოგადოების წევრს (ESHRE) ექიმ ალექსანდრე ხელაიას (ტელ: 555 30 50 51, 599 674 674, www.tqveniurologi.ge). R

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. ნაკრები

# კუბაში არასრული გუნდით

## ძიუდოისტები ოლიმპიადის აღმართს შეუდგნენ


ესთერ სტამი

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების წევრები რამდენიმე დღეა დაბრუნდნენ ანტალიიდან, სადაც შეკრება გაიარეს. ჩვენებმა იქ ჯერ ევროპული ფედერაციის მიერ გამართულ „ძიუდოს ფესტივალში" ნაივარჯიშეს, მისი ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ კი თურქეთის ამ ზღვისპირა მარგალიტზე დარჩნენ და უკვე საკუთარი ხარჯით შეუდგნენ მორიგ შეკრებას. ოღონდ, ეს სარელაქსაციო-აღდგენითი ტიპის ვარჯიშები იყო, სადაც ძირითადი აქცენტი დასვენებაზე იყო გადატანილი, თუმცა პერიოდულად ტატამზეც შედიოდნენ, ფორმიდან მთლად რომ ამოვარდნილიყვნენ. ვაჟთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ირაკლი უზნაძემ** ანტალიაში მხოლოდ 5 კაცი წაიყვანა და ყველა ევროპის ჩემპიონატზე ნაჭიდავები, რადგან მომავალი სტარტების წინ დასვენება, დაღლილობის ტვირთისგან გათავისუფლება და ძალების მოკრება უფრო მათ სჭირდებოდათ. თუმცა, მიზეზთა გამო, იქ ყველა ვერ გაემგზავრა და მხოლოდ ხუთეული იახლა: **ნუგზარ ტატალაშვილი**, **ზებედა რეხვიაშვილი** (ორივე - 73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81), **ვალერი ლიპარტელიანი** და **ზვიად გოგოჭური** (90). როგორც უზნაძემ გვითხრა, ბიჭებმა კარგად დაისვენეს და ამ შეკრებამ შეასრულა თავისი დანიშნულება.

### დიდი გამოცდა ჰავანიდან იწყება

ახლა გუნდი თბილისშია და აქ აგრძელებს ვარჯიშს მომავალი სტარტებისთვის, რითაც მსოფლიოს პირველობისთვის მზადების ოფიციალურ ნაწილზე გადავიდნენ. ნაკრებისთვის პირველი დიდი შეჯიბრება 6-8 ივნისს კუბის დედაქალაქ ჰავანაში გასამართი „დიდი პრიზის" ტურნირია, რომელიც სალიცენზიო სტატუსისაა. იქ ჩვენი ნაკრები არასრული შემადგენლობით იასპარეზებს. ორ წონაში, 66-სა და 100-ში მონაწილე არ გვეყოლება. დანარჩენ წონებში გამოვლენ: **ამირან პაპინაშვილი** (60), ნუგზარ ტატალაშვილი, **ლაშა შავდათუაშვილი** (ორივე - 73), ავთანდილ ჭრიკიშვილი, **უშანგი მარგიანი** (81), ვალერი ლიპარტელიანი, **ბექა ღვინიაშვილი** (90), **ადამ ოქრუაშვილი**, **ლევან მატიაშვილი** (+100). ნაკრების მოსამზადებელ გეგმაში უნგრეთსა და მონღოლეთში გასამართი „დიდი პრიზის" შეჯიბრებებიც შედის და მწვრთნელი ისე ანაწილებს შემადგენლობას, ჩვენი ფალავნები იქაც ღირსეულად გამოვიდნენ. ამიტომ არ მიიჩნია საჭიროდ, ახლაც დაეტვირთა ის ორი წონა. არადა, უნგრეთში 100 კილოგრამში გამოსვლას **გურამ თუშიშვილი** ახლავეა შეგულებული. ბუდაპეშტში წამსვლელი ბირთვიც უკვე გარკვეულია, მაგრამ მოსამზადებელი ციკლის გავლამდე მწვრთნელი მათ დასახელებას არ ჩქარობს - არაა გამორიცხული, კუბის ტურნირმა ან მერე დაგეგმილმა შეკრებამ საკადრო თვალსაზრისით რაღაც მართლაც შეცვალოს.

### ჰოლანდიელის დებიუტი ქართულ ნაკრებში

კუბამდე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეჯიბრებაა - მაის-ივნისის მიჯნაზე მადრიდში გასამართი „ევროპის ღია კონტინენტური თასი", რომელიც პირველი სალიცენზიო ტურნირია. ამდენად - ფრიად მნიშვნელოვანიც, ოღონდ ტოპ-გუნდის მწვრთნელი უზნაძე აქცენტს ასევე ტოპ-კლასის შეჯიბრებებზე აკეთებს და მსოფლიოს პირველობამდე ევროთასები მის გეგმებში არ შედის. ამიტომ იქ ვაჟთაგან ოფიციალურად, ფედერაციის დაფინანსებით არავინ მიდის, საკუთარი ხარჯით კი ოთხი ჩვენებური იჭიდავებს: **ვაჟა მარგველაშვილი** (66), **ნუგზარ ქურასბედიანი** (ორივე - 66), **ფრიდონ გიგანი** (73) და იგივე გურამ თუშიშვილი. შესაძლოა, მადრიდში ასევე თავისი თანხით მძიმეწონოსანი **როსტომ ხახალეიშვილიც** გაემგზავროს. აი, ქალთა ტურნირში კი მონაწილეს ფედერაცია აფინანსებს. ესაა ჰოლანდიელი **ესტერ სტამი** (70), რომელმაც ახლახან მიიღო საქართველოს მოქალაქეობა და ჩვენი სახელით დებიუტი ექნება.

რაკი სიტყვა სალიცენზიო შეჯიბრებებზე ჩამოვარდა, ბარემ გეტყვით, რომ რიო დე ჟანეიროს ოლიმპიური თამაშების საგზურებისთვის ბრძოლა კვლავაც ძველი სისტემით გაიმართება ანუ ყოველი ერთი წლის შემდეგ რეიტინგში ქულები განახევრდება, ორი წლის მერე - განულდება. ამდენად, თითქოს ახლანდელ შეჯიბრებებს საოლიმპიადოდ აზრი ეკარგება - იმ დროისთვის ეს ქულები მაინც გაუქმებული იქნება, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანია ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებისთვის, სადაც განთესვა სწორედ ამ სიის მიხედვით მოხდება. ცხადია, ევროპა-მსოფლიოზე წარმატებით გამოსვლა დიდწილად ამ განთესვაზეც იქნება დამოკიდებული, იქ მოპოვებული მედლები კი რეიტინგშიც გვარიან ქულებს შესძენთ.

### ქულების ფასი

ოლიმპიურ ციკლში უცვლელია ქულათა დარიცხვის სისტემაც ცალკეულ შეჯიბრებებზე. ყველაზე დიდ აქტივს კვლავაც მსოფლიოს პირველობა იძლევა - გამარჯვებული 900 ქულას მიიღებს. ამას მასტერსი მოსდევს - 700 ქულა ჩემპიონობისთვის, თუმცა ის წლეულს აღარ ტარდება. შემდეგ ადგილზე „დიდი მუზარადია" - 500 ქულა, „დიდი პრიზის" მომგები კი 300 ქულას მიიღებს. „დიდ მუზარადს" აღემატება კონტინენტური პირველობები - 400 ქულა, ყველაზე ნაკლებად კი „კონტინენტური ღია თასები" ფასდება - მხოლოდ 100 ქულა, თუმცა ამათგან ყველას არ ექნება სალიცენზიოს სტატუსი. ბუნებრივია, სათანადო ქულებს მიიღებენ მომდევნო ადგილებზე გასულებიც. ეგ კი არა, უმეტეს შეჯიბრებებში მხოლოდ მონაწილეობაც კი იძლევა მინიმალურ 2 ქულას. ამ უფლებით მხოლოდ მასტერსისა და კონტინენტური ღია თასების მონაწილენი ვერ ისარგებლებენ. სამაგიეროდ, მსოფლიოს ჩემპიონატზე მხოლოდ ჩასვლა 4 ქულით ფასდება.

დასასრულს, ისევ ჩვენს ნაკრებს დავუბრუნდები და გეტყვით, რომ კუბაში გაფრენამდე ისინი თბილისში ივარჯიშებენ. პარალელურად მიმდინარეობს მოლაპარაკება იაპონიისა და სამხრეთ კორეის ფედერაციებთან, რომ ჩვენებმა ივნისის ბოლოს იქ გაიარონ მზადების მორიგი ეტაპი. იმედია, მოლაპარაკება წარმატებით დასრულდება და მსოფლიოს პირველობისთვის მზადების გზაზე იქ ვარჯიში სასიკეთოდ წაადგება.

ირაკლი თავაძე


ნუგზარ ტატალაშვილი (მარცხნივ)




# ვერცხლი რუმინეთში, ბრინჯაო მაკედონიაში

საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრების წევრები რამდენიმე უცხოურ გუნდში თამაშობენ და წარმატებითაც. **შოთა თევზაძე** და **ვლადიმერ რუსია** რუმინეთის ეროვნულ ჩემპიონატში „შტიინცა ბაკეუს" ღირსებას იცავენ. ჩვენმა ბიჭებმა ზედიზედ მესამედ დაიკავეს მეორე ადგილი. მართალია, ბოლო მატჩში „ბაკეუმ" 24:19 დაამარცხა კონკურენტი - „კონსტანცა" და ქულებით დაეწია (9-9), მაგრამ პირადი შეხვედრებით ჩემპიონი „კონსტანცა" გახდა, რადგან პირველ მატჩში მეტოქეს 27:18 სძლია. განმეორებით პაექრობაში რუსია სასტარტო შემადგენლობაში იყო, თუმცა გოლი არ გაუტანია, დაცვაში ითამაშა შეუცვლელად 44 წუთის განმავლობაში, მერე მესამედ გააძევეს ორი წუთით და წითელი ბარათით მოედანი დატოვა. შოთა თევზაძეს „ბაკეუსთან" კონტრაქტი დაუსრულდა და ახალი სეზონიდან ახალ კლუბში ითამაშებს.

რუმინეთის ჩემპიონატში მეშვიდე ადგილი დაიკავა **ირაკლი ჩიქოვანის** ტიმიშოარას „პოლიტექნიკამ", რომელმაც ფინალურ ტურნირში ოთხივე მატჩი მოიგო. ბოლო ტურში „ბაია მარეს" სძლია 34:31, გუნდის ლიდერმა ჩიქოვანმა 8 გოლი გაიტანა

მაკედონიაში „ზომიმაკ-სტრუმიცას" შემადგენლობაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა **რევაზ ჭანტურიამ**. „სტრუმიცამ" ბოლო ორი თამაში წააგო გრანდებთან - „ვარდართან" და „მეტალურგთან" (21:27, 27:32, რეზო ჭანტურიამ „ვარდართან" 6 გოლი გაიტანა), მაგრამ „პელისტერს" მაინც 2 ქულით გაასწრო და მესამე ადგილი დაიკავა. სკოპიეს ორმა გუნდმა 27-27 ქულა მოაგროვა, პირადი შეხვედრით ჩემპიონობა „მეტალურგს" ერგო.

ვაჟა დანელია

ტყვიის სროლა

# კილაძე გერმანიაში

დღეს გერმანიის ქალაქ შულში ტყვიის მსროლელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი იწყება ახალგაზრდებში. სამწუხაროდ, იქ ჩვენგან მხოლოდ ერთი მონაწილე იქნება - ქუთაისელი **ლიზი კილაძე**, ვისაც მწვრთნელად **გივი ბოსტოლანაშვილი** ახლავს. პარალელურად, ეს შეჯიბრება აგვისტოში ჩინურ ნანჯინგში გასამართავი მსოფლიოს მეორე ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშებისთვის შესარჩევიცაა, მაგრამ 14 წლის კილაძეს მასში მონაწილეობისთვის ასაკი არ ჰყოფნის.

ჩვენებური გერმანიაში დღესვე დადგება პირველ სტარტზე და პნევმატური პისტოლეტიდან ისვრის, სპორტულში კი 30 მაისს ისვრის.

კილაძის შემდეგ გერმანიას უფროსებიც მალევე მიაშურებენ - 4-13 ივნისს მიუნხენში მსოფლიოს თასია, რომელსაც დასრულებისთანავე მოსდევს ანალოგიური შეჯიბრება მარიბორში. ამ ტურნირებზე **ნინო სალუქვაძე** ნამდვილად წავა, დანარჩენები კი ვნახოთ.

ირაკლი თავაძე

პარლამენტი

# ქართული ჭიდაობისადმი მიდგომა შეიცვლება

ქართული ჭიდაობის ისტორიაში სპორტის ეს ეროვნული სახეობა პირველად გახდა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში განხილვის საგანი. პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტმა საგანგებოდ იმსჯელა ჩვენი ეროვნული საუნჯის დღევანდელ მდგომარეობასა და სამომავლო გეგმებზე.

ფედერაციის პრეზიდენტმა **გელა ბერუაშვილმა** კომისიას მოახსენა, რომ საქართველოში არ არსებობს ქართული ჭიდაობის არც ერთი სპეციალიზებული სპორტული დარბაზი, 1960-იან წლებში კი, როდესაც აშენდა ფალავანთა კლუბი, ერთი ოთახიც ვერ გაიმეტეს ქართული ჭიდაობის ოფისისთვის, მწვრთნელებისთვის არ არის სახელმძღვანელო ლიტერატურა, სპორტის აკადემიის დახურვის შემდეგ შეწყდა სპეციალისტების მომზადება. ბერუაშვილმა აღნიშნა, რომ ფედერაცია ცდილობს პრობლემები შეძლებისდაგვარად მოაგვაროს. დღის წესრიგში დგას ქართული ჭიდაობის გატანა საერთაშორისო სარბიელზე, უწინარესად იმ ქვეყნებში, სადაც ქართული დიასპორაა. მიმდინარეობს მუშაობა ქართული ჭიდაობის იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შესატანად. შემუშავებულია სპორტის ამ ეროვნული სახეობის განვითარების 2014-2020 წლების პროგრამა. დადებით ტენდენციად უნდა ჩაითვალოს, რომ 2013 წელს ქვეყანაში აშენდა 17 ახალი გადახურული საჭიდაო არენა. საგულისხმოა, რომ საქართველოში პოპულარობის რეიტინგით ქართული ჭიდაობა ხუთეულში შევიდა.

კომიტეტის სხდომაზე დაისვა საკითხი ქართული ჭიდაობის სახლის პროექტირების აუცილებლობისა და მშენებლობისთვის ტერიტორიის გამოყოფის, საჯარო სკოლებში ქართული ჭიდაობის სექციების, სასწავლო და თვალსაჩინოების ლიტერატურის გამოცემის, კადრების მომზადების, საკანონმდებლო ბაზის განახლების შესახებ.

კომიტეტმა გადაწყვიტა, სხდომაზე წამოჭრილი პრობლემების თაობაზე რეაგირებისთვის წერილობით ეცნობოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს.

ქართული სპორტის რედაქცია

ცურვა

# უხვი ნადავლით



ბელარუსის ქალაქ ნოვოპოლოცკში დამთავრდა 1999-2004 წლებში დაბადებულ მოცურავეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ქართველმა გოგო-ბიჭებმა (ჭაბუკთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **გიორგი აბზიანიძე**) 18 საპრიზო ადგილი დაიკავეს, მათ შორის - 11 პირველი, 5 მეორე და 2 მესამე ადგილი. სამ-სამი ოქროს მედალი მოიხვეჭეს **რუსუდან გოგინაშვილმა** (50 მ ბატერფლაი - 32.08; 100 მ ბატერფლაი - 1:11.10 და 200 მ კომპლექსი 2:33.94) და **ირაკლი კვარაცხელიამ** (50 მ ბატერფლაი - 28.17; 100 მ ბატერფლაი 1:02.64; 200 კომპლექსი 2:17.67). ორი ოქრო ერგო **ლევან ბახტურიძეს** (50 ბრასი - 32..26; 100 ბრასი - 1:14.16). თავისუფალი ყაიდით 50 (29.23) და 100 მეტრზე (1:03.82) პირველი იყო **მერი მუმლაძე,** მასვე 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მე-2 ადგილი (2:38.26) ხვდა. თითო ოქროს (100 მ ბრასი, 1:24.02) და ვერცხლს (50 მ ბრასი, 38.07) დასჯერდა **ქეთევან გაგნიძე.** ორი ვერცხლი დაისაკუთრა **ელენე ბერაიამ** თავისუფალი ყაიდით 50 (30.36) და 100 მ (1:05.56) ცურვაში; **ლუკა პატარაიამ** (100 მ ბატერფლაი, 1:05.19) და **რატი კერვალიშვილმა** (100 მ ბრასი) მესამე ადგილები დაიკავეს. 4X50 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში საქართველოს ნაკრები (ირაკლი კვარაცხელია, ლევან ბახტურიძე, რუსუდან გოგინაშვილი, მერი მუმლაძე) 2:05.57-ით მეორე იყო.

სამი დისტანციის ქულათა ჯამით გოგონებში პირველ ადგილზე მერი მუმლაძე (1584 ქულა), მეორეზე კი რუსუდან გოგინაშვილი (1517) გავიდა, ბიჭებში ყველას ირაკლი კვარაცხელიამ (1574) აჯობა. საგულისხმოა, რომ ჩვენი მედალოსანი გოგო-ბიჭები 2015 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალისთვის ემზადებიან. ამ შეჯიბრებას კი თბილისი უმასპინძლებს.

მძლეოსნობა

# რბენის დღეს მიეძღვნა

საქართველოს დედაქალაქში ორ დღეს გრძელდებოდა საერთაშორისო რბენის დღისადმი მიძღვნილი შეჯიბრება, რომელშიც სპორტის დედოფლის წარმომადგენლები სხვადასხვა სახეობაში იბრძოდნენ პირველობისთვის. უმცროს ასაკში (1999-2000 წლებში დაბადებულნი) სახეობების მიხედვით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ:

**გოგონები.** მარიამ აბუაშვილი (თბილისი, ურო, 28,18), თათია ჯაბუა (თბილისი, 50 მ თარჯებით, 9,32), სალომე თურმანიძე (თბილისი, ბირთვი, 10,67), ელენე ტოლსტოვა (ოზურგეთი, 100 მ. 13,33, სიგრძე, 4.74), მარიამ მშვიდობაძე (თბილისი, 1000 მ., 3.34,34), დიანა ზალატუხინა (თბილისი, ჭოკით ხტომა, 2.60), ელისო დანელია (მარტვილი, სამხტომი. 9,74), სალომე თურმანიძე (თბილისი, ბადრო, 34,74), ანა ჩოხელი (თბილისი, შუბი, 31.23).

**ბიჭები.** დავით ოჩიგავა (აბაშა, ურო, 29,35), მურთაზ მეგენეიშვილი (ქუთაისი, 100 მ. თარჯებით, 18,12), საბა სოსელია (თბილისი, სიმაღლე, 140)), ვლადიმერ ამირგულიანი (თბილისი, სიგრძე, 5,72), რუბენ აბესაძე (ქუთაისი, 100 მ. 12,05), საბა ლაშხია (ნალენჯიხა, ბირთვი, 13.21), საბა ხვიჩავა (ფოთი, 100 მ. 2.49,21), მიხეილ ცანავა (თბილისი, ჭოკით ხტომა, 3.30), ირაკლი ბერიაშვილი (გორი, სამხტომი, 12.20), დავით ოჩიგავა (აბაშა, ბადრო, 42,55), ირაკლი გელანტია (ნალენჯიხა, შუბი, 38,22).

გუნდურში (საპრიზო ადგილებისთვის 14 ქალაქისა და რაიონის წარმომადგენლები ეცილებოდნენ ერთმანეთს) პირველი-მეხუთე ადგილები ასე განაწილდა: თბილისი-176, ქუთაისი-149, ოზურგეთი-135, ბორჯომი-85, ზუგდიდი-81 ქულა.

უფროს ასაკში (1997-1999 წ.წ.) პირველ ადგილებზე გავიდნენ: **გოგონები.** სალომე ხაჟომია (თბილისი, 100 მ. 13,54), ალექსანდრა მშვიდობაძე (თბილისი, 400 მ. 1.04,91), ნინო კარელიძე (გორი, სიგრძე, 4.94), მარი ჭეიძე (თბილისი, 800 მ. 2.33,12), ნინო კარელიძე (გორი, სამხტომი, 10,15), ნათელა უშიკიშვილი (თიანეთი, ურო, 27.69), ია რეხვიაშვილი (თბილისი, შუბი, 31,28).

**ბიჭები.** გრიგოლ ახალაია (ხობი, 100 მ. 11,81), ზურაბ ტაბეშაძე (ქუთაისი, 400 მ. 56,21), გურამ ძოწენიძე (ქუთაისი, 110 მ. თარჯრბენი, 17.46), ჯონი ანიაშვილი (გორი, სიგრძე, 5.32, სამხტომი, 11,51), ქართლოს ტიგინაშვილი (თბილისი, ურო, 53,20), ცოტნე კობაიძე (თბილისი, ბადრო, 39,71).

ჩოგბურთი

# განახლებული რეიტინგი და საასპარეზოდ მიმოზნეული ქართველები

ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ასოციაციამ (WTA) განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნა. ჩვენი ნაკრების ლიდერი სოფიო შაფათავა 285 ქულით 204-ე ადგილზეა. მომდევნო კვირას ჩვენებურს საგრძნობი წინსვლა ელის, რადგან საფრანგეთის ღია პირველობის საკვალიფიკაციო ეტაპი წარმატებით განვლო - ზედიზედ სამ მეტოქეს სძლია და 40 სარეიტინგო ქულა დაიმსახურა. დღეს პირველ საათზე ძირითად ბადეში შაფათავა რუს სვეტლანა კუზნეცოვას დაუპირისპირდება. წარმატების შემთხვევაში, ცხადია, მისი მონაგარი გაიზრდება.

კლასიფიკაციაში ქართველთაგან, შაფათავას გარდა, კიდევ 6 ჩოგბურთელია: 365 (369). **ეკატერინე გორგოძე** (111), 370 (351). **ოქსანა კალაშნიკოვა** (109), 437 (440). **მაკა ჩახნაშვილი-რანცინგერი** (81), 614 (616). **სოფიო ქვაცაბაია** (43), 1160 (1154), **მარიამ ბოლქვაძე** (6), 1255 (1248). **თამარ ჭალაგანიძე** (3).

წყვილები. 49 (47). კალაშნიკოვა (1647), 167 (170). შაფათავა (397), 373 (374). გორგოძე (145), 447 (448). ქვაცაბაია (108), 760 (761). ჩახნაშვილი-რანცინგერი (33), 1238 (1249). ჭალაგანიძე (6), 1305 (1300). ბოლქვაძე (3).



სოფიო შაფათავა

სოფიო შაფათავას გარდა, ამ კვირას კიდევ რამდენიმე ქართველი ჩოგბურთელი ჩაება საერთაშორისო ტურნირებში. იტალიის ქალაქ გრადოს 25.000-იანი შეჯიბრების საკვალიფიკაციო ბადეში **მაკა ჩახნაშვილმა** არგენტინელ კარლა ლუსეროს სძლია - 6:0, 6:2, მეორე წრეში კი იტალიელ ჯაია სანესისთან დამარცხდა - 6:3, 4:6, 4:6.

უზბეკეთის ქალაქ ბუხარაში (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) ცდიან ძალებს **ეკატერინე გორგოძე** და **სოფიო ქვაცაბაია.** გორგოძე მე-5 ნომრადაა განთესილი. სტარტზე მისი მეტოქე იქნება კვალიფიკაციიდან აღზევებული ფარიზა აბდულაევა (უზბეკეთი) წარმატების შემთხვევაში ჩვენებურს დაუპირისპირდება მასპინძელი ალბინა ხაბიბულინა, რომელმაც გუშინ უკრაინელ ალისა ტიმოფეევას მოუგო - 6:4, 6:2. ქვაცბაიას პირველ წრეში „უალდ ქარდით" მიწვეული უზბეკი ჩოგბურთელი ალისა ისლამოვა ეყოლება მეტოქედ. თუ ამ ბარიერს გადალახავს, მეორე წრეში თურქ იპეკ სოილუს შეხვდება.

წყვილებში ქვაცაბაია-გორგოძის დუეტი მეოთხე ნომრადაა განთესილი. გუშინ, ჩოგბურთელებმა მშრალი ანგარიშით დაამარცხეს უზბეკები - გულნარა ახმედოვა და ეკატერინა ილინა. მეოთხედფინალში ჩვენებურები გზიდან რუსების (ვარვარა კუზნეცოვა, დიანა რიაშკო) მძლეველი მასპინძლების - ალინა აბდურახიმოვას და ალბინა ხაბიბულინას ჩამოშორებას შეეცდებიან.

ისრაელის ქალაქ ნეთანიაში 10.000-იანი ტურნირის პირველ წრეში **მარიამ ბოლქვაძემ** ასპარეზობის რეიტინგფავორიტ პია კიონიგთან (ავსტრია) წააგო - 5:7, 1:6. წყვილებში რუს ანასტასია პრიბილოვასთან ერთად უკრაინელებს - ანა ბოგოსლავეცსა და ოლექსანდრა პისკუნს აჯობა - 1:6, 6:4, 10:8. მეოთხედფინალში მეორე ნომრად განთესილ ესთერ მასურისა (ისრაელი) და ნაომი ტოტკას (უნგრეთი) ტანდემს შეხვდება.

შარმ ელ შეიხში (ეგვიპტე, საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) დარჩა საასპარეზოდ **თამარ ჭალაგანიძე.** ტურნირის ძირითადი ბადის პირველ წრეში მისი მეტოქეა ფრანჩესკა სტეპჰენსონი (დიდი ბრიტანეთი). წყვილებში ჭალაგანიძე და უკრაინელი ვერონიკა სტოტიკა მასპინძლებს - ზეინა ელ ტავილსა და სარა შერიფს გამოცდიან.

რაც შეეხება ჩოგბურთელ ვაჟთა ასოციაციის (ATP) რეიტინგს, უზბეკური კარშის 50.000-იანი ტურნირის მოგებით **ნიკოლოზ ბასილაშვილი** 237 ქულით 209-ე პოზიციამდე აღზევდა. ალექსანდრე მეტრეველი 39 ქულით 654-ე ადგილზეა.

წყალბურთი

# ლიგამუსის ოთხიდან ოთხი

საქართველოს წყალბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატში ქვეყნის სამგზის ჩემპიონი „ლიგამუსი" სამი მოგებით გათამაშების ცხრილის სათავეში იმყოფებოდა. გასულ უქმეებზე მან „ოლიმპიკის" აუზში მეოთხე პაექრობა გამართა.

**ლიგამუსი-ჭაბუკთა ნაკრები 18:5**
**(7:0, 3:2, 3:1, 5:2)**

**ლიგამუსი: ჭუმბურიძე, ჩიკვაძე, გიორგაძე (1), იმნაიშვილი (1), გაბადაძე, ურუშაძე, ხვედელიანი (2), რუსიშვილი, რურუა (2), გეგელაშვილი (6), ნიკოლეიშვილი (5), შუბლაძე, მწვრთნელი - ისელიძე.**

**ჭაბუკთა ნაკრები (1998-1999 წ.წ.): ლეთოდიანი, სებისკვერაძე, ლავთაძე, თეთრაძე, ცანკაშვილი, ადეიშვილი, ფურცელაძე, (1) ჯულაშვილი, მესხი (1), მაგრაქველიძე (2), გვენცაძე (1), ივანიშვილი, შუშიაშვილი, რაზმაძე, კიკალიშვილი, მწვრთნელები - კიკალიშვილი, ქოიავა.**

ეროვნული ნაკრების წყალბურთელებით დაკომპლექტებულ „ლიგამუსს" ამ მატჩის მოგება, როგორც შედეგიდან ჩანს, არ გასჭირვებია. ანგარიში პირველსავე წამებზე გეგელაშვილმა გახსნა. მერე ხვედელიანმა და რურუამ სხვაობა სამამდე გაზარდეს. ლიდერებმა პირველი პერიოდი 7:0, საბოლოოდ მატჩი კი 18:5 მოიგეს.



**თბილისი-რუსთავი 19:13**
**(4:6, 3:2, 5:4, 7:1)**

**თბილისი: ნამორაძე, კოტარია, ქავთარაძე, ბულაძე (3), ქარჩილაძე (1), ბალათურია (2), ჩიქვინიძე (6), ყაზახიშვილი (3), ლაითაძე (4), ჭრელაშვილი, ბაქრაძე, ჩოდრიშვილი, მწვრთნელი - ლაითაძე.**

**რუსთავი: შუბლაძე, ჭოლოკავა (1), გიორგაძე (2), ქოიავა (2), სულაძე (3), გოგელი (2), გელაშვილი (1), ცანკაშვილი (2), ჭელიძე, კუცია, კონტუაძე, ქენქაძე, მწვრთნელები - ჩხარტიშვილი, გულედანი.**

„თბილისი" - „რუსთავის" შეხვედრა უფრო დაძაბული გამოდგა. წინა წლის ჩემპიონი დედაქალაქელები, რომლებმაც ეროვნული ჩემპიონატის მხოლოდ მეორე მატჩი გამართეს, პირველი რვაწუთიან მონაკვეთში სტუმრებს სათანადოდ ვერ გაუმკლავდნენ, იმის მიუხედავად, რომ „თბილისი" პირველ წუთზევე ყაზახიშვილმა დააწინაურა. მალევე სულაძემ წონასწორობა აღადგინა. მომდევნო ერთ წუთში მეტოქეებმა თითო გოლი (ბალათურია, გორგაძე) გაცვალეს. მერე რუსთაველებმა იყოჩაღეს და პირველი პერიოდი 6:4 მოიგეს. მეორე-მესამე პერიოდებში თბილისელებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება, ბოლო რაუნდი კი მათი კარნახით წარიმართა და ჩემპიონმა პირველი გამარჯვება იზეიმა - 19:13.

ჭადრაკი



მერაბ გაგუნაშვილი

# უდანაკარგოდ

ინდურ ბუბანეშვარში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალის მთავარ ტურნირში სხვადასხვა ქვეყნის 147 წარმომადგენელი მონაწილეობს, მათ შორის 24 დიდოსტატია. შვეიცარიული სისტემით 10 ტური გამოავლენს გამარჯვებულსა და პრიზიორებს. უკვე გათამაშდა სამი ტური. კარგი სტარტი აილო თბილისელმა **მერაბ გაგუნაშვილმა:** ჩვენებურმა ზედიზედ სამი მასპინძელი დაამარცხა - ივანა მარია ფურტადო, კატმალე სამერი, სვაპნილ დოპადე და უდანაკარგოდ არავიდხ ჩიტამბარამსა და დას არხიადიპთან (ორივე-ინდოეთი) ერთად მეწინავეობს. ლიდერებს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩება 23 მოჭადრაკე, მათ შორის **ლევან ფანცულაია.** სამი ტურის შემდეგ 2 ქულა მოაგროვა **ლუკა პაიჭაძემ,** ხოლო **მიხეილ მჭედლიშვილს** მხოლოდ 1,5 ქულა აქვს.

დღეს მე-4 ტურში ქართველები ასე დაუწყვილდნენ მეტოქეებს: გაგუნაშვილი-ჩიტამბარამი, სუნიდუტ ლინა ნარაიანანი (ინდოეთი)-ფანცულია, პრინც ბაჯაჯი (ინდოეთი)-პაიჭაძე, სახოო უტკალ რანჯანი (ინდოეთი)-მჭედლიშვილი.

# ორნი სამეულის შანსით

კიდევ ორი ტური და ჩიკაგოში დამთავრდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალი Chicago Open-2014, რომელშიც სამი ქართველიც მონაწილეობს. შვიდი ტურის შემდეგ 6 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს გაბრიელ სარგისიანი (სომხეთი). 5,5-5,5 ქულით მეორე-მეოთხე ადგილებს ანტონ კოვალიოვი (კანადა), იური შულმანი და კაიდენ ტროფი (ორივე-აშშ) ინაწილებენ. 10 მოჭადრაკეს, მათ შორის - **გიორგი მარგველაშვილსა** და **ლევან ბრეგაძეს** 5-5 ქულა აქვთ, **მარიამ დანელიამ** 3 ქულას მოუყარა თავი.

ბოლოსწინა ტურში ლიდერთაგან ითამაშებენ: სარგისიანი-კოვალიოვი, ტროფი- შულმანი, ხულიო სადორაკანაპანი, პერელშტეინი-მაჩეია, ლენდერმანი-ბრეგაძე, სევიანი-ჰოლტი, მარგველაშვილი-სიონგი... მარიამ დანელია-კარტიკ რამაჩანდრანი.

**გვერდი მოამზადა**
**ვაჟა დანელიამ**

● ტესტები

# ბარბაროსებში გორგოძეც მიიწვიეს

**„ბარბაროსები“ 1890 წელს დაარსებული სარაგბო კლუბია, რომელიც ყოველი სეზონის ბოლოს მსოფლიოს საუკეთესო მორაგბეებს იწვევს და ტურნეს აწყობს. წლეულს ამ კლუბის რიგებში ერთბაშად ორი ქართველი ითამაშებს.**

„ბარბაროსები“ 1 ივნისს „თვიქნემზე“ ინგლისის ნაკრებს დაუპირისპირდებიან. გუნდის მწვრთნელმა **დინ რაიანმა** 24 მორაგბის სია გამოაცხადა. უკვე ვწერდით, რომ „ბარბაროსების“ რიგებში საქართველოს ნაკრებისა და ფრანგული „კლერმონის“ შერკინების ბურჯი **დავით ზირაქაშვილია** მიწვეული. რაიანმა ერთი ქართველი არ იკმარა და გუნდში მსოფლიოს ნაკრებში მიწვეული **მამუკა გორგოძეც** დაპატიჟა.

გორგოძემ „ბარბაროსების“ შემადგენლობაში 2012 წელს ორი მატჩი გამართა ინგლისისა და უელსის ნაკრებებთან. ის შავ-თეთრ კვართს 1 ივნისს კიდევ ერთხელ მოირგებს. ერთი კვირის თავზე კი სამხრეთ აფრიკის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება მსოფლიოს ნაკრების შემადგენლობაში.

არაოფიციალური ინფორმაციით, „ბარბაროსების“ შემადგენობაში შესაძლოა კიდევ ერთი შერკინების ქართველი ბურჯი **დავით ქუბრიაშვილიც** მიიწვიონ.

## ბარბაროსები

**შერკინება:** მამუკა გორგოძე (მონპელიე, საქართველო), დავით ზირაქაშვილი (კლერმონი, საქართველო), ჟიულიენ ბრუნო (მეტრო რასინგი, საფრანგეთი), სხალკ ფერეია (ტულუზი, სამხრეთ აფრიკა), ენდრიუ ჰორი (ჰაილენდერზი, ახალი ზელნადია), ივანდერ კრუხერი (მეტრო რასინგი, სამხრეთ აფრიკა), ალექსანდრ ლაპანდრი (კლერმონი, საფანგეთი), ხუან მანუელ ლეგუსამონი (ლიონი, არგენტინა), ნოელ ლობო (მონპელიე, არგენტინა), დონჩა ოკალაჰანი (მანსტერი, ირლანდია), ტიი პაულო (კლერმონი, სამოა), სონა ტაუმალოლო (პერპინიანი, ტონგა), ჯო ტეკორი (ტულუზი, სამოა), როჯერ ვილოსნი (ალსტერი, ირლანდია).

**უკანა ხაზი:** ჯიმი ქოუანი (გლოსტერი, ახალი ზელანდია), ტომას კუბელი (ბელგრანო, არგენტინა), ჰოსე გეარი (ტულუზი, ახალი ზელანდია), ხუან მარტინ ერნანდესი (მეტრო რასინგი, არგენტინა), ბრუკ ჯეიმზი (კლერმონი, ახალი ზელანდია), ჯეიმზ ოკონორი (ლონდონ აირიში, ავსტრალია), რენე რენჯერი (მონპელიე, ახალი ზელანდია), ჯო როკოთოკო (ბაიონი, ახალი ზელანდია), ბენსონ სტენლი (კლერმონი, ახალი ზელანდია), ფრანსუა ტრინ-დუკი (მონპელიე, საფრანგეთი).

**ბესიკ ჯანგავაძე**

● საქართველოს ჩემპიონატი

# ბოლო ტური სრულად დააკომპლექტებს

**საქართველოს ჩემპიონატის ჭაბუკთა B ლიგაში მეორე ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ერთი ტური და დარჩა. მომდევნო ეტაპზე თამაშის უფლება კი უკვე სამმა გუნდმა მოიპოვა. ესენი არიან: თბილისის „ლელო“ და ქუთაისის პირველი და მეორე გუნდები.**

A ჯგუფში შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსს ისევ სამი გუნდი ინარჩუნებს. ბოლოსწინა ტურში ერთ-ერთმა ფავორიტმა რუსთავის „ხარებმა“ სტუმრად წააგო თბილისის „ხულიგანასთან“ 3:6 და მდგომარეობა საგრძნობლად გაიუარესა. ბოლო ტურში „ხულიგანა“ „არმიას“ დაუპირისპირდება, რომელმაც მინიმალური სხვაობით დაამარცხა ჯგუფის ლიდერი „თსუ“ - 26:25. „ხარების“ მეტოქე კი „თსუ“ იქნება. რუსთაველებს აუცილებლად გამარჯვება სჭირდებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში მომდევნო ეტაპზე „არმია“ და „თსუ“ გავა.

**ჭაბუკთა B ლიგა**

**A ჯგუფი**

**ხულიგანა-ხარები 6:3, თსუ-არმია 25:26**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. თსუ - 15 ქულა, 2. არმია - 14, 3. ხარები - 10, 4. ხულიგანა - 8.

**VI ტური**

**არმია-ხულიგანა, ხარები-თსუ**

B ჯგუფში, როგორც უკვე ვთქვით, თბილისის „ლელო“ მეტოქეთაგან მიუწვდომელია. ამ გუნდმა ხუთი თამაშიდან ხუთივე მოიგო. ბოლოსწინა ტურში ლელოელებმა თბილისის „არმაზს“ სძლიეს 10:7. არმაზელები ახლა 11 ქულით მესამე ადგილზე არიან და „ჯვაროსნებს“ ორი ქულით ჩამორჩებიან.

ბოლო ტურში „არმაზი“ აუტსაიდერ „წიქარას“ დაუპირისპირდება. მისი კონკურენტი „ჯვაროსნების“ მეტოქე კი „ლელო“ იქნება.

**B ჯგუფი**

**წიქარა-ჯვაროსნები 12:27, ლელო-არმაზი 10:7**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ლელო - 24 ქულა, 2. ჯვაროსნები - 13, 3. არმაზი - 11, 4. წიქარა - 0.

**VI ტური**

**არმაზი-წიქარა, ჯვაროსნები-ლელო**

C ჯგუფში ყველაფერი გარკვეულია. ქუთაისის პირველი და მეორე გუნდები ჯგუფის სხვა წევრებს ერთი თავით სჯობნიან. დაუმარცხებელი კი პირველი გუნდია. ბოლო ტურში ერთმანეთს სწორედ ლიდერები შეხვდებიან. საინტერესოა, შეინარჩუნებს თუ არა პირველადგილოსანი პირველი გუნდი დაუმარცხებელის სტატუსს.

**C ჯგუფი**

**ტაო-აია2 7:13, აია1-აია3 28:3**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. აია1 - 23 ქულა, 2. აია 2 - 20, 3. აია 3 - 6, 4. ტაო - 1.

**VI ტური**

აია3-ტაო, აია2-აია1

D ჯგუფში მომდევნო ეტაპზე გასვლისთვის სამი გუნდი იბრძვის. ხაშურის „ლეგიონმა“ სტუმრად მოუგო „ადიგენს“ 8:6 და ლიდერობა განიმტკიცა. ხაშურელი მორაგბეები ბოლო ტურში შინ მიიღებენ ერთ-ერთ კონკურენტ „აია4“-ს, რომელმაც შინ წააგო ქობულეთის „პონტოსთან“ 20:21 და მეტოქეს სატურნირო ცხრილში დაწინაურების საშუალება მისცა. პონტოელები ბოლო ტურში შინ მიიღებენ აუტსაიდერ „ადიგენს“ და, ვფიქრობთ, გამარჯვების შანსს ხელიდან არ გაუშვებენ.

**D ჯგუფი**

**ადიგენი-ლეგიონი 6:8, აია4-პონტო 20:21**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ლეგიონი - 16 ქულა, 2. პონტო - 14, 3. აია 4 - 11, 4. ადიგენი -5.

**VI ტური**

პონტო-ადიგენი, ლეგიონი-აია4

**ბესიკ ჯანგავაძე**

● ლეგიონერები

# ყაულაშვილის ლა როშელი ელიტაში

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, მეორე დივიზიონში პლეიოფის ფინალური მატჩი გაიმართა. **ტარიელ რატიანიძის** „აჟენმა“ გადამწყვეტ მატჩში **ლექსო ყაულაშვილის** „ლა როშელთან“ წააგო - 23:31.

ამდენად, ელიტური პირველი დივიზიონის საგზური „ლიონთან“ ერთად ლაროშელელებმა მოიპოვეს. სამწუხაროდ „აჟენს“, რომელშიც უკვე ჩაირიცხნენ **გიორგი თეთრაშვილი** და **თამაზ მჭედლიძე**, მომავალ სეზონში ისევ მეორე დივიზიონში მოუწევს თამაში.

მეორე დივიზიონში ითამაშებს საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი **დიმიტრი ბასილაიაც**, რომელმაც ახლახან კატალონიურ „პერპინიანთან“ გააფორმა ორწლიანი ხელშეკრულება. ჯერჯერობით ამავე გუნდში ირიცხება ქართველი პირველხაზელი **გიორგი ჟღენტი**, რომელზეც ერთბაშად სამი ფრანგული გრანდი „ნადირობს.“

**ბესიკ ჯანგავაძე**


Dimitri BASILAIA & Benjamin BEAUX à l'USAP

Le Président de l'USAP, François RIVIERE, a souhaité officialiser ce soir de nouvelles signatures pour la saison prochaine. L'USAP comptera dans son effectif 2014/2015 : **Dimitri BASILAIA** et **Benjamin BEAUX**.

Dimitri BASILAIA
**3ème Ligne Centre (2 saisons)**
Date et lieu de naissance : 27/11/1985 à Tbilissi
Nationalité : Géorgien
Poids : 107 kg
Taille : 1,92 m
Précédents clubs : Morlaàs, Le Bugue, Aubenas, Valence d'Agen, Edinburgh Rugby
Sélection : Géorgie

დიმიტრი ბასიალაიამ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა

● U-19


საქართველო U-19 - ინგლისი U-20

# საკადრისი პასუხი ინგლისელებს

**პირველი მატჩის შემდეგ ინგლისელთა მწვრთნელი საკადრისი პასუხის მოლოდინში იყო ქართველი 19-წლამდელებისაგან და ამ მოლოდინმა გაუმართლა - 24 მაისს „ვოქალ პარკზე“ „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა“, პირველ მატჩში 10:36 დამარცხების შემდეგ, 23:22 უპასუხეს ინგლისის საგრაფოების 20-წლამდელთა ნაკრებს. მატჩის შესახებ მოკლე რეპორტაჟი ადგილობრივმა ჟურნალისტმა მოამზადა. გთავაზობთ ამონარიდს ამ პუბლიკაციიდან.**

მატჩის დასასრულისკენ ინგლისელებმა თითქოს გამოსტაცეს სტუმრებს გამარჯვება, მას შემდეგ, რაც ფრთაზე მოთამაშე **ჯექ როსითერის** ლელომ ანგარიში 20:20 გახადა და შეცვლაზე შემოსულმა **როდრი ედემსონმა** გარდასახა. თუმცა, მასპინძლები რაკში დაჯარიმდნენ. საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ფულბეკმა **გიორგი ბაბუნაშვილმა** საჯარიმოდ ზუსტად დაარტყა და ამ უშელავათო ბრძოლაში თავის ნაკრებს გამარჯვება მოუტანა.

ინგლისელები საპასუხო შემოლეწვას ელოდნენ ქართველებისგან, მას შემდეგ, რაც შელფორდში პირველ მატჩში 36:10 დაამარცხეს ისინი. ქართველმა შუამარბებმა **დევი დევსურაშვილმა** და თემურ **ირემაძემ** გვარიანად შეავიწროვეს მასპინძლები, მაგრამ პირველი ლელო ფრთაზე მოთამაშე, **დავით გულიტაშვილმა** დადო, რომელიც მგეზავმა **რეზო ჯინჭველაშვილმა** გარდასახა.

ინგლისელებმა სტუმრებს ნახევარ საათში უპასუხეს - მესამე ხაზელმა **ჯექ ელქოქმა** ქართველების დაცვა ხუთმეტრიან ხაზზე გაჭრა და ლელო დადო, რომლის გარდასახვა მასპინძლებმა ვერ შეძლეს. შესვენებამდე „უმცროს ბორჯღალოსნებს“ საჯარიმოს დარტყმის შესაძლებლობა მიეცათ. ჯინჭველაშვილმა ზუსტად დაარტყა - 10:5. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

მატჩის განახლებიდან შვიდი წუთის შემდეგ რეზო ჯინჭველაშვილმა სამი ქულა მიამატა ქართულ ყულაბას, რითაც ანგარიშში სხვაობა კიდევ უფრო გაზარდა. მაგრამ მასპინძლებმა სხვაობა ერთ ქულამდე მალევე შეამცირეს - გარემარბმა **ქუაქუ ასიედუმ** ქართველების გადმოკიდებული ბურთი წამოიღო, რითაც ბურჯს **ჯექ ქალვერჰაუსს** შეტევისთვის სივრცე შეუქმნა. დაახლოებით 8 წუთში კი ლელოს ავტორი ქალვერჰაუსი და ქართველი ბურჯი **თორნიკე მატარაძე** გაასინბინეს, მას შემდეგ, რაც ერთმანეთს მუშტები უთავაზეს ერთ-ერთი ეპიზოდის დროს.

ინგლისელი 20-წლამდელები მატჩის მსვლელობისას პირველად 73-ე წუთზე ედემსონის საჯარიმოთი დაწინაურდნენ, მაგრამ „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა“ მალევე ბაბუნაშვილის ლელოთი უპასუხეს, რომელიც თვითონვე გარდასახა.

როსითერმა კვლავ იმარჯვა და ლელო გაიტანა, ედემსონმა გარდასახა და ინგლისელები 22:20 დაწინაურდნენ მატჩის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე. ამით ქართველების წინააღმდეგობა არ გატეხილა და მალევე, რაკში არასწორი თამაშის გამო, დანიშნული ჯარიმა ბაბუნაშვილმა გაიტანა, რითაც მასპინძლებს ხელიდან გამოსტაცა გამარჯვება.

*„ეს იყო რაგბის გამარჯვება. ტურნე მთლიანობაში ორივე გუნდის მოთამაშეებისათვის ძალზედ სასარგებლო იყო და ასეთი დონის მატჩების შემდეგ, ინგლისელი მოთამაშეები თავიანთ კლუბებს უკეთეს მორაგბეებად დაუბრუნდებიან.:*

*მინდა განვაცხადო, რომ ქართველებმა ნამდვილად დაიმსახურეს ეს გამარჯვება. ჩვენ პირველ ნახევარში ვერ მოვახერხეთ შესაბამისი ზეწოლის განხორციელება, რამაც მატჩის ბედზე იმოქმედა. მე ქუდს ვიხდი ქართველი მორაგბეების წინაშე, რადგან მათ რამდენიმე დღეში შეძლეს თამაშის შემოტრიალება. არც ჩვენ ვითამაშეთ ცუდად, უბრალოდ, მონახაზის ზედმიწევნით შესრულება ვერ შევძელით.*

*დღეს ქართველმა მორაგბეებმა კარგ გამარჯვებას მიაღწიეს. საერთო ჯამში ოთხი შეხვედრიდან მათ პირველი მოიგეს და სახლში დამსახურებული სიხარულით გაემგზავრებიან. ისინი მატჩის ბოლო წუთამდე თავდაჯერებულად თამაშობდნენ, თუმცა ჩვენც მოვახერხეთ რამდენიმე ეპიზოდის შექმნა.*

*ორივე გუნდის მორაგბეებმა თამაშის სხვადასხვა სტილი ნახეს და რაც მთავარია, ისინი დაუმეგობრდნენ ერთმანეთს.“* - თქვა ნამატჩევს ინგლისელთა მწვრთნელმა **ბობ ჰუდმა**.

***რაგბის კავშირის პრეს სამსახური***

კალათბურთი. NBA. პლეი ოფი

# იბაკა საჭირო კაცი ყოფილა



სერჟ იბაკა

დასავლეთის კონფერენციის ფინალური სერიის მესამე მატჩმა გამოაჩინა, რამდენად საჭირო ფიგურაა „ოკლაჰომას" რიგებში ძირითადი ცენტრი **სერჟ იბაკა**. კონგოელმა ესპანელმა ფეხის ტრავმის გამო სან ანტონიოში გამართული პირველი ორი შეხვედრა გამოტოვა. ეს მატჩები „ოკლაჰომამ" ჯამში 52 ქულის სხვაობით წააგო, ამიტომაც კლუბის ხელმძღვანელობა რისკზე წავიდა და იბაკა მოურჩენელი ფეხით გავიდა მესამე მატჩზე სათამაშოდ.

საერთოდ, „თანდერის" წარმომადგენლებმა ნახევარფინალური სერიის დაწყების წინ გამოაცხადეს, რომ სერჟი სეზონის ბოლომდე გამოემშვიდობა კალათბურთელს. შესაძლოა, ამ ცნობით მათ მეტოქის დეზინფორმაცია სურდათ, მაგრამ ეს არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან გუშინდელი მატჩის მესამე მეოთხედში იბაკამ კოჭლობა დაიწყო და გასახდელში მოუწია გასვლა. მართალია, ის მეოთხე მეოთხედში დაბრუნდა, მაგრამ მატჩის ბედი უკვე თითქმის გადაწყვეტილი იყო. სწორედ ამ დროს შეახსენა **კევინ დურანტმა** თავის მწვრთნელს, რომ იბაკა შემდეგ მატჩებშიც გამოადგებოდათ და სკოტ ბრუქსმაც აფრიკელს დასვენების საშუალება მისცა.

ასეა თუ ისე, კონგოელმა კარდინალურად შეცვალა თავისი გუნდის თამაში. იბაკა სტარტიდანვე აქტიურად ჩაერთო საქმეში - მოიგო პირველი მოხსნა, ანგარიში გახსნა, პირველ ხუთ წუთში ორი დაფარება შეასრულა და პირველი ხუთი ტყორცნიდან ყველა მოათავსა კალათში.

პრაქტიკულად მთელი პირველი ტაიმი გუნდები ქულა ქულაში მიდიოდნენ. საწყის მეოთხედში „ოკლაჰომამ" 63 პროცენტის სიზუსტით ისროლა, მაგრამ წააგო ეს 12-წუთეული ერთი ქულით. თუმცა დიდი შესვენების მოახლოებასთან ერთად, „სპურსმა" თამაშს უკლო. ამას ორი მიზეზი ჰქონდა და ორივე სწორედ იბაკას დაბრუნებას უკავშირდება.

**გრეგ პოპოვიჩის** შეგირდებმა პირველად წააგეს სერიაში მოხსნებისთვის ბრძოლა, გარდა ამისა, მეტოქის სამწამიანიდან ორჯერ ნაკლები ქულა დააგროვეს, ვიდრე ამას წინა შეხვედრებში აკეთებდნენ.

„ოკლაჰომამ" არ მისცა თავისუფალი მოქმედების საშუალება **ტონი პარკერს, დენი გრინსა** და **კავაი ლეონარდს**: ამ სამეულმა 36-დან მხოლოდ 11 სროლა მოათავსა კალათში. სკოტ ბრუქსის შეგირდები მხოლოდ **მანუ ჯინობილის** შეჩერებას ვერ ახერხებდნენ. არგენტინელმა ექვსი სამქულიანი ჩააგდო, თუმცა მასპინძლებმა მისთვის პასუხის გაცემა სხვა ხერხით შეძლეს - მის ყოველ ზუსტ შორეულ ტყორცნას საკუთარი უნაკლო სროლებით პასუხობდნენ. სწორედ ამის ხარჯზე არ მისცა „ოკლაჰომამ" ტეხასელებს თამაშში გარდატეხის შეტანის საშუალება. მესამე მეოთხედში „თანდერმა" უპირატესობის განვრცობა საჯარიმოებით შეძლო - 22 თავისუფალი ტყორცნიდან 18 აღმოჩნდა ზუსტი, იმ დროს, როცა „სან ანტონიოს" მოთამაშეები ამ მეოთხედში ერთხელაც არ დამდგარან საჯარიმოს ხაზზე.

ამ ყველაფერს დაემატა ისიც, რომ **რასელ უესტბრუკმა** და კევინ დურანტმა საკუთარი გულშემატკივრების წინაშე შეძლეს რეაბილიტაცია წინა მატჩში კატასტროფული თამაშის გამო.

ჯერჯერობით, არ შეიძლება იმის თქმა, რომ „ოკლაჰომამ" გარდატეხა შეიტანა სერიაში. ბევრ რამეს პასუხს გასცემს სერიის მეოთხე შეხვედრა, რომელიც ხვალ „თანდერის" მოედანზე გაიმართება.

**ოკლაჰომა-სან ანტონიო 106:97**

28:29, 29:24, 26:23, 23:21

ო: უესტბრუკი (26+8 მოხსნა+7 პასი+3 ჩაჭრა), დურანტი (25+10 მოხსნა), იბაკა (15+7 მოხსნა+4 დაფარება), ჯექსონი (15+5 პასი), ადამსი (7+9 მოხსნა+4 დაფარება), ლემბი (6), ბატლერი (5), პერკინსი (4), ფიშერი (3+5 მოხსნა).

ს-ა: ჯინობილი (23+4 პასი), დანკანი (16+8 მოხსნა), ლეონარდი (10), პარკერი (9+4 პასი), გრინი (8), დიაო (6+6 პასი+6 მოხსნა), ბელინელი (6), ბეინსი (5), ჯოზეფი (5), სპლიტერი (4+8 მოხსნა), მილზი (3), ეირსი (2).

**სერია: 1-2**

ამბები

კალათბურთი

## კლივლენდს ირვინგი აღარ უნდა?

„კლივლენდის" ხელმძღვანელობა არ აპირებს ამ ზაფხულს მაქსიმალური კონტრაქტის შეთავაზებას გამთამაშებელ **კაირი ირვინგისთვის**. კლუბს არ სურს მოთამაშისთვის დიდი ფულის დახარჯვა შორეულ პერსპექტივაში. „კავალიერზის" ბოსების ასეთი პოზიცია იმას უკავშირდება, რომ დრაფტზე პირველ ნომრად არჩევიდან სამი წლის განმავლობაში ირვინგი მაინც ვერ გახდა გუნდის ლიდერი, ამასთან, მუდმივი პრობლემები აქვს პარტნიორებთან ურთიერთობაში.

*„მან უბრალოდ ძალიან მალე ძალიან ბევრი მიიღო. ახალგაზრდა მოთამაშეებმა ეს ყველაფერი უნდა გამოიმუშავონ და ამ მხრივ კლუბმა ცუდად იმუშავა მასთან"*, - განაცხადა „კლივლენდთან" დაახლოებულმა წყარომ.

## ტიბოდო მხოლოდ ნიქსში წავა

„ჩიკაგო ბულზის" მთავარი მწვრთნელი **ტომ ტიბოდო** მზად არ არის დატოვოს ამჟამინდელი პოსტი რომელიმე კლუბის სანაცვლოდ. გამონაკლისი მხოლოდ „ნიუ იორკ ნიქსია".

ტიბოდომ 2010 წელს ჩაიბარა „ბულზი" და მას შემდეგ ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად არის აღიარებული, თუმცა ბოლო დროს დაძაბული ურთიერთობა აქვს კლუბის ხელმძღვანელობასთან. მიუხედავად ამისა, BleacherReport ამტკიცებს, რომ მწვრთნელი მზად არის „ჩიკაგო" მხოლოდ „ნიქსზე" გაცვალოს.

შეგახსენებთ, რომ „ნიუ იორკმა" ყოფილი მთავარი მწვრთნელი **მაიკ ვუდსონი** მას შემდეგ გაათავისუფლა, რაც „ნიქსის" გაყვანა ვერ შეძლო პლეი ოფში.

## უსახლკარო კალათბურთელი

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყოფილი მოთამაშე **ერიკ უილიამსი** სახლის გარეშე დარჩა. ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც კალათბურთელი არ გამოცხადდა სასამართლო პროცესზე, რომელიც გადაუხდელი ალიმენტების გამო დაიწყო.

უილიამსმა, რომელმაც ლიგაში 12 წელი გაატარა, განაცხადა, რომ სასამართლოს შეტყობინება ვერ მიიღო, რადგან... სახლი არ აქვს. აგრეთვე მოთამაშის თქმით, მისი ფინანსური მდგომარეობა იმდენად მძიმეა, რომ არ შეუძლია შეიძინოს ავიაბილეთები და დაიქირავოს ადვოკატი.

## ჩიკაგო მერიონსა და პირსს უმიზნებს

„ჩიკაგო ბულზის" ხელმძღვანელობა შეთანხმების მიღწევას აპირებს „დალას მავერიქსის" ფორვარდ **შონ მერიონთან**, რომელიც ზაფხულში თავისუფალი აგენტის სტატუსს მიიღებს. 35 წლის მერიონის დამატებით, „ხარები" სათადარიგოთა სკამის გაძლიერებას აპირებენ. ასევე „ჩიკაგო" „ბრუკლინის" ვეტერანი მცველის **პოლ პირსის** დამატებას გეგმავს.

გასულ სეზონში მერიონმა 76 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 32 წუთში 10.4 ქულა და 6.5 მოხსნა დააგროვა.

## ახალი კონტრაქტი ბლატისთვის

თელ-ავივის „მაკაბის" ხელმძღვანელობამ გუნდის მთავარ მწვრთნელთან **დევიდ ბლატთან** შეხვედრა გამართა, რომლის დროსაც განიხილებოდა თანამშრომლობის გაგრძელების შესაძლებლობა. წლევანდელი ევროლიგის გამარჯვებული ამერიკელ სპეციალისტთან ახალი ოთხწლიანი ხელშეკრულების გაფორმებას აპირებს, ამასთან, ყოველწლიური ხელფასი 650-დან 850 ათას დოლარამდე გაიზრდება.

თავად ბლატმა უფრო ადრე მიანიშნა „მაკაბის" ხელმძღვანელობას, რომ ზაფხულში მრავალწლიანი კონტრაქტის გაფორმება სურს.

ჰოკეი

## სად წავა იგინლა?

„ბოსტონ ბრუინზის" 36 წლის ვეტერანი **ჯერომ იგინლა**, სავარაუდოდ, ამ ზაფხულს დატოვებს გუნდს. „დათვების" მესამე ბომბარდირს (რეგულარულ ჩემპიონატში 30 გოლი და 31 შედეგიანი პასი) კონტრაქტის ვადა ამოეწურა და „ბრუინზის" ხელმძღვანელობას საკმაოდ მოკრძალებული ფინანსური შესაძლებლობები აქვს იგინლას შესანარჩუნებლად. წლევანდელ სეზონში ფორვარდის ხელფასი 1.8 მილიონი დოლარი იყო და კლუბის სახელფასო ბიუჯეტში ისეთი მდგომარეობაა, რომ „ბოსტონი" იგინლას უკეთეს კონტრაქტს ვერ შესთავაზებს.

*„იგინლამ შესანიშნავი სეზონი ჩაატარა და ორივე მხარეს სურს თანამშრომლობის გაგრძელება, მაგრამ რეალურად „ბოსტონს" არ შეუძლია უკეთესი კონტრაქტის შეთავაზება"*, - წერს CSNNE-ს მიმომხილველი **ჯო ჰაგერტი**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი. NHL. პლეი ოფი




სან ლუის გოლის შემდეგ

# გაბრაზებული რეინჯერსი წინ გაიჭრა

წინა შეხვედრის საკუთარ მოედანზე წაგების შემდეგ, „რეინჯერები" ძალიან აგრესიულები და მოტივირებულები გავიდნენ მეოთხე მატჩზე. ამისთვის მათ საკმარისი საბაბი ჰქონდათ: თავდამსხმელი **დერეკ სტეპანი**, რომელიც მეტოქის ფორვარდ **ბრენდონ პრუსტთან** შეჯახებისას დაზარალდა, დიდი ხნით გამოვიდა მწყობრიდან ყბის მოტეხილობის გამო. არადა, მანამდე სტეპანმა ზედიზედ 348 მატჩში მიიღო მონაწილეობა და „რკინის ადამიანის" რეპუტაცია ჰქონდა. მიუხედავად ამისა, „მონრეალის" ფორვარდმა **დანიელ ბრიერმა** სტეპანს სიმულანტი უწოდა და სწორედ ამან გააბრაზა „რეინჯერსი".

გარდა ამისა, კვირას დილით მეორე ინციდენტი მოხდა: ნიუიორკელთა მთავარი მწვრთნელის ასისტენტი **ულფ სამუელსონი** „მონრეალის" ვარჯიშს ესწრებოდა, თუმცა ის დარბაზიდან გააძევეს. „კანადიენსის" მთავარი მწვრთნელის **მიშელ ტერიენის** თქმით, გუნდებს შორის არსებობდა ჯენტლმენური შეთანხმება - არ დასწრებოდნენ ერთმანეთის ვარჯიშებს. მიუხედავად ამისა, „რეინჯერსის" დამრიგებელმა **ალენ ვინიომ**, რომელსაც ტერიენთან მეგობრული ურთიერთობა აქვს, აღნიშნა, რომ მის თანაშემწეს არასამართლიანად მოექცნენ.

აქვე უნდა დავამატოთ, რომ ოფიციალურად ჰოკეის ეროვნულ ლიგაში არ არსებობს მეტოქის ვარჯიშზე მეორე გუნდის წარმომადგენლის დასწრებაზე აკრძალვა.

თავად მეოთხე მატჩი სცენარით ჰგავდა წინა შეხვედრას. მასპინძლებმა რიცხობრივ უმცირესობაში **კარლ ჰაგელინის** მონდომებით გახსნეს ანგარიში, მაგრამ „მონრეალმა" ორჯერ შეძლო ანგარიშის გათანაბრება და უფრო მეტიც შეეძლო, რადგან მეტოქე აძლევდა ასეთ შანსს. მოწინააღმდეგის ზონაში უხეშობის გამო ნიუიორკელებმა შვიდჯერ მიიღეს ორწუთიანი ჯარიმა, მაგრამ „კანადიენსმა" ეს შანსი ვერ გამოიყენა. ერთხელ კი მესამე პერიოდში, 2:2-ზე მონრეალელმა **გალჩენიუკმა** ძელს გაარტყა შაიბა.

„რეინჯერსის" უხეში თამაში ოვერტაიმშიც გაგრძელდა. უკვე 30-ე წამზე **ბენუა პულიომ** აკრძალული ილეთით შეაჩერა **პი კეი საბენი**, თუმცა სტუმრებმა რიცხობრივი უპირატესობა ვერც ამჯერად გამოიყენეს. სამი წუთის შემდეგ კი მატჩის ბედი გადაწყდა: „მონრეალმა" საკუთარი ზონიდან შაიბის გამოტანა ვერ შეძლო და ვეტერანმა **სან ლუიმ** ახლო ცხრიანში გაუტანა სტუმრების მეკარე **ტოკარსკის**.

**რეინჯერსი-მონრეალი 3:2 (ო)**

1:0, 1:1, 0:1, 1:0

**გოლები:** 1:0 ჰაგელინი-6 (ბ. ბოილი-3, მაკდონაჰი-7), 1:1 ბუიონი-2 (დეშარნე-5, რ. ბურკი-3), 2:1 ბრასარი-5 (ჟირარდი-6, ლუნდკვისტი-1), 2:2 საბენი-5 (მარკოვი-6, დეშარნე-6), 3:2 სან ლუი-6 (ჰაგელინი-4, ბ. რიჩარდსი-6).

**სერია: 3-1**

## ფოტო-NEWS




## უცნაური ყინული მინესოტაში

NHL-ის კლუბ „მინესოტა უაილდის" აბონემენტების მფლობელებმა უნიკალური შესაძლებლობა მიიღეს - მათ საშუალება მიეცათ კლუბის საშინაო არენის ყინულზე გამოეხატათ საკუთარი აზრები წარწერებით ან ნახატებით.

„მინესოტამ" დაძაბულ ბრძოლაში წააგო „ჩიკაგოსთან" სერია სტენლის თასის მეორე რაუნდში. მიუხედავად ამისა, კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ამ გზით მადლობა გადაეხადა აბონემენტების მფლობელებისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. როლან გაროსი

# კეი და სტენი სახლში წავიდნენ

## როლან გაროსზე ორი სენსაცია მოხდა

გუშინ როლან გაროსზე მეორე სათამაშო დღე იყო. გაგრძელდა პირველი წრე და ამ ეტაპზე ერთბაშად ორი ხმაურიანი სენსაცია მოხდა.

პირველი მოულოდნელობის ავტორი გახდა **მარტინ კლიჟანი**. თავის დროზე, ეს სლოვაკი ჩოგბურთელი ძალიან დიდ იმედებს იძლეოდა, იუნიორებს შორის როლან გაროსი მოიგო, მაგრამ უფროსთა კატეგორიაში გადასვლისას ტრავმებმა შეუშალეს ხელი. კლიჟანი TOP30-ის წევრიც იყო, შარშანდელ როლან გაროსზე კი თვით **რაფაელ ნადალს** მოუგო ერთი სეტი და სამი საათი აწვალა ესპანელი.

წელს სლოვაკმა დაიბრუნა ოპტიმალური ფორმა და მიუნხენის ტურნირი მოიგო, გუშინ კი მიმდინარე როლან გაროსის პირველი სენსაციაც შემოგვთავაზა - იაპონელი **კეი ნიშიკორი** გამოთიშა ბრძოლას. აზიელი ცოტა ხნის წინ მადრიდის მასტერსის ფინალში თამაშობდა და იქ კინაღამ დაამარცხა ნადალი. ნიშიკორის უდროო დროს შეახსენა თავი ზურგის ტრავმამ და ფინალი ვერ დაასრულა. იყო ვარაუდი იმის შესახებ, რომ იაპონელი გამოტოვებდა როლან გაროსს, მაგრამ ნიშიკორიმ თამაში გადაწყვიტა და კლიჟანთან პირველ სეტში კარგადაც გამოიყურებოდა - პირველ სეტში ბრეიკით დაწინაურდა. მაგრამ სლოვაკი კარგად თამაშობდა მიღებაზე და დაკარგული მოწოდება დაიბრუნა, რასაც ტაი-ბრეიკზე გამარჯვება მოჰყვა. ამის შემდეგ კი იაპონელის თამაში სრულიად მოიშალა - მან 10 ორმაგი და 40 უნებლიე შეცდომა დაუშვა, საკუთარ მოწოდებაზე კი მთლად უსუსურად გამოიყურებოდა - 6:7(4), 1:6, 2:6.

კლიჟანმა, რომელსაც ამ სეზონში 15 მოგება და მხოლოდ ოთხი წაგება აქვს, ათიდან ექვსი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა.

მეორე სენსაცია გუშინდელი სათამაშო დღის ბოლო მატჩში მოხდა. კიდევ ერთხელ დავინახეთ, რომ მსოფლიოს მესამე ჩოგანი, ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონი **სტენ ვავრინკა** აბსოლუტურად ამოვარდნილია ფორმიდან. მართალია, შვეიცარიელმა მონტე კარლოს მასტერსი მოიგო, მაგრამ შემდეგ



ნოვაკ ჯოკოვიჩი

ადრეულ ეტაპზე გამოეთიშა ბრძოლას მადრიდისა (წააგო **დომინიკ ტიემთან**) და რომის (**ტომი ჰაასი**) მასტერსებზე.

და ამას მოჰყვა გუშინ ესპანელ **გილერმო გარსია-ლოპესთან** მარცხი. თანაც ვავრინკამ სრულიად უშანსოდ დათმო ეს შეხვედრა. მან 62 (!) უნებლიე შეცდომა დაუშვა და მეტოქეს რვა ბრეიკის შესრულების საშუალება მისცა - 4:6, 7:5, 2:6, 0:6.

30 წლის ესპანელისთვის ეს იყო კარიერაში მე-11 მოგება ტოპ-ათეულის წევრებთან. მისი შემდეგი მეტოქე ფრანგი **ადრიან მანარინო** იქნება.

■ ■ ■

დამაჯერებელი სტარტი ჰქონდათ მთავარ ფავორიტებს - რაფაელ ნადალსა და **ნოვაკ ჯოკოვიჩს**. ესპანელს გუშინ განსაკუთრებული დღე ჰქონდა: როლან გაროსზე საიუბილეო მე-60 მატჩი მოიგო და ახლა, პარიზში შთამბეჭდავი სტატისტიკა აქვს: 60 მოგება და ერთი წაგება!

ნადალი ერთ დროს TOP15-ის წევრს, ახლა კი 279-ე ჩოგანს, ამერიკელ **რობი ჯინეპრის** ხვდებოდა. პირველი სეტის „მშრალად" მოგების შემდეგ, რაფამ მეტოქეს მეორე სეტში წინ გასვლის საშუალება მისცა, მაგრამ 2:3-დან მოყოლებული ზედიზედ ათი გეიმი აიღო და 6:0, 6:3, 6:0 მოიგო.

ძალიან დიდ ინტერესს იწვევს ნადალის შეხვედრა მეორე წრეში. აქ მისი მეტოქე იქნება პერსპექტიული ავსტრიელი დომინიკ ტიემი, რომელმაც

გაგრძელება მე-15 გვერდზე

## როლან გაროსი. ქალების ბადე

| 1/64 | 1/32 | 1/16 | 1/8 | 1/4 | 1/2 |
|---|---|---|---|---|---|
| ს. უილიამსი (აშშ, 1) | | | | | |
| ლიმი (საფ) | | | | | |
| მუგურუსა (ესპ) | | | | | |
| მინი (აშშ) | | | | | |
| შმიედლოვა (სლოვაკ) | | | | | |
| ჟენგი (ჩინ) | | | | | |
| ვ. უილიამსი (აშშ, 29) | | | | | |
| ბენჩიჩი (შვეიც) | | | | | |
| ვინჩი (იტა, 17) | | | | | |
| პარმენტიე (საფ) | | | | | |
| შვედოვა (ყაზ) | | | | | |
| დევისი (აშშ) | | | | | |
| კნაპი (იტა) | | | | | |
| ბარტელი (გერ) | | | | | |
| ფერო (საფ) | | | | | |
| ლისიცკი (გერ, 16) | | | | | |
| ციბულკოვა (სლოვა, 9) | | | | | |
| რაზანო (საფ) | | | | | |
| პაჩეკი (ავსტრია) | | | | | |
| ვან უიტვანკი (ბელ) | | | | | |
| მოისბურგერი (ავს) | | | | | |
| ჰესე (საფ) | | | | | |
| პუიგი (პ. რიკო) | | | | | |
| სტოსური (ავსტრა, 19) | | | | | |
| ნიკულესკუ (რუმ) | | | | | |
| კანეპი (ესტ, 25) | | | | | |
| ოპრანდი (შვეიც) | | | | | |
| ორმაეჩეა (არგ) | | | | | |
| პირონკოვა (ბულ) | | | | | |
| ბეკი (გერ) | | | | | |
| პერვაკი (რუს) | | | | | |
| შარაპოვა (რუს, 7) | | | | | |
| ა. რადვანსკა (პოლ, 3) | | | | | |
| ჟანგი (ჩინ) | | | | | |
| იოჰანსონი (საფ) | | | | | |
| კარ. პლიშკოვა (ჩეხ) | | | | | |
| ტომლიანოვიჩი (ხორ) | | | | | |
| სკიავონე (იტა) | | | | | |
| მაკჰეილი (აშშ) | | | | | |
| ვესნინა (რუს, 32) | | | | | |
| კორნე (საფ, 20) | | | | | |
| ბარტი (ავსტრა) | | | | | |
| თაუნსენდი (აშშ) | | | | | |
| კინგი (აშშ) | | | | | |
| ბაშჩინსკი (შვეიც) | | | | | |
| ზანევსკა (უკრ) | | | | | |
| სუარეს ნავარო (ესპ, 14) | | | | | |
| ბეიგელციმერი (უკრ) | | | | | |
| პენეტა (იტა, 12) | | | | | |
| მეირი (ავსტრია) | | | | | |
| ლარსონი (შვედ) | | | | | |
| კირილენკო (რუს) | | | | | |
| ლარშერ ბრიტუ (პორ) | | | | | |
| გორგესი (გერ) | | | | | |
| პეერი (ისრ) | | | | | |
| ბუშარი (კან, 18) | | | | | |
| ჰანტუხოვა (სლოვა, 31) | | | | | |
| იაკშიჩი (სერ) | | | | | |
| ფოიერშტეინი (საფ) | | | | | |
| გოვორცოვა (ბლრ) | | | | | |
| ლეპჩენკო (აშშ) | | | | | |
| ჩეტკოვსკა (ჩეხ) | | | | | |
| კერბერი (გერ, 8) | | | | | |
| პიტერი (პოლ) | | | | | |

### 1/16 ფინალის სავარაუდო წყვილები

(თუ განთესილები პირველ ორ წრეს გაივლიან)

ს. უილიამსი (აშშ, 1)-ვ. უილიამსი (აშშ, 29)
ვინჩი (იტა, 17)-ლისიცკი (გერ, 16)
ციბულკოვა (სლოვა, 9)-სტოსური (ავს, 19)
კანეპი (ესტ, 25)-შარაპოვა (რუს, 7)
ა. რადვანსკა (პოლ, 3)-ვესნინა (რუს, 32)
კორნე (საფ, 20)-სუარეს ნავარო (ესპ, 14)
პენეტა (იტა, 12)-ბუშარი (კან, 18)
ჰანტუხოვა (სლოვაკ, 31)-კერბერი (გერ, 8)
კვიტოვა (ჩეხ, 5)-კუზნეცოვა (რუს, 27)
საფაროვა (ჩეხ, 23)-ივანოვიჩი (სერ, 11)
სტივენსი (აშშ, 15)-მაკაროვა (რუს, 22)
კუკალოვა (ჩეხ, 30)-ჰალეპი (რუმ, 4)
იანკოვიჩი (სერ, 6)-კირსტეა (რუმ, 26)
ფლიპკენსი (ბელ, 21)-ერანი (იტა, 10)
ვოზნიაცკი (დან, 13)-პავლიუჩენკოვა (რუს, 24)
პეტკოვიჩი (28, გერ)-ნა ლი (ჩინ, 2)

| 1/2 | 1/4 | 1/8 | 1/16 | 1/32 | 1/64 |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | კვიტოვა (ჩეხ, 5) |
| | | | | | დიასი (ყაზ) |
| | | | | | ერაკოვიჩი (ა. ზელ) |
| | | | | | კიჩენოკი (უკრ) |
| | | | | | იოვანოვსკი (სერ) |
| | | | | | ჯორჯი (იტა) |
| | | | | | შაფათავა (საქ) |
| | | | | | კუზნეცოვა (რუს, 27) |
| | | | | | საფაროვა (ჩეხ, 23) |
| | | | | | მინელა (ლუქ) |
| | | | | | დელაკუა (ავსტრა) |
| | | | | | დომინგეს ლინო (ესპ) |
| | | | | | სვიტოლინა (უკრ) |
| | | | | | მარტიჩი (ხორ) |
| | | | | | გარსია (საფ) |
| | | | | | ივანოვიჩი (სერ, 11) |
| | | | | | სტივენსი (აშშ, 15) |
| | | | | | პენგი (ჩინ) |
| | | | | | ჰერცოგი (სლოვენ) |
| | | | | | ჩეპელოვა (სლოვაკ) |
| | | | | | მელცერი (ჩეხ) |
| | | | | | ვანდევეგე (აშშ) |
| | | | | | როჯერსი (აშშ) |
| | | | | | მაკაროვა (რუს, 22) |
| | | | | | კუკალოვა (ჩეხ, 30) |
| | | | | | ტორო-ფლორი (ესპ) |
| | | | | | რიბარიკოვა (სლოვაკ) |
| | | | | | უ. რადვანსკა (პოლ) |
| | | | | | უოტსონი (ბრიტ) |
| | | | | | ზახვალოვა (ჩეხ) |
| | | | | | კლეიბანოვა (რუს) |
| | | | | | ჰალეპი (რუმ, 4) |
| | | | | | იანკოვიჩი (სერ, 6) |
| | | | | | ფიშმანი (კან) |
| | | | | | ტატიშვილი (აშშ) |
| | | | | | ნარა (იაპ) |
| | | | | | პერეირა (ბრა) |
| | | | | | კუმხუმი (ტაილ) |
| | | | | | ვოზნიაკი (კან) |
| | | | | | კირსტეა (რუმ, 26) |
| | | | | | ფლიპკენსი (ბელ, 21) |
| | | | | | კოვიჩინი (ჩერ) |
| | | | | | ვეკიჩი (ხორ) |
| | | | | | გლუშკო (ისრ) |
| | | | | | კაბესა კანდელა (ესპ) |
| | | | | | პფიცენმაიერი (გერ) |
| | | | | | კისი (აშშ) |
| | | | | | ერანი (იტა, 10) |
| | | | | | ვოზნიაცკი (დან, 13) |
| | | | | | ვიკმაიერი (ბელ) |
| | | | | | სოლერ ესპინოსა (ესპ) |
| | | | | | სხევერსი (ს. აფრ) |
| | | | | | კადანტუ (რუმ) |
| | | | | | ბერტენსი (ჰოლ) |
| | | | | | დატე (იაპ) |
| | | | | | პავლიუჩენკოვა (რუს, 24) |
| | | | | | პეტკოვიჩი (გერ, 28) |
| | | | | | დოი (იაპ) |
| | | | | | ფრიდსამი (გერ) |
| | | | | | ფოგელი (შვეიც) |
| | | | | | რისკე (აშშ) |
| | | | | | ლუჩიჩი (ხორ) |
| | | | | | მლადენოვიჩი (საფ) |
| | | | | | ნა ლი (ჩინ, 2) |

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-14 გვერდიდან

ცოტა ხნის წინ კარიერაში პირველად დაამარცხა ტოპ-ათეულის წევრი სტენ ვავრინკა. 20 წლის ჩოგბურთელმა გუშინ სამ სეტში მოუგო გამოცდილ ფრანგ **პოლ-ანრი მატიოს** და წინ სერიოზული გამოცდა ელის.

ჯოკოვიჩმა ამ სეზონში 28-ე მატჩი ჩაატარა და 25-ე გამარჯვებას მიაღწია. მას პრობლემები არ შექმნია **ჟოაო სოუზას** წინააღმდეგ - 6:1, 6:2, 6:4. სერბი მატჩის მეორე ნაწილში ოდნავ ამოვარდა ფორმიდან, რადგან წვიმის გამო მატჩის გადადება გახდა საჭირო. ახლა, სერბს წინ აქვს შეხვედრა ფრანგ **ჟერემი შარდისთან**, რომელმაც ორი კვირის წინ, რომის მასტერსზე **როჯერ ფედერერის** დამარცხება შეძლო.

### კაცები

#### I წრე

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-რობი ჯინეპრი (აშშ) 6:0, 6:3,6:0; **დომინიკ ტიემი (ავსტრია)**-პოლ-ანრი მატიო (საფ) 6:4, 7:6(3), 6:2; **ლეონარდო მაიერი (არგ)**-ჯეიმს დაკუორტი (ავსტრა) 5:7, 6:2, 6:4, 7:6(2); **თეიმურაზ გაბაშვილი (რუს)**-ვასეკ პოსპიშილი (კან, 30) 6:4, 6:2, 6:3; **გილერმო გარსია-ლოპესი (ესპ)**-სტენ ვავრინკა (შვეიც, 3) 6:4, 5:7, 6:2, 6:0; **ადრიან მანარინო (საფ)**-იენ-ჰსუნ ლუ (ტაივ) 6:2, 6:1, 6:1; **დონალდ იანგი (აშშ)**-დუდი სელა (ისრ) 6:1, 2:6, 6:1, 6:0; **ფელისიანო ლოპესი (ესპ, 26)**-დამირ ძუმჰური (ბოს) 6:3, 7:6(8), 6:3; **ტომაშ ბელუჩი (ბრა)**-ბენჯამინ ბეკერი (გერ) 6:2, 6:3, 3:6, 4:6, 6:2; **ფაბიო ფონინი (იტა, 14)**-ანდრეას ბეკი (გერ) 6:4, 6:4, 6:1; **ბენუა პერი (საფ)**-ალეხანდრო ფალია (კოლ) 6:3, 6:4, 7:6(4); **რობერტო ბაუტისტა აგუტი (ესპ, 27)**-პაოლო ლორენცი (იტა) 6:3, 7:5, 6:2; **ტომი რობრედო (ესპ, 17)**-ჯეიმს უორდი (ბრიტ) 4:6, 6:4, 6:2, 6:4; **კენი დე სხეპერი (საფ)**-ალბერტო მონტანიესი (ესპ) 3:1 უარი; **მიხაილ კუკუშკინი (ყაზ)**-ნიკოლა მაუ (საფ) 6:3, 6:7(4), 6:3, 6:4; **ფაკუნდო ბანისი (არგ)**-ჟულიან ბენეტო (საფ) 6:1, 6:2, 1:6, 3:6, 18:16; **ერნესტ გულბისი (ლატ, 18)**-ლუკაშ კუბოტი (პოლ) 4:6, 6:4, 7:5, 6:1; **ირჟი ვესელი (ჩეხ)**-ლუკაშ როსოლი (ჩეხ) 6:2, 7:6(6), 7:5; **ალეხანდრო გონსალესი (კოლ)**-მაიკლ რასელი (აშშ) 6:2, 6:4, 6:7(6), 6:1; **ჟილ სიმონი (საფ, 29)**-ანტე პავიჩი (ხორ) 6:1, 6:1, 6:3; **მარსელ გრანოლერსი (ესპ)**-ივან დოდიგი (ხორ) 2:2 უარი; **რობინ ჰაასე (ჰოლ)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს) 7:5, 6:4, 6:2; **მარტინ კლიჟანი (სლოვაკ)**-კეი ნიშიკორი (იაპ, 9) 7:6(4), 6:1, 6:2; **მარინ ჩილიჩი (ხორ, 25)**-პაბლო ანდუხარი (ესპ) 6:0, 6:3, 7:6(6); **ტობიას კამკე (გერ)**-მილოსლავ მეჩირი (სლოვაკ) 7:5, 7:6(2), 7:6(1); **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)**-ჟოაო სოუზა (პორ) 6:1, 6:2, 6:4.

## ქალებში ყველაფერი ლოგიკურადაა

მამაკაცებისგან განსხვავებით, მეორე დღეა ქალების ტურნირი სერიოზული მოულოდნელობების გარეშე მიმდინარეობს - ფავორიტები დამაჯერებლად იგებენ თავიანთ შეხვედრებს. პირველ რიგში, ეს **მარია შარაპოვაზე** ითქმის, რომელმაც მხოლოდ სამი გეიმი გაიმეტა თანამემამულე **ქსენია პერვაკისთვის** - 6:1, 6:2.

საინტერესოა, რომ შარაპოვას პერვაკზე მეტი უნებლიე შეცდომა ჰქონდა (17 15-ის წინააღმდეგ), სამაგიეროდ, „ვინერსებში" უდიდესი უპირატესობა დააფიქსირა - 17:4.

შარაპოვა გრუნტის საფარის ბრწყინვალე მოთამაშედ ჩამოყალიბდა და ამაზე სტატისტიკაც კარგად მეტყველებს - 2011 წელს, როლან გაროსზე **ნა ლისთან** ნახევარფინალში მარცხის შემდეგ, მარიამ გრუნტზე 52 მატჩი ჩაატარა და 48 მოიგო. ნაკლებად მოსალოდნელია, რომ მარიას პრობლემები შეექმნას მეორე რაუნდში, სადაც მისი მეტოქე ბულგარელი **ცვეტანა პირონკოვა** იქნება.



მარია შარაპოვა

ოდნავ გაუჭირდა ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტს **დომინიკა ციბულკოვას**. მისი მეტოქე იყო ფრანგი **ვირჟინ რაზანო**, რომელმაც ორი წლის წინ, როლან გაროსის პირველ წრეში თვით **სერენა უილიამსი** გამოთიშა ბრძოლას. ფრანგი ამჯერედაც ახლოს იყო პირველი სეტის მოგებასთან - 4:3-სა და 5:4-ს იგებდა, მაგრამ ორივე შემთხვევაში წააგო საკუარი მოწოდება. საბოლოოდ ისე გამოვიდა, 5:4-დან მოყოლებული, მასპინძელმა ზედიზედ რვა გეიმი დათმო და 5:7, 0:6 დამარცხდა.

კარგი ფორმა აჩვენა ავსტრალიელმა **სამანტა სტოსურმა**, რომელმაც 18 „ვინერსის" წყალობით 6:1, 6:1 გაანადგურა სტრასბურის ტურნირის გამარჯვებული **მონიკა პუიგი**.

ქალთა ბადეში ერთადერთი მოულოდნელობა კი ფრანგი **პოლინ პარმენტიეს** მოგება იყო მე-17 ნომრად განთესილ იტალიელთან **რობერტა ვინჩისთან** - 3:6, 6:3, 6:2.

### ქალები

#### I წრე

**პოლინ პარმენტიე (საფ)**-რობერტა ვინჩი (იტა, 17) 3:6, 6:3, 6:2; **იაროსლავა შვედოვა (ყაზ)**-ლორენ დევისი (აშშ) 3:6, 7:5, 6:4; **მონა ბარტელი (გერ)**-კარინ კნაპი (იტა) 6:4, 6:0; **საბინ ლისიცკი (გერ, 16)**-ფიონა ფერო (საფ) 6:1, 7:5; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 9)**-ვირჟინ რაზანო (საფ) 7:5, 6:0; **ტამირა პაჩეკი (ავსტრია)**-ალისონ ვან უიტვანკი (ბელ) 6:2, 7:6(5); **სამანტა სტოსური (ავსტრა, 19)**-მონიკა პუიგი (პ. რიკო) 6:1, 6:1; **პაულა ორმაეჩეა (არგ)**-რომინა ოპრანდი (შვეიც) 7:5, 6:2; **მარია შარაპოვა (რუს, 7)**-ქსენია პერვაკი (რუს) 6:1, 6:2; **კაროლინა პლიშკოვა (ჩეხ)**-მატილდ იოჰანსონი (საფ) 6:1, 7:6(5); **ელენა ვესნინა (რუს, 32)**-კრისტინა მაკჰეილი (აშშ) 7:6(0), 4:6, 6:3; **ალიზ კორნე (საფ, 20)**-ეშლი ბარტი (ავსტრა) 6:2, 6:1; **ტეილორ თაუნსენდი (აშშ)**-ვანია კინგი (აშშ) 7:5, 6:1; **ტიმეა ბაშჩინსკი (შვეიც)**-მარინა ზანევსკა (უკრ) 6:1, 6:4; **ფლავია პენეტა (იტა, 12)**-პატრისია მეირი (ავსტრია) 6:2, 6:2; **იულია გორგესი (გერ)**-მიშელ ლარშერ დე ბრიტუ (პორ) 6:2, 6:3; **ეჟენი ბუშარი (კან, 18)**-შაარ პეერი (ისრ) 6:0, 6:2; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 5)**-ზარინა დიასი (ყაზ) 7:5, 6:2; **მარინა ერაკოვიჩი (ა. ზელ)**-ნადია კიჩენოკი (უკრ) 6:2, 6:1; **კურუმი ნარა (იაპ)**-ანა ტატიშვილი (აშშ) 6:1, 6:4; **ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 28)**-მისაკი დოი (იაპ) 6:3, 6:3; **სტეფანი ფოგელი (შვეიც)**-ანა-ლენა ფრიდსამი (გერ) 6:7(3), 7:5, 6:2.

## TV პროგრამა

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **II ლიგა. პლეი ოფი** | |
| ბარტონი-ფლიტვუდი | 0:1 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ავსტრალია-ს. აფრიკა | 1:1 |
| რუსეთი-სლოვაკეთი | 1:0 |
| ჩერნოგორია-ირანი | 0:0 |
| ესტონეთი-გიბრალტარი | 1:1 |
| მაკედონია-კამერუნი | 0:2 |
| ბელგია-ლუქსემბურგი | 5:1 |
| სერბეთი-იამაიკა | 2:1 |
| **ევრო 2015** | |
| **UNDER 19** | |
| ჩერნოგორია-უკრაინა | 0:4 |
| ინგლისი-შოტლანდია | 2:1 |
| ჩეხეთი-ბულგარეთი | 0:2 |
| იტალია-შვედეთი | 1:3 |
| **დანია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ვენდსისელი-სილკეზორგი | 1:0 |
| **ნორვეგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ტრომსიო-მიონდალენი | 1:1 |
| **შვედეთი** | |
| გეფლე-იურგორდენი | 1:1 |
| მალმიო-აიკ | 2:2 |
| **II დივიზიონი** | |
| ანგელჰოლმი-ჰუსკვარნა | 2:0 |
| ვარნამო-დეგერფორსი | 3:1 |
| გაისი-ოსტერსუნდი | 1:3 |
| **ფინეთი** | |
| ჰიკ-სეინაეიოენი | 1:0 |
| მარიეჰამნი-ლაჰტი | 0:0 |
| მიუპა-ინტერი | 1:1 |
| როვანიემი-იარო | 2:1 |
| ტურკუ-კუოპიო | 0:3 |
| ვაასა-ჰონკა | 3:0 |
| **ირლანდია** | |
| **EA Sports Cup** | |
| ლონგფორდი-ბოჰემიანი | 0:2 |
| შემროკი-კორკი | გადაიდო |
| **ისლანდიის თასი** | |
| ჰკ-ბრეიდაბლიკი | 1:2 |
| **ბელარუსი** | |
| მინსკი-ტორპედო | 0:2 |
| ბატე-ნაფტანი | 3:1 |
| დინამო (მნ)-სლუტსკი | 3:0 |
| გომელი-შახტიორი | 1:0 |
| **ჩინეთი** | |
| ბეიჯინგი-გუანგჯოუ | 1:1 |
| **ტულონის ტურნირი** | |
| კოლუმბია (U20)-ს. კორეა (U20) | 0:1 |
| ინგლისი (U20)-ბრაზილია (U20) | 1:2 |

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **საბერძნეთი** | |
| პაოკ-პანიონიოსი | 81:63 |
| ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი | 89:64 |
| **იტალია** | |
| რეჯო ემილია-მონტეპასკი | 81:85 |
| **საფრანგეთი** | |
| ნანსი-სტრასბური | 57:62 |

## ფორმულა 1

# ერთმანეთს არც ელაპარაკებიან



ჰემილტონი და როსბერგი

„მერსედესის" დირექტორი **ნიკი ლაუდა** მიიჩნევს, რომ გერმანული საჯინიბოს წევრებმა - **ლუის ჰემილტონმა** და **ნიკო როსბერგმა** მონაკოს გრანპრიზე თავიანთი საქციელით აშკარად გადაამეტეს.

კონფლიქტი პილოტებს შორის მთელი უქმეების განმავლობაში ვითარდებოდა, კატალიზატორი კი გახდა მოვლენები კვალიფიკაციის დროს: ჰემილტონმა დარწმუნებით განაცხადა, რომ როსბერგმა შეგნებულად გამოიწვია ყვითელი დროშების გამოფენა, რითაც ლუისს პოულის მოგების შანსი მოუსპო.

მაგრამ ამ ინციდენტის გამოძიებისას მსაჯებმა დაადგინეს, რომ ნიკოს შეგნებულად წესი არ დაურღვევია და ამიტომაც პოული შეუნარჩუნდა, რისი წყალობითაც კვირას რბოლის მოგება შეძლო.

როგორც აღმოჩნდა, ბრიტანელსა და გერმანელს შორის კონფლიქტი ჯერ კიდევ ესპანეთის გრანპრის დროს დაიწყო. ბარსელონაში როსბერგი უკმაყოფილო დარჩა იმის გამო, რომ ჰემილტონმა ყურად არ იღო გუნდის მოთხოვნა და საკუთარი ძრავა მაქსიმალური სიმძლავრის რეჟიმში გადაიყვანა, რითაც შეაკავა ნიკოს შეტევები.

პრესამ გაარკვია, რომ ამის შემდეგ „მერსედესის" პილოტებმა გაწყვიტეს ურთიერთობა. ნიკი ლაუდამ ყურადღება მიაქცია ეპიზოდს, როცა ისინი აბსოლუტურად არ იმჩნევდნენ ერთმანეთს მონაკოში დაჯილდოების ცერემონიისას.

*„ლუისი იმედგაცრუებული იყო მეორე ადგილით, რაც სავსებით ნორმალურია, მაგრამ მას უნდა ეღიარებინა, რომ თანაგუნდელი ამჯერად მასზე სწრაფი იყო.*

*ყველაზე მეტად არ მომეწონა მისი ქცევა პოდიუმზე, როცა პარტნიორს ხელი არ ჩამოართვა, რასაც ნიკო ყოველთვის აკეთებდა წინა რბოლებისას. ამის შესახებ უახლოეს დღეებში დაველაპარკებით.*

*და საქმე იმაში არ არის, რომ მე სხვაგვარად ვარ აღზრდილი. უბრალოდ, საქმე ეხება „მერსედესის" ბრენდს. სწორედ ეს მაღელვებს, თუმცა სიტუაციის გამოსწორება ჯერჯერობით იოლი ჩანს",* - განაცხადა ლაუდამ.

ჰემილტონმა მონაკოში აღიარა, რომ იქაური დაჯილდოვების ცერემონია პირველია, როცა მასსა და როსბერგს შორის არანაირი ურთიერთობა არ ყოფილა.

*„სინამდვილეში, დიდად აქტიური ურთიერთობა არ გვაქვს პოდიუმზე,* - ამბობს ბრიტანელი. - *ბოლო ოთხი რბოლის დროს უბრალოდ ვეუბნებოდი მას, რომ კარგად იმუშავა, რის შემდეგაც აღვნიშნავდით, რომ გუნდი შესანიშნავად გაუმკლავდა ამოცანას.*

*ამ უქმეებზე განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში ასეთი რამ აღარ განმეორდება".*

■ ■ ■

ნიკი ლაუდამ მიანიშნა იმის შესახებ, რომ უახლოეს დღეებში ორივე პილოტთან ექნება საუბარი. ის გაერკვევა მათ ურთიერთობებში და შეეცდება, დააცხროს ვნებები კანადის გრანპრისთვის.

*„მე ვესაუბრე პილოტებს რბოლის წინ და ჯერ ეს თემა არ ამოწურულა,* - დაამატა ლაუდამ. - *კარგად მესმის მომხდარი, ამიტომაც დავიცდი ორი-სამი დღე, თუმცა პრობლემა მოგვარებული უნდა იყოს კანადის უქმეებამდე.*

*როგორც ყოველთვის, უბრალოდ, დაველაპარაკები მათ. როცა ჩვენს პილოტებს პრობლემები აქვთ, ყოველ ჯერზე ჩემთან მოდიან, ამიტომაც ვიმედოვნებ, რომ ამჯერადაც შევძლებ ყველაფრის მოგვარებას.*

*ეს ნორმალური სიტუაციაა. მეც მქონდა ანალოგიური ისტორია ალენ პროსტთან. ვერ ვიტანდი მას, მაგრამ ყოველ დილით ვესალმებოდი.*

*არსებობს გარკვეული საზღვარი, რომელსაც მათ დავუწესებ, რადგან ჩვენ ერთ ენაზე ვლაპარაკობთ და მას პილოტების ენა ჰქვია. ასე რომ, ისინი გამიგებენ და არანაირი პრობლემა აღარ იარსებებს".*

# ბაქო 2015 თითქმის დადასტურებულია

ფორმულა 1-ის მთავარმა პრომოუტერმა **ბერნი ექლსტოუნმა** უარყო ჭორები 2015 წლის კალენდარში საფრანგეთის გრანპრის დაბრუნების შესახებ. ბრიტანელმა მონაკოში განაცხადა, რომ საფრანგეთის რბოლა არ შედის მომავალი წელს კალენდარში მოხვედრის კანდიდატთა შორის.

*„ისინი ითხოვენ „დიდ რბოლებში" დაბრუნებას, მაგრამ არ მგონია, მზად ვიყოთ მათ მოსაღებად",* - თქმა ბერნიმ.

სამაგიეროდ, ექლსტოუნმა სასიამოვნო ინფორმაცია გაავრცელა აზერბაიჯანებელისთვის, რადგან მათ ქვეყანაში 2015 წელს ქუჩის რბოლა გაიმართება.

*„აქ ყველაფერი გადაწყვეტილია,* - დაამატა ექლსტოუნმა. - *მომდევნო წელს ბაქოს გრანპრი აუცილებლად გაიმართება".*

## ამბები

### კრივი

# კლიჩკოს კიევი ჩააბარეს



ვიტალი კლიჩკო

უკრაინაში გაიმართა საპრეზიდენტო არჩევნები და წინასწარი მონაცემებით პირველივე ტურში გამარჯვება მოიპოვა მილიარდერმა **პიოტრ პოროშენკომ**. მან განაცხადა, რომ კიევის მერის არჩევნები სუპერმძიმე წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა **ვიტალი კლიჩკომ** მოიგო.

*„ჩვენი ინფორმაციით, კიევს უკვე ჰყავს ახალი მერი და ეს არის ვიტალი კლიჩკო",* - განაცხადა პოროშენკომ.

შეგახსენებთ, რომ ეს იყო ყოფილი მოკრივის მესამე მცდელობა უკრაინის დედაქალაქის მერის თანამდებობის დასაკავებლად. უფროსი კლიჩკოს წინასაარჩევნო კამპანიის მთავარი გზავნილი ასეთი იყო - „ცვლილებები კიევიდან დაიწყება". ის მთავარ პრიორიტეტად მიიჩნევს ქალაქის ახალი გენერალური გეგმის შედგენას, რაშიც ნებისმიერი მოქალაქე მიიღებს მონაწილეობას, აგრეთვე დედაქალაქის ახალი კანონის მიღებას.

### ოლიმპიზმი

# კრაკოვი ბრძოლას ჩამოშორდა

პოლონეთის ქალაქმა კრაკოვმა უარი თქვა 2022 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის ბრძოლაზე. ქალაქში ჩატარებული რეფერენდუმის თანახმად, კრაკოვის მოსახლეობის უმრავლესობა ამ მიზნის წინააღმდეგ წავიდა.

რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო ქალაქის მოსახლეობის 35.96-მა პროცენტმა. მათგან 69.72 პროცენტი კრაკოვში ზამთრის თამაშების ორგანიზების წინააღმდეგია. არადა, პოლონეთის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს უკვე გაგზავნილი ჰქონდა განაცხადი საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში, მაგრამ ახლა მისი გამოწვევა მოუწევს.

2022 წლის ოლიმპიადის დედაქალაქის არჩევნები 2015 წლის 31 ივლისს, მალაიზიის ქალაქ კუალა ლუმპურში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მორიგ სესიაზე გაიმართება. თამაშების მასპინძლობაზე პრეტენზიას აცხადებენ: ოსლო (ნორვეგია), ალმატი (ყაზახეთი), ლვოვი (უკრაინა) და პეკინი (ჩინეთი).

უფრო ადრე, 2022 წლის თამაშების მასპინძლობაზე უარი განაცხადეს მიუნხენმა და სტოკჰოლმა. ამ ქალაქების მოსახლეობამ მიიჩნია, რომ ზამთრის ოლიმპიადის ორგანიზება დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

### ველოსპორტი

# ვუელტაზე ავადმყოფი გულით

ჰოლანდიელი ველომრბოლი **რობერტ ჰესინკი** აგვისტოში ესპანურ ველომარათონ „ვუელტაზე" აპირებს გამოსვლას, გარდა ამისა, ის ჰოლანდიის ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. არადა, ამა წლის მაისში ჰესინკმა გულზე ოპერაცია გადაიტანა. ამ ინფორმაციას ჰესინკის გუნდი Belkin Pro Cycling ავრცელებს.

ადრე ჰოლანდიური საჯინიბოს ლიდერმა მონაწილეობა ვერ მიიღო სეზონის საგაზაფხულო რბოლებში და მწყობრიდან „ბასკეთის ტურის" წინ გამოვიდა. სწორედ ამის შემდეგ გაჩნდა ინფორმაცია გულთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

პირველად ჰოლანდიელ ველომრბოლს გულის არითმია 2010 წელს, მამის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ დაუფიქსირდა.

რობერტ ჰესინკს სამჯერ აქვს მიღებული მონაწილეობა „ვუელტაში". მისი საუკეთესო შედეგი იყო მეექვსე ადგილი 2009 და 2012 წლებში.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამათ უნდათ 16 გუნდი?!

კობა ინასარიძის რუბრიკა

# გეტრები არის, დანარჩენი იქნება

არ გეგონოთ, ამ ფოტოზე ერთი გუნდის ორმხრივი მატჩის ეპიზოდი იყოს აღბეჭდილი. არადა, მაისურებზე გამოსახული ლოგოებით თუ ვიმსჯელებთ, სწორედ ერთი გუნდის თამაში უნდა იყოს. სამწუხაროდ, ეს არის საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის, „ზესტაფონი“-“დილას“ დუბლშემადგენლობათა მატჩი (2013 წლის 14 სექტემბერი). ფოტო „ზესტაფონის“ საწვრთნელ ბაზაზეა გადაღებული. ნუ გაიკვირვებთ, რომ მწვანე მაისურებში მისი ნაღდი პატრონი - „ზესტაფონი“ თამაშობს, ლურჯი - იგივე საკლუბო და სპონსორის ლოგოთი დამშვენებული, გორელებს მოურგიათ. ესეც ჩვენი ფეხბურთის რეალობაა - სტუმარი გუნდი ზესტაფონს სათამაშოდ ფორმის გარეშე ეწვია და... ზესტაფონელებმაც ჭეშმარიტი იმერული სტუმართმოყვარეობა გამოიჩინეს და „დილას“ თავიანთი ძირითადი, ლურჯი მაისურა დაუთმეს, თავად კი მწვანეებით ითამაშეს. მატჩი კი 1:1 მორჩა და ისე გამოვიდა, რომ ამ თამაშით ყველაზე მეტად „ფერომ“ იხეირა - აქეთაც და იქითაც გუნდები სწორედ „ფეროს“ უკეთებდნენ რეკლამას, „მწვანეები“ - კონტრაქტით გათვალისწინებულს, „ლურჯები“ კი...

მარჯვენა ორ ფოტოზე კი უკვე ზღვისპირეთია, ზესტაფონიდან 147 533 მეტრით მოშორებული ქობულეთი, „ჩელე არენა“. თქვენს თვალწინ საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის B ჯგუფის ბათუმი „დინამო“-“დილას“ 2-ის“ შეხვედრის (2013 წლის 12 სექტემბერი, ორი დღით ადრე „ზესტაფონი“-“დილას“ დუბლების მატჩამდე) ფოტოა. ბათუმის „დინამოს“ ფეხბურთელები თეთრ-ცისფერი კომბინირებული მაისურებით არიან, „დილა“ - აქაც ლურჯებშია, თუმცა ამ ლურჯ მაისურებზე საკლუბო ლოგოს თუ დააკვირდებით, აღმოაჩენთ, რომ... „დილა 2-მა“ ბათუმის „დინამოსთან“ საჩხერის „ჩიხურას“ ფორმით ითამაშა. „დილა 2“ „ბათუმს“ ამ გუნდის მაისურით რომ შეხვედროდა, ვიტყოდით - ზესტაფონთან სტუმრობის არ იყოს, სადაც ჩადიან, იქაურ მაისურას ირგებენ-თქო, მაგრამ ეგ არაფერი - ზესტაფონსა და ქობულეთში გადაღებულ ფოტოებს თუ დააკვირდებით, ერთ თანხვედრასაც აღმოაჩენთ - გორელებმა ორივე მატჩი ერთნაირი გეტრებით ითამაშეს და მთავარიც ხომ ესაა?! ანუ „დილას“ გეტრები აქვს და დანარჩენის შოვნას რაღა უნდა?!







P.S. თუ ამ ტიპის ფოტოებს სადმე წააწყდებით, არ დაეზარდეთ და გამოგვიგზავნეთ გაზეთის ელექტრონულ მისამართზე: leloltd@gmail.com.

ჩინეთის, ისრაელის და ამერიკის სახალხო მედიცინის აკადემიის წევრი, პროფესორი



ბიჭიკო ასკურავა

მკურნალობს: ქირურგიული ჩარევის გარეშე, ეფექტურად და უმტკივნეულოდ არჩენს სხვადასხვა სახის მოტეხილობას, ნაღრძობს, მენისკს, ოსტეოქონდროზს, პოდაგრას და სახსრების დაავადებას.

მსოფლიოს ორთოპედიის უმეტესობა დარწმუნებულია ბიჭიკო ასკურავას მეთოდის ეფექტურობაში, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება არსად!

მის.: ქ. თბილისი, ლესელიძის 25/ივერიის 5.
ტელ.:(+995 32)299-96-94; (+995 32)298-86-84; (+995 32)298-79-95;
მობ.:(+995 77)41-19-11




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
ISSN 2233-3827

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილე: ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28)
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: leloltd@gmail.com; მისამართი: იოსებიძის, 49. ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:40 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70

დაიბეჭდა სტამბა კოლორში

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608